ალმა მატერ

უნივერსიტეტი

85

17 მაისი, ხუთშაბათი, 2012 წ. №6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

უცნობი ძეგლების ილუსტრაციებით ამეტყველებული საქართველოს ისტორია

გვ. 12, 14

ისტორიული გარდატეხა ქართულ ლექსიკოგრა-ფიაში

გვ. 12

აფხაზი ხალხი უკვე დაუფიქრდა საკუთარ არჩევანს?!

გვ. 15

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები 2012

დიმიტრი გეგენავა:

თითოეულ დარეგისტრირებულ კანდიდატს თავისუფლად შეუძლია ყველა საუნივერსიტეტო რესურსის გამოყენება და თვითგამოხატვა მხარდამჭერთა მოსაზიდად

ვესაუბრებით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დიმიტრი გეგენავას:

— არჩევნებში მონაწილეობის მსურველ და უკვე დარეგისტრირებულ კანდიდატთა აზრით, თქვენმა პროფესიონალიზმმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ცესკოში დარეგისტრირებისათვის ხელისშემშლელი ბარიერების მოხსნის თვალსაზრისით. ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით რეგისტრაციის ვადის გადაწევამაც ოპონენტებს შესაძლებლობა მისცა — კიდევ ერთხელ გადაემოწმებინათ ხელმოწერების სიზუსტე და რეალურად ჩაბმულიყვნენ წინასაარჩევნო კამპანიაში. რამდენად იღებთ პასუხისმგებლობას — ამ კამპანიის წარმართვისათვის ყველა დამოუკიდებელ კადიდატს თუ სტუდენტურ ორგანიზაციას თანაბარი პირობები შესთავაზოთ და თვითგამოხატვისთვის თავისუფალი არენა მისცეთ საუნივერსიტეტო სივრცეში?

მე-3 გვერდზე

სტუმარ-მასპინძელი

ირმა რატიანი:

3 თვლი თუ არა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც პირველ ქართულ უნივერსიტეტს, უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხარადაჭერის იმედი? დიახ, ვთვლი, ვინაიდან ყოველი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია სიმბოლოთა პატივისცემისა და დაცვის ისტორიაა.

გვ. 13

სადისკუსიო კლუბში

განახლებული თსუ-ის სტამბა მალე ამოქმედდება

გვ. 3

პროექტ „ნაფიცი მსაჯულის“ მეოთხე სეზონი „იხსნება“

გვ. 5

მთავარია პრიორიტეტად დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა დარჩეს

გვ. 11

წინასაარჩევნო კამპანია

გვ. 3, 7

წინასაარჩევნო კამპანია

ბექა ბენდელიანი:

არჩევნები იმიტომ ტარდება, რომ გამოჩნდეს ახალი ძალაც და განსხვავებული შეხედულებების მქონე სტუდენტებითაც შეივსოს თვითმმართველობა

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი ბექა ბენდელიანი მესამე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილი თავმჯდომარეა, რომელიც მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ წევრის სახელით იღებს მონაწილეობას.

სერგი ფანცალაშვილი:

ვაპირებთ, რომ უმრავლესობით მოვიდეთ ამ არჩევნებში, დავიკავოთ იმდენი ადგილი, რამდენიც არის!

ორგანიზაცია „სტუდენტები სტუდენტებისთვის“

ლევან ღორთქიფანიძე:

ჩვენ, „ნარინჯისფერი კანდიდატები“ სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოს „უმცირესობაში“ მოხვედრის შემთხვევაშიც ვაპირებთ ამ საკითხების კონსტრუქციულ რეჟიმში გადაჭრისთვის აქტიურ მოღვაწეობას!

ხშირად დასმული შეკითხვები

ქეთევან გოგიჩეიშვილი,
სამაგისტრო პროგრამა — „მედია და ახალი ტექნოლოგიები, მაგისტრანტი:

***?** როდის დაიწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III, VI, VIII, V და X კორპუსების სარემონტო სამუშაოები?*

გიორგი ტალახაძე,
თსუ-ის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— 2012 წლის ზაფხულში ვგეგმავთ თსუ-ის III კორპუსის ფანჯრებისა და გათბობის სისტემის გამოცვლას. VI კორპუსში ვაპირებთ სააქტო დარბაზის რეაბილიტაციას. VIII კორპუსში კი 5 აუდიტორიის გარემონტებას ვგეგმავთ.

რაც შეეხება თსუ-ის V კორპუსს, აქ მხოლოდ მცირე სამუშაოებს ჩავატარებთ — გაკეთდება 1 აუდიტორია.

X (ე.წ. მაღლივ) კორპუსში განსაზღვრულია ლიფტების რეაბილიტაცია.

მოგეხსენებათ, თსუ-ის შემოუერთდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომელთა ნაწილი უკვე გავარემონტეთ, კერძოდ, შესრულდა გადახურვის სამუშაოები, რომელთა საერთო ფართი 15 ათასი კვადრატული მეტრია.

ზოგ სამეცნიერო ინსტიტუტში კი სარემონტო სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს. მაგალითად, დაწყებულია მორფოლოგიის ინსტიტუტის I სართულის რემონტი, სადაც თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტი უნდა განთავსდეს. გარემონტდა სტამბის შენობაც.

წელს ვაპირებთ ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსის I, III, IV და VI სართულების გაკეთებასაც.

თსუ-ის სტუდენტი (სახელი და გვარი არ დაასახელა):

***?** ბაგების სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი სავალალო მდგომარეობაშია. თუ აპირებთ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას? თუ იგეგმება საერთო საცხოვრებლის გადმოტანა თსუ-ის ე.წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ეს თსუ-ის რექტორმა ერთერთ ინტერვიუში აღნიშნა?*

გიორგი ტალახაძე,
თსუ-ის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— ამჟამად მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქონების გადმოცემის პროცესი. იქიდან გამომდინარე, რომ თსუ-ს იურიდიული სტატუსი შეეცვალა და არასამეწარმეო იურიდიული პირი გახდა, ჩამოერთვა მის კუთვნილებაში არსებული ქონება და ახლა საჭიროა გატარდეს შესაბამისი პროცედურები ამ ქონების უკან გადმოცემასთან დაკავშირებით. როგორც იცით, ბაგებში თსუ-ის საერთო საცხოვრებელი სამ კორპუსში იყო განთავსებული, აქედან ერთი ჩვენ უკვე აღარ გვეკუთვნის. როდესაც ქონების გადმოცემის პროცესი დასრულდება და გვეცოდინება ჩვენს საკუთრებაში კონკრეტულად რა ითვლება, საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციისა ან მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსების საკითხებსაც განვიხილავთ.

ზვიად კარტოზია,
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი:

***?** ელექტრონულ სასწავლო ბარათში მითითებულია ის საგნები, რომლებიც ითვლება სპეციალობის არჩევით საგნებად. ასეთი საგნები 15-მდეა. როცა დანარჩენ საგნებს ვირჩევთ, ეს საგნები არ ფიქსირდება სასწავლო ბარათზე. შეგვიქმნის თუ არა ეს რაიმე სახის პრობლემას?*

შორენა ნერგუაშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი:

— სტუდენტს წელიწადში აქვს 65 კრედიტის დაგროვების უფლება, 15 საგანი თუ ვერ ეტევა 65 კრედიტში და არის მეტი, საგანი ვერ დაფიქსირდება სასწავლო ბარათში. ასევე, ვერ დაფიქსირდება საგანი, თუ სტუდენტი წინა პირობის დაუცველად ირჩევს საგანს, ან არ არის აქტიური საგანი იმ სემესტრში.

თამარ ლოლაძე,
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:

***?** უახლოეს პერიოდში იურისტებისთვის რაიმე გაცვლითი პროგრამა თუ იგეგმება?*

მარიამ რაზმაძე,
საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი:

— ხელშეკრულების ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროპის მრავალ უნივერსიტეტთან აქვს გაცვლითი პროგრამები, რომლებიც ყოველწლიურად მიმდინარეობს. ამ ხელშეკრულებების საფუძველზე, შესარჩევი ეტაპების გავლის შემდეგ, ყველა ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია სასწავლებლად ერთი სემესტრით წასვლა მისთვის სასურველ უნივერსიტეტში. ამ ეტაპისთვის ეს პროგრამები დასრულებულია.

ახალი შესარჩევი ეტაპი უკვე შემოდგომაზე, სექტემბრიდან დაიწყება. ყველა ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია პრიორიტეტების მიხედვით შეარჩიოს შესაბამისი უნივერსიტეტი.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი (სახელი და გვარი არ დაასახელა):

***?** არჩეული მაქვს 6 საგანი. ლექციებისა და სემინარების დრო ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. რამდენად არის შესაძლებელი ცხრილების ისე შედგენა, რომ მსგავსი პრობლემის წინაშე არ დავდგეთ?*

დალი კანდელაკი,
სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თვითონ გეგმავს თავის ინდივიდუალურ ცხრილს. ფაკულტეტი სტუდენტს სთავაზობს გარკვეულ საგნებზე 2 ან 3 ლექტორს და სემინარების სხვადასხვა ხელმძღვანელებს. სტუდენტმა თვითონ უნდა განსაზღვროს, რომელ ლექტორს აირჩევს სალექციოზე და რომელს — სასემინარო ჯგუფზე.

განახლებული თსუ-ის სტამბა მალე ამოქმედდება

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის სტამბა რეაბილიტირებულია. სტამბაში შემოიტანეს ევროპაში დამზადებული მაგარ ყდაში ჩასმის დამხმარე და წიგნის შიგთავსის ყუის მოსამრგვალებელი დაზგები, ქაღალდის საჭრელი ე.წ. გილიოტინა, თერმული აკინძვისა და იაპონური „RYOBI 522HXX“ ფერადი ოფსეტური ბეჭდვის ორსექციანი დანადგარები. ახალი ტექნიკის მეშვეობით ყველა სასტამბო მომსახურების შესრულება უკვე სწრაფად და მაღალი ხარისხით არის შესაძლებელი. დღემდე თსუ-ის სტამბა მხოლოდ შავ-თეთრ ბეჭდვას უზრუნველყოფდა. მზადდებოდა აკადემიური, დარგობრივი, ბიოგრაფიული გამოცემები, სასკოლო და საყმაწვილო წიგნები, ენციკლოპედიები, ფაკულტეტებისთვის სპეციალური ბლანკები, მოსაწვევი, სავიზიტო და ბიბლიოთეკის კატალოგის ბარათები და ა.შ. ფერადი ჩანართები და მუყაოს ყდები კი თბილისის სხვა სტამბებში იბეჭდებოდა, რაც ბეჭდური პროდუქციის გამოცემის პროცესს წელავდა და დამატებით ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული.

უახლესი დანადგარების შემოტანის შემდეგ თსუ-ის სტამბას გარეშე შეკვეთების მიღებაც შეუძლია, რაც უნივერსიტეტისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროც არის. განახლებული სტამბა, დაახლოებით, ერთ კვირაში ამოქმედდება.

„შემოწმება უკვე ყველა დანადგარმა გაიარა. სპეციალისტებმა ნახეს ტესტური ამონაბეჭდი, რომელიც სრულიად შეესაბამება ფერადი ბეჭდვის სტანდარტებს. ახლა ბევრად მეტი შესაძლებლობები გვაქვს. ახალი საბეჭდი დაზგები გაცილებით სწრაფად და ხარისხიანად მუშაობს, რაც დამკვეთების რიგებსაც შეამცირებს. მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 17 კვლევითი ინსტიტუტი შემოუერთდა და მათი მომსახურებაც დაჩქარებული ტემპით მოხდება.

ჯერჯერობით მხოლოდ ერთი შეზღუდვა გვაქვს. სტამბაში მუშაობს 3 ფორმატის რიზოგრაფი და ამ ფორმატის ყველანაირი დაკვეთის მიღება შეგვიძლია. გაზეთების დასაბეჭდად კი 2 ფორმატის რიზოგრაფი გვჭირდება, რაც, ჯერჯერობით, არ გვაქვს. ახლა დიუსელდორფში იმართება პოლიგრაფიული დანადგარების ევროპული კონფერენცია, გამოფენა, ვაჭრობა, სადაც 2 ფორმატის რიზოგრაფის ნიმუშებიც იქნება წარმოდგენილი. მათი შეძენის შემთხვევაში გაზეთების დაბეჭდვასაც შევძლებთ,“ — აღნიშნა თსუ-ის სტამბის ხელმძღვანელმა თენგიზ სირაძემ.

თსუ-ის სტამბისთვის ახალი საბეჭდი დანადგარების შესაძენად თსუ-ის ადმინისტრაციამ, დაახლოებით, 500 000 ათასი ლარი გამოყო. გარემონტდა სტამბის შენობაც.

„დაზგების ექსპლუატაციაში შეყვანისთვის აუცილებელი იყო შენობაში მიკროკლიმატის შექმნა. აქედან გამომდინარე, შენობის შიდა ნაწილი გავარემონტეთ. ახლა მონტაჟდება სპეციალური გამწოვი ქოლგები და ვენტილაციაც. უახლოეს მომავაში ჩატარდება ტენდერი, რის შედეგადაც სტამბის შენობის გარე ფასადს და სახურავს შევაკეთებთ“, — გვითხრა თსუ-ის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ტალახაძემ.

თსუ-ის სტამბას ახალი თანამშრომლებიც შეემატნენ. თანამედროვე სტანდარტების საბეჭდ დანადგარებთან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები — თამაზ აბაშიძე და დავით ჯახაშვილი იმუშავებენ. თენგიზ სირაძე სტაჟიორი სტუდენტების მიღებასაც გეგმავს, რომლებიც პოლიგრაფიული უზრუნველყოფის საკითხებს შეისწავლიან.

„შეიძლება რამდენიმე სტუდენტი შეირჩეს ჟურნალისტიკის მიმართულებიდანაც. ერთია, თუ როგორ ხდება სტატიის დაწერა, რედაქტირება, მაგრამ სხვა არის ბეჭდვის პროცესი. მათ შეუძლიათ ნახონ და პრაქტიკულად შეისწავლონ სტამბის მუშაობის საკითხები. ვფიქრობ, ის ცოდნა, რასაც აქ მიიღებენ, აუცილებლად გამოადგებათ მომავალში“, — აღნიშნა თსუ-ის სტამბის ხელმძღვანელმა.

თსუ-ის სტამბაში ჯერ კიდევ გამოიყენება რეაბილიტირებული ძველი დანადგარებიც. მათ შორის არის ელექტრონული და მექანიკური პრესები, მუყაოს საჭრელი ე.წ. გილიოტინა, ძაფსაკერი, მავთულსაკერი, ყდის ოქროთი მოსავარაყებელი და ყუის მოსამრგვალებელი დაზგები.

სტამბის რეაბილიტაციის ინიციატივა თსუ-ის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს ეკუთვნის. შესაბამისი სამუშაოები სტამბის გასაახლებლად ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტამბა 1923 წლიდან არსებობს და მისი დაარსება ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება.

ახალი მომსახურება თსუ-ის ბიბლიოთეკაში

უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ახალი სამკითხველო დარბაზი გაიხსნა.

ახალი სამკითხველო დარბაზი თანამედროვე ტექნიკითა და ლიტერატურით არის აღჭურვილი, აქვს კომპიუტერული ცენტრი და თანამედროვე საბიბლიოთეკო მომსახურების საშუალებები. ამავე დროს მკითხველს შეუძლია სასურველი წიგნის მოძებნა როგორც ელექტრონული საძიებლის მეშვეობით, ასევე, კვალიფიციური ბიბლიოთეკარის დახმარებით.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკის ცენტრალურ სამკითხველო დარბაზში მკითხველს თავად შეუძლია მისთვის სასურველი ლიტერატურის სკანირება და ქსეროასლის გაკეთება. იქვე შეგიძლიათ ისარგებლოთ პრინტერით.

„ჩვენს პროფესორებსა და სტუდენტებს უძნელდებათ ბიბლიოთეკის ცენტრალურ შენობაში ამოსვლა და რომელიმე განყოფილებიდან წიგნის გატანა, ამიტომ ურჩევნიათ, რომ ადგილზევე იყოს მსგავსი მომსახურება“, — განაცხადა თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა. მისი თქმით, თუ ადრე სირთულე იქმნებოდა იმის გამო, რომ საბიბლიოთეკო წესი კრძალავს სამკითხველო დარბაზიდან წიგნის გატანას, ახლა ქსეროქსის აპარატის თვითმომსახურების საშუალება ეძლევა როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებსაც, რათა მათ შეძლონ სასურველი ლიტერატურა ქსეროასლის სახით გაიტანონ დარბაზიდან.

პირველ კორპუსში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში თანამედროვე ტიპის აპარატურა და ტექნიკა კომპანია „ატუ“-მ შემოიტანა. მისი მეშვეობით ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია აიღოს პლასტიკური ბარათი, ჩარიცხოს თანხა და გადაიღოს სასურველი მასალის ქსეროასლი.

თინა სვანიძე

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები 2012

პირველი გვერდიდან

— ცესკომ ყველა საშუალებას მიმართა და ეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთანაც შეთანხმებულია, რომ საარჩევნო სუბიექტად უკვე რეგისტრირებულ კანდიდატებს უფლება აქვთ — გამოიყენონ უნივერსიტეტის ყველა რესურსი და ისარგებლონ თანაბარი შესაძლებლობებით. მათი ნებისმიერი მსგავსი წინადადება და ინიციატივა, როგორც ცესკო-სთვის ცნობილია, ჰპოვებს მხარდაჭერას უნივერსიტეტის მხრიდან. რესურსებში იგულისხმება როგორც ტექნიკური, ასევე, ადამიანური რესურსის გამოყენება, რისი საშუალებაც უნივერსიტეტს გააჩნია. ამავე დროს, თითოეულ დარეგისტრირებულ კანდიდატს თავისუფლად შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა და აგიტაცია.

— ***თქვენი მონაცემებით, რამდენად გააქტიურებულია სტუდენტობა — ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, რათა შეიქმნას ჯანსაღი კონკურენციისათვის საჭირო გარემო?***

— სტუდენტობის აქტიურობასთან დაკავშირებით ძნელია წინასწარ საუბარი. ამაზე სავარაუდო მონაცემები უშუალოდ არჩევნების დღეს გვექნება, თუმცა, ჩემი გადასახედიდან, სასურველი იქნებოდა, რომ უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინათ.

— ***რამდენად დაკვალიანებულნი არიან უნივერსიტეტის სტუდენტები საარჩევნო პროცედურები კანონის ფარგლებში გაიარონ? ვგულისხმობ მათ ინფორმირებულობას ამჟამად უკვე არჩევნებთან დაკავშირებული პროცედურების წესის დაცვის თვალსაზრისით...***

— რაც შეეხება სტუდენტების ინფორმირებულობას, ცეკსო-მ უკვე შეიმუშავა დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც არჩევნებამდე დაიდება საიტზე — ეს მოიცავს მცირე განმარტებებს უშუალოდ კენჭისყრის პროცედურის, საარჩევნო უბნებზე მოქცევის წესის და ა.შ. თაობაზე. საარჩევნო დებულებაში ეს საკამოდ მარტივი ენით წერია, მაგრამ ჩვენ სტუდენტთა დაკვალიანება ერთგვარი სახელმძღვანელოს მეშვეობითაც მოვინდომეთ, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა არჩევნების პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღოს ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით. ეს ყოველივე განთავსდება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ბმულზე და, ასევე, გავრცელდება სხვადასხვა სოციალური ქსელით.

— ***რამდენად კმაყოფილია ცესკო-ს თავმჯდომარე არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მზაობითა და კომპეტენტურობის დონით?***

— ცესკო ძალიან დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს სტუდენტების მზაობასა და კომპეტენტურობის დონესთან დაკავშირებით. წინა არჩევნებთან შედარებით გაცილებით დაბალია სტუდენტთა რიცხვი, რომელსაც სურს თავისი ,,პასიური საარჩევნო უფლების" რეალიზაცია. ძალიან დაბალია, ზოგადად, საარჩევნო კულტურა, სამართლებრივი კულტურა და ხშირად ხდება, როდესაც სტუდენტები ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისგან იმ უმარტივეს დეტალებს, რაც არჩევნებისთვისაა დამახასიათებელი. ბევრი კანდიდატისთვის გაუგებარი აღმოჩნდა ჩვენი განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება რამდენიმე ,,შეცდომა" იყოს ,,ხარვეზი" და როგორ შეიძლება ეს ,,შეცდომა" გახდეს ,,უარის თქმის" საფუძველი მის კონკრეტულ მოთხოვნაზე, რაც აბსურდია. ვისურვებდით, რომ მომავალში სტუდენტები გაცილებით მეტად ყოფილიყვნენ გათვითცნობიერებულნი და უფრო მომზადებულნი არჩევნებისთვის და, რაც მთავარია, მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ ამ საკითხს, რადგან სტუდენტობა და სტუდენტური თვითმმართველობა — ეს არ არის სკოლა და საბავშვო თამაში... ეს არის მაღალი დონის წარმომადგენლობითი ორგანო, სადაც პიროვნებები და ზრდასრული ადამიანები მონაწილეობენ (ყოველ შემთხვევაში, უნდა მონაწილეობდნენ).

— ***სტუდენტთა ე.წ. „სადისკუსიო კლუბში" მოწვეულ კანდიდატებთან დებატებისას (ეს შეკრება 12 მაისს გაიმართა თსუ-ის I კორპუსის ერთ-ერთ აუდიტორიაში) გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ასარჩევად წინასაარჩევნო კამპანია უფრო ცივილიზებულად, გამჭვირვალედ და ღიად მიმდინარეობს, ვიდრე ეს ხდებოდა წინა არჩევნებზე. ეს უდაოდ უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებისკენ წინ გადადგმული დადებითი ნაბიჯია, თუმცა როგორ გააბათილებთ ზოგიერთი ოპონენტის მხრიდან არჩევნების ობიექტურად ჩატარებასთან მიმართებაში გამოხატულ უნდობლობას? საინტერესოა თქვენი მზაობა და პასუხისმგებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით...***

— კარგია, რომ ცივილიზებულად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია. არ ყოფილა არავითარი ექსცესი. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი გამჭვირვალობა და არჩევნების ობიექტურად ჩატარება, მოგახსენებთ: ყველა საარჩევნო უბანი ნაწილდება იმის მიხედვით, თუ სად არის დამონტაჟებული კამერები. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და სტუდენტს შეეძლება პირდაპირ რეჟიმში იხილოს — თუ რა ხდება საარჩევნო უბანზე; ასევე, ნახოს ხმის დათვლის პროცედურები, რომელიც ყველგან ,,ფარულია", მაგრამ ჩვენთან იქნება ღია... გარდა ამისა, ყველას შეეძლება ვიდეოჩანაწერების ხილვა არჩევნების დასრულების შემდეგაც. ჩვენ მოვიწვიეთ 4 საკმაოდ სერიოზული, ავტორიტეტული და პრესტიჟული ორგანიზაცია, რომელიც არჩევნებს დააკვირდება. ესენია: „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი", „სამართლიანი არჩევნები" და „საარჩევნო გარემოს განვითარების ფონდი". ყველა საარჩევნო უბანზე, დაახლოებით, რამდენიმე ათეული დამკვირვებელი იქნება. საარჩევნო პროცედურებს დააკვირდებიან, ასევე, ფაკულტეტების წარმომადგენლები და ის აკადემიური პერსონალი, რომლებიც სტუდენტებში განსაკუთრებული ნდობით სარგებლობენ და არჩევნების პროცესის მეთვალყურეობის სურვილს გამოთქვამენ.

— ***სტუდენტურმა მოძრაობამ „სტუდენტური ხმა" ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. საინტერესოა თქვენი პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით...***

— არჩევნებს ბოიკოტი შეიძლება გამოუცხადო მაშინ, როდესაც ცესკოში დარეგისტრირების მცდელობა მანამდე არ გქონია. „სტუდენტურმა ხმა"-მ წარმოადგინა, დაახლოებით, 150 ,,აკანაკლული" სია, ანუ საჭირო 1530 სტუდენტის ხელმოწერის ნაცვლად მოგვიტანეს 1390 პირის მონაცემები. გარდა ამისა, წარმოდგენილ სიებში დავაფიქსირეთ 300-მდე სხვადასხვა სახის თუ ტიპის შეცდომა. მიუხედავად იმისა, რომ მათ, ჩვენი სამუშაო რეჟიმის არანორმალურად დატვირთვის ფონზე, დამატებით სამ დღიანი ვადა მივეცით ხარვეზების გამოსასწორებლად, სრულყოფილად მაინც ვერ მოახერხეს ხელმოწერების შეგროვება და ვფიქრობ, რომ საკუთარი იმიჯის ,,გასამართლებლად" მიმართეს ამ ხერხს — ბოიკოტის ფორმას. ეს მხოლოდ დასანანია...

— ***არსებობდა პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტთა ხელმოწერების შესაგროვებლად თითქოსდა მათ მცირე დრო ჰქონდათ მიცემული და რომ ვადებში შეზღუდულნი იყვნენ...***

— დამოუკიდებელი კანდიდატების ნაწილმა მოახერხა წარმოედგინა აბსოლუტურად უშეცდომო, უხარვეზო სიები და დროულად დავარეგისტრირეთ (იყვნენ სტუდენტები, რომლებმაც 1 დღეში მოიტანეს უხარვეზო სია). ცესკო აპირებს, მადლობა გადაუხადოს ასეთ სტუდენტებს იმ პასუხისმგებლობისთვის, რაც მათ გამოავლინეს ამ სიების წარმოდგენისას. მათ კი, რომელთა სიებშიც უხეში თუ უნებლიე შეცდომები დაფიქსირდა, დამატებით 14 მაისის ჩათვლით 18 საათამდე მივეცით ხარვეზების გამოსწორების საშუალება. რამდენიმე სტუდენტმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ეს დამატებითი დრო და სერიოზულადაც იმუშავა. ვინც კი შემდეგ უკვე სრულყოფილად წარმოადგინა სია, ყველა დარეგისტრირდა.

— ***არჩევნების ჩატარებიდან რამდენ ხანში იქნება სავარაუდოდ შედეგები ცნობილი და რამდენად არის უზრუნველყოფილი — ოპონენტების მხრიდან ამ შედეგების მოსალოდნელ რევიზიას მხოლოდ სამართლიანობა დაუპირისპიროთ, რათა უნივერსიტეტმა თავიდან აიცილოს გარკვეული გაუგებრობები...***

— 18 მაისს ტარდება არჩევნები. ჩვენ შევეცდებით, რომ 19 მაისს — დილით ან 18 მაისს — გვიან ღამით უკვე იყოს შედეგები ცნობილი. როგორც კი საუბნო კომისიებიდან მოვა შემაჯამებელი ოქმები, ჩვენ დავითვლით და შევაჯამებთ საბოლოო შედეგებს, შევადგენთ შემაჯამებელ ოქმს და შაბათს დილით უკვე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება არჩევნების შედეგების სიღრმისეულად გაცნობისა და განხილვის შესაძლებლობა. 19 მაისს იქნება მზად შემაჯამებელი ოქმი. თუკი ვინმე დაინტერესებული პირი აღმოაჩენს დარღვევას, მას გასაჩივრების უფლება აქვს – ამისთვის ერთი დღე აქვთ გამოყოფილი. შემდეგომ ამისა, როდესაც შემაჯამებელი ოქმი შევა ძალაში, ცესკო მოიწვევს პირველ საერთო კრებას. საერთო კრებაში შევა ყველა არჩეული დელეგატი. შეგახსენებთ, რომ ამისათვის რეგისტრირებულია 3 სტუდენტური ორგანიზაცია თავისი 144 კანდიდატით და 10 დამოუკიდებელი კანდიდატი. თუ რომელ ფრთას წარმოადგენენ ისინი და ვინ იქნებიან, ამას, რა თქმა უნდა, ამომრჩეველი გადაწყვეტს.

დიმიტრი გეგენავა:

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში რეგისტრაცია უკვე დასრულებულია. რეგისტრირებულია 3 ორგანიზაცია: „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა", „სტუდენტები სტუდენტებისათვის" და „თსუ — ალიანსი სტუდენტებისათვის", რომელთაც ჰყავთ 144 კანდიდატი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში. ასევე დარეგისტრირებულია 10 დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელთაგან 9 არის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ხოლო 1 – იურიდიული ფაკულტეტიდან. საბოლოო მონაცემებით, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში 120 ადგილზე 154 მსურველია დარეგისტრირებული.

რაც შეეხება სხვა დამოუკიდებელ კანდიდატებსა და ორგანიზაციებს, სულ სტუდენტურ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 4-მა სტუდენტურმა ორგანიზაციამ და 24-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა. უარი ეთქვა 1 სტუდენტურ ორგანიზაციას და 13 დამოუკიდებელ კანდიდატს. 1-მა კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი საკუთარი სურვილით განაცხადა.

იმ ორგანიზაციებს და დამოუკიდებელ კანდიდატებს, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ, აღენიშნებოდათ მნიშვნელოვანი ხარვეზები.

„სადისკუსიო კლუბში"

12 მაისს თსუ-ის პირველ პორპუსში საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტის პროექტის — sociom.ge-ს ფარგლებში თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის" ეგიდით „სადისკუსიო კლუბის" მორიგი შეხვედრა გაიმართა ამჯერად თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელ კანდიდატებთან, რომელთაც აუდიტორიის წინაშე საარჩევნო პროგრამები წარმოადგინეს და დისკუსიის რეჟიმში სტუდენტებს საკუთარი ხედვები და მოსაზრებები გააცნეს.

„დაჭერილი ფრაზა"

გიორგი გრიგოლაშვილი:

„ერთი შედარება მინდა გავაკეთო. ორი წლის წინ, როდესაც სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდა, მეც ვიყავი კანდიდატი. იმასთან შედარებით, რაც მაშინ ხდებოდა, დღევანდელი წინასაარჩევნო ვითარება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ნაბიჯები უფრო პროგრესისკენ არის გადადგმული. მაშინ არ იყო ასეთი ღია, საჯარო სივრცე, სადაც ჩვენ შეგვეძლებოდა კანდიდატების პროგრამებზე გვესაუბრა..."

(თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, „სადისკუსიო კლუბის" სპიკერი).

ოთარ კობახიძე:

რექტორის ბრძანება სასწავლო ლიტერატურის კვალიფიციურად თარგმნის პროცესის დასაწყებად მისასალმებელია, მაგრამ არ ვთვლი, რომ ეს ყველა პრობლემას აღმოფხვრის. როდესაც საათში თსუ

მე-10 გვერდზე

ინიციატივა

ინტეგრაციაზე ორიენტირებული არაქართულენოვანი სტუდენტები

ნატო ობოლაძე

უკვე მესამე წელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება. ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები სახელმწიფო ენას სპეციალურად მათთვის შემუშავებული სილაბუსების მიხედვით ეუფლებიან. ქართული ენის უკეთ შესასწავლად ამ სტუდენტებს ბიბლიოთეკით სარგებლობისა და უნივერსიტეტში ქართულენოვანი აუდიო-მასალებისა და ფილმების ნახვის საშუალებაც აქვთ. მათ, ასევე, ნებისმიერ დროს შეუძლიათ გაიარონ კონსულტაციები პროფესორ-მასწავლებლებთან. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის ინიციატივითა და დახმარებით, სტუდენტები, სწავლის პარალელურად, ქართულ კულტურასაც ეცნობიან — ათვალიერებენ მუზეუმებს, ისტორიულ ძეგლებს და ა.შ. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ერთი წლის განმავლობაში გრძელდება, რომლის მიზანიც გახლავთ ის, რომ კურსდამთავრებულებმა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება ქართულ ენაზე შეძლონ. თუმცა, არსებობს სტუდენტთა ერთი ნაწილი, რომელმაც პროგრამაზე ჩარიცხვისას სახელმწიფო ენა საერთოდ არ იცოდა და ამიტომ ერთი წლის განმავლობაში ენის სათანადო დონეზე შესწავლას ვერ ახერხებს. ერთი წელი უცხო ენის დასაუფლებლად რომ ძალიან ცოტა დროა, ამას მათი პედაგოგებიც ადასტურებენ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ არაქართულენოვანი სტუდენტები ქართულ ენობრივ გარემოში მეტ დროს გაატარებენ და ქართველ სტუდენტებთანაც ხშირი ურთიერთობა ექნებათ, სახელმწიფო ენის შესწავლა ბევრად გაუადვილდებათ.

ზურაბ ბაღაშვილი

ნუბარ გაირამოვი:

„თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში არ ვარ და არ ვიცოდი, თუ მათი დახმარებით სხვადასხვა ღონისძიების მოწყობა შეიძლებოდა. ეს ინფორმაცია უფრო ადრე რომ გაგვეგო, უკეთესი იქნებოდა. ვფიქრობ, ქართველ და სომეხ გავშვებთან ერთად ექსკურსიაზე ან ბანაკში წასვლა ჩვენს დამეგობრებას შეუწყობს ხელს და ქართული ენის უფრო კარგად შესწავლაშიც დაგვეხმარება“

მურაზ მურადოვი:

„ჩვენთან ძალიან თბილი გარემოა. ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. სამწუხაროდ, ქართველ სტუდენტებთან კავშირი არ გვაქვს. ჩვენ ლექციები ავლაგარში გვიტარდება — თსუ-ის კორპუსებისგან მოშორებით და ამიტომ მათ ვერ ვეკონტაქტებით. შარშან ჩვენი მიმართულების გავშვები მეხუთე კორპუსში სწავლობდნენ, სადაც ქართველ სტუდენტებთან საუბრის საშუალება ჰქონდათ. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან კარგად ვიცით, რომ ენის შესასწავლად მხოლოდ წიგნების კითხვა არ არის საკმარისი. აქ თითქოს ჩაკეტილ გარემოში ვართ. ძალიან გაგვიხარდება, თუ ქართველ სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა პროექტში მივიღებთ მონაწილეობას, დავმეგობრდებით და ურთიერთობას პროექტების დასრულების შემდეგაც გავაგრძელებთ“.

არმან არუთინიანი:

„ჩვენ ვმეგობრობთ აზერბაიჯანელებთან. ძალიან კარგი ადამიანები არიან. მომავალში მინდა, რომ სწავლა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე გავაგრძელო, დიპლომატის პროფესია შევისწავლო და ადამიანებს ურთიერთობების გაუმჯობესებაში დავეხმარო“.

„თსუ-ში ძალიან კარგი გარემოა შექმნილი იმისათვის, რომ ბავშვებმა ქართული ენა შეისწავლონ. ჩვენი კურიკულუმი დაფუძნებულია ქართულ და უცხოურ გამოცდილებაზე. ერთი წელია, რაც აქ ვმუშაობ და შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი სტუდენტების ნაწილი თავისუფლად შეძლებს ბაკალავრიატში ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელებას, თუმცა გვყავს სუსტი ჯგუფებიც. მათ დღეში 7-8 ლექცია უტარდებათ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ ისინი ქართულ ენობრივ გარემოში იყვნენ; იმეგობრონ ქართველ სტუდენტებთან; მათთან ერთად წავიდნენ ექსკურსიებზე, ბანაკებში; მოაწყონ სხვადასხვა ღონისძიებები, რაშიც, ვფიქრობ, მათ სტუდენტური თვითმმართველობა უნდა დაეხმაროს,“ — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მონწვეულმა პროფესორმა ზურაბ ბაღაშვილმა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულმა სტუდენტებმა იციან, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობა არსებობს, თუმცა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული პროექტების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. ქართველ სტუდენტებთან დამეგობრებისა და ურთიერთობის სურვილი კი დიდი აქვთ. ჩვენთან საუბრისას მათ რამდენიმე ერთობლივი ღონისძიების გამართვის ინიციატივაც წამოაყენეს.

თსუ-ის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები საქართველოს იმ რეგიონებიდან არიან, სადაც მოსახლეობამ სახელმწიფო ენა არ იცის. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდების ნაწილი სწავლის დასრულების შემდეგ მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქართული ენის სწავლების დაწყებას გეგმავს. თუმცა, მანამდე დიდი დროა და სტუდენტებიც, საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და ქართველ ახალგაზრდებთან დამეგობრების მიზნით, რამდენიმე პროექტის მომზადებასა და მათი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისთვის შეთავაზებას აპირებენ.

„საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაციის“ ყრილობა თსუ-ში

შურთხია გეროშვილი

10 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაციის“ I ყრილობა გაიმართა, რომელიც აზერბაიჯანის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ჰეიდარ ალიევის დაბადების დღეს მიეძღვნა. ყრილობა იმ ეთნიკური აზერბაიჯანელების ორგანიზებით ჩატარდა, რომლებიც პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამის — „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში გახდნენ სტუდენტები და დღეს უკვე სახელმწიფო ენაზე ეუფლებიან მომავალ პროფესიებს.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ავალიანი და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ყრილობის მონაწილეებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მიესალმა, რომელმაც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„სახელმწიფოს ძლიერებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, თავს გრძნობდეს ამ ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ და პატრიოტად. 350-ზე მეტი აზერბაიჯანელი ეროვნების ახალგაზრდა უკვე სწავლობს ქართულ სექტორზე და ისინი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს ისეთივე პატრიოტები იქნებიან, როგორც ყველა ჩვენგანი. ამაშია ჩვენი ქვეყნის ძლიერება და ამას მოასწავებს ჩვენი გერბის მთავარი ლოგოც — „ძალა ერთობაშია“, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ეთნიკური უმცირესობების წამახალისებელ საგანმანათლებლო პროექტებზე მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ ისაუბრა. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროექტს, რომლითაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელი და სომეხი აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას სპეციალური კვოტებით სარგებლობენ — ისინი მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდას მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულად და სომხურად) აბარებენ, ერთი წლის განმავლობაში ქართულ ენას ინტენსიურად სწავლობენ და შემდეგ წელს სასურველ ფაკულტეტზე სწავლას უკვე უმაღლესი განათლების მისაღებად აგრძელებენ. წელს ასობით სომეხი და აზერბაიჯანელი აბიტურიენტი არჩევანს სამინისტროს მიერ სწორედ ამ დანერგილ პროგრამაზე აკეთებს, მაშინ, როდესაც პროექტის დასაწყისში აღნიშნულ ინიციატივას მხოლოდ 3-4 მსურველი ეხმაურებოდა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი სწორი გზით მიდის“, — განაცხადა ნოდარ სურგულაძემ.

როგორც ყრილობაზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი ავალიანმა აღნიშნა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობის აქტიურად ჩართვის მიზნით სამინისტრო ახალგაზრდებს არაერთი საინტერესო ინიციატივის განხორციელებას სთავაზობს და ამ მხრივ მათ ყოველმხრივ გვერდში დგომას ჰპირდება.

ყრილობაზე აზერბაიჯანელ სტუდენტებს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმაც მიმართა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების განათლებას ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის.

„ყველა ვაცნობიერებთ, რაოდენ საჭიროა ეს პროექტები. სასიამოვნოა, რომ არაქართულენოვან სტუდენტთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. წლევანდელი მონაცემებით, თსუ-ში 250 აზერბაიჯანელი სტუდენტი სწავლობს. შემდეგ წელს უფრო მეტ აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდას ველოდებით, რაც თავისთავად მეტყველებს

იმაზე, რომ მათი ინტეგრაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს“, — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაციამ“ ყრილობაზე მათ მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა. ორგანიზაციის თავმჯდომარემ სამირა ისმაილოვამ სტუმრებს ორგანიზაციის მიღწევები და სამწლიანი სტრატეგია გააცნო. მისი ინფორმაციით, „საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაცია“ 2008 წელს დაფუძნდა და მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები სტუდენტი-ახალგაზრდა გაერთიანდა. „ასოციაცია ჩართულია სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში, რაც აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ქართულ საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას ისახავს მიზნად. გვიხარია, რომ ჩვენი ძალისხმევის შედეგად ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება, რაც გვაძლევს იმედს, რომ მომავალში სიტუაცია კიდევ უფრო სასიკეთოდ შეიცვლება“, — აღნიშნა სამირა ისმაილოვამ, რომელმაც ყრილობის დასასრულს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს უნივერსიტეტის აზერბაიჯანელი სტუდენტების ხელმოწერილი სიგელი გადასცა.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲜᲐᲤᲘᲪᲘ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ „ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ“

ᲜᲐᲗᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

„ნაფიცი მსაჯული 4“ იწყება. „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია — საქართველოს“ მიერ ორგანიზებული იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩემპიონატი მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართება. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებს პროექტში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის გავლა 18 მაისიდან 27 მაისამდე შეეძლებათ. მათ ელექტრონული სააპლიკაციო ფორმა „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია — საქართველოს“ ვებგვერდზე www.elsa.ge უნდა შეავსონ. შერჩევა გუნდური პრინციპით მოხდება და თითოეულ გუნდში 3-3 მონაწილე იქნება. შესარჩევი ტური თბილისში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება, რომელიც აპლიკანტების ტესტირებას ითვალისწინებს. აღნიშნული ტური თბილისში ორ ეტაპად ჩატარდება — ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი, როგორც „ELSA-საქართველოს“ წევრებმა განმარტეს, დედაქალაქში პროექტში მონაწილეობის მსურველთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობაა. მონაწილეობის მსურველებს დამატებით გასაუბრების გავლაც მოუწევთ.

ტესტირება თბილისში 2 და 3 ივნისს, გორსა და ქუთაისში 2 ივნისს, ბათუმში კი 3 ივნისს გაიმართება. პროექტის მეორე ეტაპზე (12-13 ივნისს) შერჩეულ მონაწილეებს ტრენინგები ჩაუტარდებათ, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს. იმიტირებული სასამართლო პროცესები უზენაეს სასამართლოში გაიმართება. პირველი შესარჩევი პროცესი 16 ივნისს, ნახევარფინალი კი 23 ივნისს შედგება. ფინალი და პროექტის დახურვა 3 ივლისს არის დაგეგმილი. პროექტში „ნაფიცი მსაჯული 4“ ჩართვა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ახალგაზრდა იურისტების გარდა, სხვა პროფესიის ადამიანებსაც შეუძლიათ — ნაფიცი მსაჯულის სახით. ექსპერტებისა და ბრალდებულების როლისათვის კი მონაწილეები საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შეირჩევიან. პროექტში „ნაფიცი მსაჯული 4“ გამარჯვებული გუნდის წევრები სტაჟირებას „კორძაძის საადვოკატო ბიუროში“ გაივლიან.

„ნაფიცი მსაჯული“ „ELSA-საქართველოს“ ერთერთი მნიშვნელოვანი პროექტია — გამორჩეული მასშტაბურობით და სტუდენტთა განსაკუთრებული დაინტერესებით. ისევე როგორც წინა წლებში, ამჯერადაც სტუდენტებისგან მოგვდიოდა მოკლე ტექსტური შეტყობინებები — თუ როდის დავიწყებდით ამ პროექტს, რაც ძალიან გვახარებს. ახლა უკვე სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებს ვთავაზობთ პროექტ „ნაფიცი მსაჯულის“ მეოთხე სეზონს, როდესაც მათ დიდი პროფესიული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მიეცემათ“, — აღნიშნა „ELSA-საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტმა თამარ პაპაშვილმა.

„ELSA-საქართველოს“ პროექტი „ნაფიცი მსაჯული 4“ რამდენიმე პარტნიორი ორგანიზაციის ხელშეწყობით ხორციელდება. მათ შორისაა: საქართველოს უზენაესი სასამართლო, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თსუ, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, „კორძაძის საადვოკატო ბიურო“, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო“ და „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ (GIZ).

„ნაფიცი მსაჯული 4“-ის პრეზენტაცია 7 მაისს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა, რომელსაც, პროექტის ორგანიზატორებისა და სტუდენტების გარდა, აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

„ჩვენი ორგანიზაცია დადებითად აფასებს „ELSA-საქართველოს“ მიერ განხორციელებულ პროექტებს. მოვუწოდებ სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ „ნაფიც მსაჯულ 4“-ში, რადგან ეს პროექტი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზს ითვალისწინებს და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა. „ELSA-საქართველო“ ქვეყნის მასშტაბით იურიდიული განათლების ხარისხის გაზრდაზე ზრუნავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ წევრმა ეთუნა ჩაჩანიძემ.

პროექტის „ნაფიცი მსაჯული 4“-ის პრეზენტაცია ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) 31 წლის და „ELSA-საქართველოს“ 3 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ“

20-22 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კავკასიის ფონდის ორგანიზებით გაიმართა პირველი საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „კავკასია, როგორც ერთიანი კულტურული და ეკონომიკური სივრცე“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის, თბილისის სამხატვრო აკადემიის და თურქეთის, ირანის, რუსეთის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების: ყარაჩაი-ჩერქეზეთის უ. დ. ალიევის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჩეჩნეთის, დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტების, ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კავკასიის რეგიონის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები კონფერენციაზე მოხსენებებითა და სასტენდო პრეზენტაციებით წარსდგნენ.

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

„ისტორიულად კავკასიის კულტურული და ეკონომიკური ცენტრი თბილისი იყო, რომელიც თავისი მულტიეთნიკურობით, მულტიკონფესიურობითა და, შესაბამისად, მულტიკულტურებით გამოირჩეოდა. ქართველი და კავკასიელი კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები ყოველთვის ცდილობდნენ ეროვნული ტრადიციების და ადათ-წესების შენარჩუნებასა და თანამედროვეობისთვის მის მისადაგებას. კავკასიელი ხალხების ურთიერთდაახლოების საქმეში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკონომიკური ურთიერთობები. აბრეშუმის დიდი გზის ისტორიული მარშრუტიც საქართველოზე გადიოდა.

კონფერენციამ საშუალება მისცა მომხსენებლებსა და მონაწილეებს წარმოეჩინათ საკუთარი ხედვა და ემსჯელათ კავკასიაში ერთიანი კულტურული და ეკონომიკური სივრცის შექმნის პერსპექტივებზე და მათ გააზრებაზე ევროინტეგრაციის პროცესებში, აგრეთვე, საგარეო ფაქტორთა როლზე ამ სივრცის შექმნაში“, — აღნიშნა კონფერენციის ორგანიზატორმა, თსუ-ის პროფესორმა ია ხუბაშვილმა.

„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებს ჰქონდეთ დიალოგი საერთო კულტურულ-ეკონომიკურ პრიორიტეტებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას სტუმრებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოთქვეს დიალოგისა და ურთიერთობების გაღრმავების სურვილი. ამ ყველაფერს შედეგად მოჰყვა ის, რომ კონფერენციის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის შესახებ, რაც უთუოდ ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადასვლის წინაპირობად და საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ. ვიმედოვნებთ, რომ კონფერენცია ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს და ეს ფორმატი იქნება ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავების დამატებითი პლატფორმა“, — აღნიშნა კონფერენციის ერთერთმა ორგანიზატორმა, ბალტიის საერთაშორისო აკადემიის მაგისტრანტმა გივი ბარამიძემ.

კონფერენცია მეორე დღეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაგრძელდა, ღონისძიების საზეიმო დახურვის ცერემონიალი კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, რომელზეც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ფარუქ გურსოიმ კონფერენციის გამარჯვებულ მონაწილეებს საერთაშორისო სერტიფიკატები, ფულადი პრემიები და პრიზები გადასცეს. კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილი იყო სხვადასხვა ღონისძიებები, რომელმაც 3 დღეს გასტანა: სტუმრები იმყოფებოდნენ აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკაში, საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, სადაც შეხვდნენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. დღის ბოლოს შეხვედრა გაიმართა კავკასიის ფონდში მის პრეზიდენტთან, პროფესორ გივი ღამბაშიძესთან.

გაკვალული გზა სკოლიდან უნივერსიტეტისაკენ

ფიზიკის პირველი ექსპერიმენტული ტურის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

ფიზიკის პირველი ექსპერიმენტული ტური, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში გაიმართა, 12 მაისს გამარჯვებულების გამოვლენით და დაჯილდოებით დასრულდა.

მაია ტორაძე

ფიზიკის პირველი ექსპერიმენტული დასკვნითი ტური, რომელშიც 44 მოსწავლე მონაწილეობდა, 5 მაისს გაიმართა.

როგორც ერთერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ატომური ფიზიკის ლაბორატორიის გამგემ რამაზ ლომსაძემ აღნიშნა, ტურის თემატიკა სასკოლო პროგრამის ფარგლებში შეირჩა და თითქმის იგივე შინაარსისა იყო, როგორიც პირველ ტურში. მხოლოდ უფროსკლასელებისთვის დაემატა მას რამდენიმე საკითხი აკუსტიკისა და ოპტიკის სფეროდან.

განსხვავება იყო ექსპერიმენტის ჩატარების სპეციფიკაში. თუ პირველ ტურში მონაწილეებს შეეძლოთ ცდა ჯგუფურად (2-3 მოსწავლეს ერთად) ჩაეტარებინათ, ამჯერად ყველა მოსწავლეს თავისი კონკრეტული ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი.

„მოსწავლეებმა, ძირითადად, კარგი შედეგი აჩვენეს, მაგრამ შეჯამებისას გამოიკვეთა ფიზიკის ის სფეროები, რა მხრივაც სკოლები განსაკუთრებით მოიკოჭლებენ. ყველაზე მეტად ეს მეცხრეკლასელთა ნამუშევრებს ეტყობოდა. მათ ფინალურ ტურზე მოსაზრებითი ამოცანა ჰქონდათ შესასრულებელი, რისი დაძლევაც ბევრს გაუჭირდა. აშკარაა, რომ მათემატიკური ამოცანების გადაჭრა – წრის ფართობის ან წრეწირის სიგრძის განსაზღვრა, მათთვის რთული აღმოჩნდა. ვისაც ასეთი ამოცანა შეხვდა, მათ შორის მხოლოდ 4-მა გაართვა დავალებას თავი. XII კლასელებს გაუჭირდათ ამოცანების ამოხსნა ელექტრომაგნიტური ტალღების და აკუსტიკის სფეროდან. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ტური, გარდა იმისა, რომ წამახალისებელი და ცოდნის განმსაზღვრელია, იმასაც აჩვენებს, ფიზიკის რომელ სფეროში უნდა გააქტიურდეს სკოლებში მუშაობა,“ — განაცხადა რამაზ ლომსაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნითი ტურის მონაწილეთა და გამარჯვებულთა შორის ბევრი თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ აქტიური მსმენელი იყო.

„საბავშვო უნივერსიტეტის და ქალბატონ მარინა ლომოურის დამსახურებაა, რომ უნივერსიტეტს სკოლებთან ასეთი მჭიდრო ურთიერთობა აქვს. მოსწავლეები ყოველ კვირაში მოდიან და „ნორჩ ფიზიკოსთა სკოლის“ ფარგლებში ლექციებს ისმენენ პოპულარულ ენაზე, ხოლო კვირის ერთი დღე გამოყოფილია სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთათვის, რომლებსაც ლექციებთან ერთად ცდებსაც ვუტარებთ. უფრო მეტიც, ,,საბავშვო უნივერსიტეტის” მსმენელებს ზოგჯერ თავადაც ვაკითხებთ ხოლმე ლექციებს, მაგალითად, დასკვნით ტურში გამარჯვებულებს შორისაა 55-ე საჯარო სკოლის მოსწავლე მიხეილ ციციშვილი, რომელმაც ცოტა ხნის წინ მშვენიერი ლექცია წაიკითხა თავისი თანატოლებისთვის... ,,საბავშვო უნივერსიტეტის” ფარგლებში ამ სამუშაოს ჩატარებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ რექტორის მრჩევლის მარინა ლომოურის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძისა და ფაკულტეტის დეკანის რამაზ ბოჭორიშვილის მხარდაჭერით თანამედროვე კაბინეტ-ლაბორატორია გავაკეთეთ. ასე რომ, ბავშვებს უკვე ძალიან კარგ გარემოში უწევთ ლექციების მოსმენა და ექსპერიმენტების ნახვა,“ — გვითხრა რამაზ ლომსაძემ.

12 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის პირველი ექსპერიმენტული ტურის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. ფინალური ტურის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატები, ხოლო მათ შორის საუკეთესო 14 მოსწავლეს, პირველი ხარიხსის სერტიფიკატთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი წიგნი — „საუკუნის ნიშანსვეტი“ უსახსოვრეს.

დასკვნით ექსპერიმენტულ ტურში გამარჯვება მოიპოვეს: ზურაბ ტყეშელაშვილმა (თბილისის 42-ე საჯარო სკოლა, მე-8 კლასი); ანანო თურქიშვილმა (ახმეტის მე-2 საჯარო სკოლა, მე-8 კლასი); თათია შარიამ (თბილისის 42-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი); თორნიკე კილაძემ (თბილისის 42-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი); მიხეილ ციციშვილმა (თბილისის 55-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი); ცოტნე დადიანმა (თბილისის 199-ე საჯარო სკოლა, მე-8 კლასი); ნიკა ვარდიაშვილმა (თბილისის 157-ე საჯარო სკოლა, მე-8 კლასი); გიორგი მეშველიანმა (თბილისის 199-ე საჯარო სკოლა, მე-10 კლასი); გიორგი წერეთელმა (თბილისის 199-ე საჯარო სკოლა, მე-9 კლასი); ლევან ბორიანმა (თბილისის 98-ე საჯარო სკოლა, მე-11 კლასი); ნუგზარ ნაბახტიანმა (თბილისის 199-ე საჯარო სკოლა, მე-8 კლასი); გიორგი გედენიძემ (თბილისის 199-ე საჯარო სკოლა, მე-9 კლასი); ლექსო თოიძემ (თბილისის 199-ე საჯარო სკოლა, მე-9 კლასი) და გიორგი ცირეკიძემ (თბილისის 199-ე საჯარო სკოლა, მე-9 კლასი);

მსგავსი ტურები უნივერსიტეტში მომავალშიც ჩატარდება. გარდა იმისა, რომ ოლიმპიადები და სასწავლო ტურები ცოდნის გაღრმავებას უწყობს ხელს, ეს არის კარგი საშუალება გზის გაკვალვისა სკოლიდან უნივერსიტეტისკენ და უნივერსიტეტიდან სკოლისაკენ.

ცერნი — ღია კარი ახალგაზრდებისთვის

თანამედროვე მეცნიერების მიღწევების ახალგაზრდებისთვის გაცნობა საშური და აუცილებელია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ინიციატივით გამართული საჯარო ლექციები. სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მეცნიერებაში დანერგილ სიახლეებზე ინფორმაცია მოისმინონ ცნობილი და თავიანთ სფეროში კომპეტენტური მეცნიერებისგან.

3 მაისს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში პროფესორმა ჯემალ ხუბუამ საჯარო ლექცია: — „ცერნი — ღია კარი ახალგაზრდებისთვის“ წაიკითხა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

შურთხია ბეროშვილი

როგორც ცნობილია, ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი (CERN) მსოფლიოს 18 ქვეყნის მიერ შვეიცარიისა და საფრანგეთის საზღვარზე 1954 წელს დაარსდა. „ცერნი“ შეიქმნა ისეთი მასშტაბური კვლევების ჩასატარებლად, რომლის განხორციელებას დამოუკიდებლად მხოლოდ ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებდა. ამჟამად ბირთვული კვლევების ევროპელ ცენტრში 85 ქვეყნიდან 8000-ზე მეტი მეცნიერი მუშაობს. მათ შორის არიან ქართველები, რომლებიც 10 მილიარდი დოლარის ღირებულების ყველაზე გრანდიოზულ და ამბიციურ სამეცნიერო პროექტში — ნაწილაკთა შეჯახება, სამყაროს წარმოშობის ახსნის ცდებში არიან ჩართულები. ექსპერიმენტები დედამიწის ზედაპირიდან 100 მეტრის სიღრმეში განლაგებულ ამაჩქარებელში ტარდება, სადაც მაღალი ენერგიის პროტონების ხელოვნურად შეჯახების საშუალებით ე.წ. დიდი აფეთქებისა და სამყაროს ფორმირების იმიტაცია კეთდება. პროფესორი ჯემალ ხუბუა დიდ ადრონულ კოლაიდერზე მომუშავე ქართულ ჯგუფს უდგას სათავეში.

ლექციაზე პროფესორმა ჯემალ ხუბუამ ვრცლად ისაუბრა ფიზიკის, როგორც მეცნიერების ერთერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაზე და ახალგაზრდებს ცერნში მიმდინარე კვლევები გააცნო.

პროფესორმა ზოგადად მეცნიერების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ კუთხით საზოგადოების ინფორმირებულობას სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება სჭირდება.

„სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერების მიმართ ინტერესი გაიზარდა და ამის შედეგია ის, რომ ახალგაზრდების დამოკიდებულებაც იცვლება. მოსწავლეებთან ხშირად მქონია შეხვედრა და უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად გულგატეხილიც კი ვიყავი, რადგან ფიზიკის დარგის მიმართ მოთხოვნა ნაკლები იყო. მიხარია, რომ ეს ინტერესი დღითი დღე მატულობს. რა თქმა უნდა, ყველა თქვენგანი მეცნიერი ვერ გამოვა, მაგრამ ჩამოყალიბდება საზოგადოება, რომელსაც მეტი პატივისცემა გაუჩნდება მეცნიერების მიმართ. გარდა ამისა, ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მეცნიერულ მიღწევებზე, თუ რა ხდება დღეს მსოფლიოში. თქვენ ამ ეპოქის მაჯისცემას უნდა უგდებდეთ ყურს.

I კლასიკური გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე ლევან ძეგველაშვილი:

„ცერნში მიმდინარე ექსპერიმენტებით დიდი ხანია დავინტერესდი, მინდოდა მეტის გაგება და მიხარია, რომ ეს სურვილი ავისრულე“.

დღეს ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი მსოფლიო ყურადღების ცენტრშია და ეს შემთხვევითი არ არის. ხშირად ადამიანი ვერც კი აცნობიერებს, რა მნიშვნელობა აქვს ამ აღმოჩენებსა და კვლევებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღეს აღარავის უკვირს, რომ დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან ადამიანები კავშირს უპრობლემოდ ამყარებენ, რაც ცნობილი მეცნიერის მაქსველის დიდი დამსახურებაა, რომელიც ელექტრომაგნიტიზმზე მუშაობდა და შექმნა განტოლებები, რომელიც საფუძვლად დაედო ამ თანამედროვე ტექნიკის შექმნას. ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანე, რომ ძალიან ხშირად თავად სახელმწიფოების მეთაურებსაც კი არ აქვთ გაცნობიერებული, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი მეცნიერული აღმოჩენები. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელობა აქვს იმ ფუნდამენტალურ კვლევებსაც, რომლის შედეგები ხშირად არც კი ვიცით, რით დასრულდება. მეცნიერების ყველა მიმართულება თავისებურად საინტერესოა“, — აღნიშნა ჯემალ ხუბუამ სტუდენტებთან საუბრისას.

პროფესორი სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს ცერნში განხორციელებულ კვლევებზე ესაუბრა და სლაიდშოუებისა და დოკუმენტური ფილმის საშუალებით მათ ამ გრანდიოზული სამეცნიერო ცენტრის შესახებ ინფორმაცია გააცნო.

საჯარო ლექციამ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია. „ბოლო დროს სკოლებში საბუნებისმეტყველო დარგებისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში გამართულ საჯარო ლექციაზე დასწრების სურვილი ჩემი მოსწავლეების უმრავლესობამ გამოთქვა. ისეთ დიდ მეცნიერთან შეხვედრას, როგორიც ბატონი ჯემალ ხუბუაა, მართლაც, დიდი მნიშვნელობა აქვს“, — განაცხადა პირველი კლასიკური გიმნაზიის ფიზიკის პედაგოგმა ეკა ჯაჯანიძემ.

„დღევანდელი ლექცია მნიშვნელოვანია, რადგან ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის ქართული ჯგუფის ხელმძღვანელმა ჯემალ ხუბუამ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს უშუალოდ გააცნო ის მეცნიერული კვლევები, რასაც მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს. ცხადია, დაინტერესებულები ვართ, რომ ასეთ კვლევით ცენტრებში ქართველი მეცნიერების ახალი თაობა მოვიდეს და სწორედ ასეთი ახალგაზრდების აღზრდას ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა და „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა მარინა ლომოურმა.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ 2012

პირველი გვერდიდან

— თქვენს საარჩევნო პლაკატზე მითითებულია ყველა ის ღონისძიება, რაც სტუდენტურ თვითმმართველობას აქამდეც გაუტარებია და რის გაკეთებასაც მომავალშიც გეგმავთ. მათ შორისაა: სტუდენტური კონფერენციები, საქველმოქმედო ღონისძიებები, კონცერტები, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური შეჯიბრებები და უფასო ექსკურსიები. ამ ყოველივეს ჩამოთვლა „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" ერთგვარი წინასაარჩევნო პროგრამის შეთავაზებადაც შეიძლება მივიჩნიოთ სტუდენტთა წინაშე ჩაბარებული თქვენი 2 წლიანი მუშაობის ანგარიშის ფონზე. საინტერესოა, რამდენად ახერხებთ სტუდენტთა მასშტაბურად ჩართვას მსგავს ღონისძიებებში?

— ჩვენ ვახორციელებთ ისეთ მასშტაბურ პროექტებს, რომელშიც მონაწილე სტუდენტთა რაოდენობაც საკმაოდ დიდია. მაგალითად, იგივე ინტელექტუალურ თამაშში — „რა? სად? როდის?", რომელიც ამ კვირაში დაიწყება, ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველი 1100 სტუდენტია უკვე დარეგისტრირებული. რაც შეეხება სპორტულ ღონისძიებებს, ფეხბურთის ტურნირი ამჟამადაც მიმდინარეობს, რომელშიც უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტიდან, დაახლოებით, 80 გუნდი მონაწილეობს. რაც შეეხება კულტურულ ღონისძიებებს, ბოლოს გაიმართა „სტუდენტური დღეები", რომელშიც, ასევე, მრავალი სტუდენტი იღებდა მონაწილეობას — I კორპუსის სააქტო დარბაზი მთლიანად სავსე იყო. ასე რომ, სტუდენტთა აქტივობას ნამდვილად არ ვუჩივით. წინა სემესტრის შემაჯამებელ

ᲑᲔᲥᲐ ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ:
ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ტᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲐᲪ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲨᲔᲘᲕᲡᲝᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ანგარიშში ჩვენ წარმოდგენილიც გვქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სტუდენტური თვითთმმართველობის ღონისძიებებში 39 000-მდე სტუდენტი (მათი რეგულარული მონაწილეობის გათვალისწინებითაა ეს რიცხვი დადგენილი) იყო ჩაბმული.

— სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში როგორც აქტიურად ჩართული „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" წევრი, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, წინასაარჩევნოდ რა სიახლეს სთავაზობთ უნივერსიტეტის სტუდენტებს? რა არის აუცილებლად შესანარჩუნებელი თქვენს მიერ განხორციელებული პროექტებიდან თუ გეგმებიდან და რა არის გასაახლებელი?

— ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, გაიზარდოს სტუდენტთა აქტივობა უნივერსიტეტში და მათი ჩართულობა იმ ღონისძიებებში, რასაც წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა ახორციელებდა. ჩვენს პრიორიტეტად კვლავაც რჩება საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა უნივერსიტეტის ფარგლებში, რასაც ყველა ფაკულტეტის სტუდენტებს ვთავაზობთ.

— თქვენი ღონისძიებები გათვლილია მხოლოდ თქვენს მხარდამჭერთა მონაწილეობაზე თუ ორიენტაციას იღებთ უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტზე?

— ჩვენს ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად არავის ვზღუდავთ, მათ შორის, არც შეხედულებების მიხედვით. ჩვენს პროექტებში ძალიან ბევრი ისეთი სტუდენტია ჩართული, რომელთაც სტუდენტური თვითმმართველობის მიმართ, გარკვეულწილად, სხვაგვარი დამოკიდებულება აქვს — ზოგს სიმპათია, ზოგს ანტიპათია, მაგრამ მრავალჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ნეგატიურად განწყობილ სტუდენტებსაც გაუმარჯვიათ ჩვენს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. შესაბამისად, „ფილტრაციას" არასდროს ვახდენთ. არც ერთი სტუდენტი არ იზღუდება. ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის მათთვის კარი ყოველთვის ღიაა. არც ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ვინმეს ეთქვა — „დამბლოკესო".

— არსებობს გარკვეული სახის პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტური თვითმმართველობა, მაგალითად, სტუდენტთა უფლებებს არ იცავს იმ თვალსაზრისით, რომ როცა ისინი უნივერსიტეტის ფარგლებში გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდებიან, თქვენ, თითქოსდა, არ ეხმარებით მათ პრობლემების მოგვარებაში. ამგვარ პრეტენზიებს როგორ უპასუხებთ და რას გაითვალისწინებთ სამომავლოდ?

— მინდა გითხრათ, რომ, ზოგადად, ნეგატიურად განწყობილი სტუდენტებიც არიან უნივერსიტეტში, მაგრამ ისინი, ხშირ შემთხვევაში, დაუსაბუთებლად აკრიტიკებენ ხოლმე სტუდენტურ თვითმმართველობას. მაგალითად, როდესაც უნივერსიტეტი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გაზრდას აპირებდა (ვგულისხმობ იმ სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გაზრდას, ვინც ვერ შეძლო 4 წელიწადში დაემთავრებინა უნივერსიტეტი), სტუდენტური თვითმმართველობა იყო სტუდენტებში ხელმოწერების შეგროვების ინიციატორი ძველი საფასურის შესანარჩუნებლად, რათა ეს მოთხოვნა ადმინისტრაციისთვის წარგვედგინა. რეალურად ასეც მოხდა. ამ სტუდენტებისთვის სწავლების საფასური არ გაზრდილა.

ჩვენ ვართ რგოლი, რომელიც სტუდენტებს ადმინისტრაციასთან აკავშირებს. შესაბამისად, ჩვენ ადმინისტრაციასთან მაქსიმალურად ვცდილობთ, დავიცვათ სტუდენტთა უფლებები. გვყავს წარმომადგენლობა საფაკულტეტო საბჭოებში, რომელიც ამ კუთხით გვეხმარება. მე ვარ იურიდიული ფაკულტეტის საფაკულტეტო საბჭოს წევრი და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრი განცხადება შემოდის და მაქსიმალურად ვცდილობ სტუდენტთა ინტერესების გატარებას საფაკულტეტო საბჭოს სხდომებზე. ხშირია ფაქტი, როდესაც საქმე სტუდენტის სასარგებლოდ წყდება. ის სტუდენტები, რომლებიც სტუდენტურ თვითმმართველობას აკრიტიკებენ, ვფიქრობ, კარგად არ არიან გათვითცნობიერებულნი ჩვენს საქმიანობაში. მათთვის მთავარია აქციებისა და დემონსტრაციების გზით გადაწყვიტონ საკითხები, რაშიც სტუდენტური თვითმმართველობა არც არასდროს ერეოდა და არც მომავალში ჩაერევა.

მივმართავ სტუდენტებს, რომ რა პრობლემაც აქვთ ადმინისტრაციასთან, ამის თაობაზე ჩვენ მოგვმართონ და ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს მოვაგვარებთ.

მე-8 გვერდზე

„18 მაისს, ყველა სტუდენტი არჩევნებზე! გახსოვდეს, შენი ხმა არის გადამწყვეტი! მხარი დაუჭირე უნივერსიტეტზე ორიენტირებულ კანდიდატებს! გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ ვგეგმავთ: თვითმმართველობის დეცენტრალიზაციას; გაუცხოების აღმოფხვრას თვითმმართველობასა და სტუდენტებს შორის; საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფას; ეთიკის კომისიის შექმნის მოთხოვნას; მთარგმნელობითი სამუშაოს წახალისებას; სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავების ხელშეწყობას" — ასეთია დამოუკიდებელი „ნარინჯისფერი კანდიდატების" „ალტერნატიული ხედვა" წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას უნივერსიტეტში, თუმცა „ნარინჯისფერი კანდიდატები" არჩევნების გზით სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოს „უმცირესობაში" მოხვედრის შემთხვევაშიც აპირებენ ამ საკითხების კონსტრუქციულ რეჟიმში გადაჭრისთვის აქტიურ მოღვაწეობას.

გვესაუბრება ჯგუფის „ნარინჯისფერი კანდიდატები — ალტერნატიული ხედვა" ერთერთი დამფუძნებელი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის მიმართულების II კურსის სტუდენტი ლევან ლორთქიფანიძე:

— როგორ აპირებთ ბრძოლას თქვენს ჯგუფში გაერთიანებული კანდიდატების მხარდამჭერთა მობილიზებისთვის, რათა მოიპოვოთ გამარჯვება ამ არჩევნებში?

— ჩვენ ამოვდივართ სტუდენტური თვითმმართველობის წესდების მუხლიდან №7, რომელიც გვეუბნება, რომ სტუდენტური თვითმმართველობის მთავარი ფუნქციაა დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტთა ინტერესები, სწავლის მაღალი ხარისხის მისაღებად შექმნას სტუდენტთათვის ხელსაყრელი გარემო და ა.შ. ჩვენს მთავარ ფუნქციას ვხედავთ იმაში (თუ გავიმარჯვეთ და გვაქვს ამის ძალიან სერიოზული შანსი და იმედიც), რომ დავიცვათ და წარმოვადგინოთ სტუდენტთა ინტერესები ნებისმიერ დონეზე — ადმინისტრაციასთან, დეკანატთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რექტორატთან მიმართებაში. ჩვენ ვაპირებთ აქტიურ მუშაობას განათლების პოლიტიკაზე საფაკულტეტო საბჭოების შემადგენლობაში. ვიმუშავებთ სასწავლო ლიტერატურის თარგმნის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელად...

— ამ პრობლემის გადაჭრის გზა, ფაქტობრივად, ნაპოვნია. გამოიცა რექტორის ბრძანება, რომელიც ლექტორს ავალდებულებს — ახალი სასწავლო წლიდან ქართულად ნათარგმნი რიდერები და სასწავლო ლიტერატურა წარუდგინოს სტუდენტს შესაბამის თემატიკაზე ლექციის წაკითხვისას... ეს არ მიგაჩნიათ მართებული გამოსავალის მოძებნად?

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ:
ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲙᲔᲠᲐᲓ!

— ეს გზა მართებული იქნება იმ შემთხვევაში, თუკი იმ ლექტორებს ექნებათ წახალისება და მოტივაცია, რომ ხარისხიანი თარგმანი შემოგვთავაზონ. ჩვენი სურვილია, არსებობდეს რგოლი საუნივერსიტეტო სივრცეში, რომელიც მუდმივად გაადევნებს თვალს სახელმწიფო ენაზე ხარისხიანი ლიტერატურის შექმნის პროცესს. მაგალითად, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ამ მისიის შესასრულებლად სპეციალურ პირობებს უქმნიან ლექტორებს, რომ ლიტერატურა ხარისხიანად თარგმნონ და მას სამეცნიერო რედაქტირება გაუწიონ.

— იმ პრეტენზიას რას დაუპირისპირებთ, რომ სტუდენტები უნდა ფლობდნენ უცხო ენას და რომ მათ უცხო ენაზე უნდა შეეძლოთ წიგნთან მუშაობა?

— ეს, ჩემი აზრით, არასწორი პრეტენზიაა. მაშინ სასკოლო სისტემა უნდა შეიცვალოს და სკოლა უნდა აძლევდეს მოსწავლეს უცხო ენის მაღალი დონის ცოდნას, ან უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე აუცილებელ კრიტერიუმად უნდა შემოვიტანოთ ინსგლისური ენის ცოდნა. მაგრამ, „ზოგადი განათლების შესახებ" კანონით, ჩვენ გვაქვს სახელმწიფო ენაზე განათლების მიღების უფლება, მით უმეტეს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის თანახმად, ბაკალავრიატის დონე არაფერს არ ნიშნავს და ამ საფეხურზე მხოლოდ მეცნიერების საფუძველს თუ მეცნიერების „საწყისებს" ვსწავლობთ. თუ ბაკალავრიატის დამთავრება არ ნიშნავს პროფესიონალად ჩამოყალიბებას, რა გახდა მეცნიერების საფუძვლების ქართულ ენაზე შემუშავება?

ჩვენ დადებითის დანახვის ნიჭიც გვაქვს. თუ მხოლოდ რექტორის ამ ბრძანებამ მოაგვარა ეს პრობლემა არა ერთჯერადად, არამედ ზოგადად, ორივე ხელით მივესალმებით ამას.

ჩვენ გვაქვს ორი ძირითადი პრიორიტეტი: — 1. გამჭვირვალე სისტემა — გვინდა, ინფორმაცია პასუხისმგებელ პირთან სწრაფად მიდიოდეს და 2. სამეცნიერო კვლევით საქმიანობას შევუწყოთ ხელი.

— რა არ კეთდება, თქვენი აზრით, მეცნიერების განვითარებისთვის უნივერსიტეტში?

— არ გამოდის ისეთი ჟურნალი, სადაც სტუდენტები თავიანთ სამეცნიერო ნაშრომებს დაბეჭდავენ... აქტუალური თანამედროვე ლიტერატურა ნაკლებად არის ბიბლიოთეკაში... იქ არის ძველი, ძალიან საინტერესო წიგნები, მაგრამ იმ „ძველი წიგნების" შესწავლასაც უნდა ბიძგის მიცემა! პროფესორებთან მიმართებაში მე არანაირი პრეტენზია არ მაქვს ჩვენს მიმართულებაზე. ბევრი მათგანი არის თავდადებული, რადგან ცდილობს სახელმძღვანელოების გამოცემას.

გარდა ამისა, ვსვამ კითხვას, რატომ არ არსებობს საუნივერსიტეტო ფონდი, რომელიც სოციოლოგების კარგად განერილ პროექტს თუ გეგმას დააფინანსებდა და კვლევებს ჩაატარებინებდა? ასევე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი. მე, მაგალითად, 5 თვის წინ გავიმარჯვე პოლიტოლოგთა კონფერენციაში და ამ წუთასაც ველოდები გამარჯვების დამადასტურებელ სიგელს...

— არ დაგეთანხმებით იმაში, რომ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ნაკლებობაა ან მათი ორგანიზატორები მის ჩატარებას სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ.

მე-8 გვერდზე

წინასაარჩევნო კამპანია 2012

მეშვიდე გვერდიდან

— როდესაც სტუდენტები აფრიალებენ ლოზუნგს — „არა ძალადობას!, მიგაჩნიათ თუ არა, რომ მსგავსი ლოზუნგები მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც სტუდენტებს შორის, სულ რაღაც ერთი თვის წინ, ინციდენტი მოხდა. მსგავსი ძალადობა უნივერსიტეტმაც დაგმო და თავად რექტორმაც. თვლით თუ არა, რომ სტუდენტის ცემის ფაქტი აღარასოდეს არ უნდა განმეორდეს უნივერსიტეტში?

— ჩვენ ძალადობის მომხრე არ ვართ. უნდა გითხრათ, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას დღეს ოფიციალურად რეგისტრირებული ჰყავს 1000 წევრი. ჩვენ, სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობა, თითოეული ამ სტუდენტის ქმედებაზე პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვერ ავიღებთ. ის, რაც ერთი თვის წინ მოხდა, იყო პირადი ანგარიშსწორება კურსელებს შორის. თუ ამ ინციდენტში ერთერთი მონაწილე ჩვენი ორგანიზაციის წევრი აღმოჩნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ძალადობას ახორციელებს. ჩვენ შესაბამის ზომებსაც მივმართეთ და ეს სტუდენტი ავტომატურად გავუშვით ჩვენი რიგებიდან. მსგავს ფაქტებს, რა თქმა უნდა, ვგმობთ.

— მართალია, რომ სტუდენტურ ბლოგებზე არ უნდა იწერებოდეს ვინმეს მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები, მაგრამ ეთიკური ნორმების დაცვის შემთხვევაში, სტუდენტთა აზრისა თუ კრიტიკის თავისუფლად გამოხატვა რამდენად მისაღებია „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" წევრებისთვის?

— ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დებატებისთვის ნებისმიერ ჩვენს ოპონენტთან, მაგრამ მინდა, მათ მოვუწოდო ეთიკის ნორმების დაცვისკენ, რასაც ხშირად არღვევენ. თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ არაერთი ჩვენი ოპონენტის მრავალი ბლოგი არსებობს და მათ ჩვენგან არავინ უშლის ხელს — თავისუფლად გამოთქვან აზრები. თუმცა გვაქვს შესაბამისი მასალა, სადაც ჩანს, რომ ეს ადამიანები პირად შეურაცხყოფასაც კადრულობენ. უფრო მეტიც, ხედავთ, რომ უნივერსიტეტის წინ სტუდენტური საპროტესტო აქციებიც იმართება, რაშიც, მართალია, არ ვმონაწილეობთ, მაგრამ არც არავის ვუშლით ხელს.

— სტუდენტებში მძაფრი მოთხოვნილებაა — მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეების თსუ-ში ხშირი ვიზიტების გარდა, შეხვედრები მოეწყოს საზოგადო მოღვაწეებთანაც, რისი დეფიციტიც უნივერსიტეტში მეტ-ნაკლებად შეიმჩნევა. მახსოვს, თქვენი მოწვევით, მწერალ გურამ დოჩანაშვილის თსუ-ში სტუმრობის დროს როგორი გადაჭედილი იყო დარბაზი სტუდენტებით... რამდენად ხშირად შესთავაზებთ ასეთი ტიპის შეხვედრებს მათ?

— მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ყოველკვირეულად ვმართავთ ასეთ შეხვედრებს. სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტი სწორედ ასეთ მოღვაწეებთან უწევს შეხვედრებს ორგანიზებას. რაც შეეხება საგანმანათლებლო კუთხით გამართულ შეხვედრებს, მოწვეული გვყავდა ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი გია მაისაშვილი, რომელმაც ჩაატარა ლექცია-სემინარები „ლიდერობაზე", რაც ერთი კვირა მიმდინარეობდა. ასევე გვქონდა შეხვედრები ცნობილ ადვოკატებთან, რომლებიც, გარდა საჯარო ლექციების კითხვისა, ერთკვირიან ტრენინგებსაც მართავენ და ვინც თავს გამოიჩენს, ასაქმებენ ან სტაჟიორად მიჰყავთ. მაგალითად, ამ ტრენინგების შედეგად 15 სტუდენტი აიყვანეს სტაჟიორად. ჯანსუღ ჩარკვიანთან გამართულ შეხვედრასაც ბევრი სტუდენტი დაესწრო. ჩვენ მოსაწვევ ადამიანებს არ ვარჩევთ პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით და მინდა გითხრათ, რომ მათზე არჩევანი კეთდება მხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვების გზით.

— გამიგია მოსაზრება, რომ ღონისძიებებზე სტუდენტთა დასწრება „კვოტირებულია" და რომ ყველა სტუდენტს თანაბრად არ ეძლევა საჯარო ლექციების მოსმენისთვის თანაბარი შანსი... ან, ზოგჯერ სტუდენტი თავის დროზე ვერ იგებს ღონისძიების გამართვის დროსა და ადგილს...

— ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე საშუალება არსებობს — სოციალური ქსელი, ბანერები... ჩვენ მაქსიმალურად ვიყენებთ თსუ-ის მოქმედ ვებ გვერდს და სოციალურ ქსელს, რომლითაც უამრავი სტუდენტი სარგებლობს. შეხვედრებზე დასასწრებად კი სტუდენტთა „ფილტრაცია" არასდროს ხდება, მაგრამ, საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასასწრებად სტუდენტთა შერჩევის პროცესი, უმეტესწილად, შეხვედრების ორგანიზატორთა ინიციატივებს უკავშირდება.

— როდის დაიწყებს სტუდენტური თვითმმართველობის ვებ გვერდი ფუნქციონირებას? უკვე დიდი ხანია, თსუ-ის ვებ გვერდზე თქვენი გვერდი გაუქმებულია...

— ჩვენი გვერდი აღდგება მაშინ, როცა თსუ-ის ახალი ვებ გვერდი შეიქმნება. რამდენადაც ვიცი, ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. ამით უფრო ადვილად ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის ინფორმაციაც.

— წინასაარჩევნო კამპანიისას სარგებლობს თუ არა რაიმე პრივილეგიებით „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა", რასთან დაკავშირებითაც ზოგიერთ სტუდენტს გარკვეული პრეტენზიები აქვს...

— ამგვარი რაღაც ითქვა „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" დიდი ბანერის გამოფენასთან დაკავშირებით II კორპუსთან. ჩვენ, როგორც წინა სტუდენტურ არჩევნებში გამარჯვებულ ორგანიზაციას, გვაქვს იმის უფლება, რომ ცესკო-ში ხელმოწერების გარეშე დავარეგისტრიროთ ჩვენი ორგანიზაცია. შესაბამისად, ჩვენი ორგანიზაციის რეგისტრაცია გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე სხვა ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისა. ამიტომ ჩვენ, ოფიციალური მიმართვის საფუძველზე, ადმინისტრაციისგან მოვიპოვეთ უფლება — „საარჩევნო პლაკატების" განსათავსებლად საუნივერსიტეტო სივრცე გამოგვეყენებინა, რა უფლების მოპოვებაც ნებისმიერ დარეგისტრირებულ ორგანიზაციასაც შეეძლო. ამ მხრივ არანაირი შეზღუდვა არავისთვის არ არსებობს თსუ-ში.

— რამდენი კანდიდატი გყავთ?

— ჩვენ ვიბრძვით ყველა მანდატისათვის, ანუ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის 120 მანდატია „თავისუფალი" და ამ 120-ვე ადგილისთვის გვყავს შერჩეული კანდიდატები ორგანიზაცია „ერთიანი სტუდენტური მოძრაობიდან".

— რამდენად აუცილებლად და თქვენივე საქმიანობისთვის სასარგებლოდ მიგაჩნიათ ახალი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ისე დაკომპლექტება არჩევნების გზით, რომ ძალთა გარკვეული ბალანსი არსებობდეს?

— სწორედ იმიტომ ტარდება არჩევნები, რომ გამოჩნდეს ახალი ძალაც და განსხვავებული შეხედულებების მქონე სტუდენტთა წარმომადგენლებით შეივსოს თვითმმართველობა. ეს უკვე ჩვენს ოპონენტებზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებენ ისინი სტუდენტების მხარდაჭერის მოპოვებას. მაგრამ ჩვენც ასევე ბოლომდე ვიბრძოლებთ ჩვენი იდეების დასაცავად და მიღწეული შედეგების განსამტკიცებლად.

მეშვიდე გვერდიდან

ამის საპირისპიროდ შემიძლია გითხრათ, რომ ხშირად კონფერენციებს სწორედ დამსწრე-სტუდენტების სიმრავლე აკლია და ნაკლებია სტუდენტთა დაინტერესებაც — აქტიურობდეს სამეცნიერო მოხსენებების წარმოდგენის მხრივ, თუ არ ჩავთვლით სწავლასა და განათლების მიღებაზე მართლაც ორიენტირებულ სტუდენტებს...

— თუ ამ სამეცნიერო პროექტებში სტუდენტი დაინახავს პირად მოგებას, პირად წახალისებას, პირად დაწინაურებას, იგი აუცილებლად დაინტერესდება. მე, მაგალითად, მქონდა ასეთი შეთავაზება, რომ ხოვლეში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი გაგვეხადა ამ მხრივ აქტუალური. ჩემი ლექტორი მალხაზ მაცაბერიძე ხშირად ატარებს იქ კონფერენციებს და სულ თან დავყვები მეც, მაგრამ მალხაზ მაცაბერიძე არის ცალკე პიროვნება, უდიდესი პატრიოტი და მოღვაწე უნივერსიტეტის შიგნით, თუმცა სხვებმაც რომ ავუბათ მას მხარი და მსგავსი კარგი საქმეები წავახალისოთ, ამაზე გვაქვს პრეტენზია.

— ინტელექტუალური თამაშები არ მოგწონთ? ამ თამაშების ორგანიზატორი, მაგალითად, ხშირად არის სტუდენტური თვითმმართველობა...

— ეს თამაშები მე არ მიყვარს. მიყვარს კითხვების დასმა და ვაგზავნი ხოლმე ამ კითხვებს. ინტელექტუალურ თამაშებს, ძირითადად, ატარებს — „რა? სად? როდის?" კლუბი და სტუდენტური თვითმმართველობა ერთობლივად.

— თუკი არჩევნების გზით ახალი მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის წევრები გახდებით, როგორ აპირებთ თანამშრომლობას სხვა წევრებთან?

— ჩვენ გვინდა სტუდენტურ თვითმმართველობაში იყოს რამდენიმე ორგანიზაცია, იყოს უფრო მრავალფეროვნება და გვსურს, მრავალი გადაწყვეტილების ჭიდილის ფონზე მიიღებოდეს საბოლოო დასკვნა.

ბატონი დიმიტრი გეგენავა არის ძალიან მაღალი დონის პროფესიონალი. ჩემში იგი იწვევს დიდ პატივისცემას, როგორც დამოუკიდებელი პერსონა, მაგრამ ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის მიერაა დაკომპლექტებული, ნაკლებ ნდობას იმსახურებს სწორედ ამ პრინციპით ცესკოს წევრთა შერჩევის გამო. ჩვენ თუ გავიმარჯვებთ ამ არჩევნებში, ცესკოს დაკომპლექტების ამ წესსაც შევცვლით.

ვესაუბრებით ორგანიზაცია „თავისუფალ სტუდენტთა ალიანსის" წევრს, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს ჯაბა ხარატიშვილს:

ჯაბა ხარატიშვილი:
პროგრამის სამოქმედო პუნქტებს, ჯერჯერობით, საიდუმლოდ შევინახავთ!

— როგორ აპირებს თქვენი ორგანიზაცია ამ არჩევნებში ჩაბმას, რა არის თქვენი წინასაარჩევნო ლოზუნგი ან პროგრამა, რაც სხვა სტუდენტური მოძრაობების პროგრამების ალტერნატივად შეიძლება მივიჩნიოთ?

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი გუნდის ჩამოყალიბება მოხდა „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" საწინააღმდეგოდ. გვაქვს უამრავი პროექტი, რომელსაც, თუ გავიმარჯვებთ (რისი დიდი იმედიც გვაქვს), სამომავლოდ განვახორციელებთ.

ჩვენი ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიზეზი იყო, ასევე, ის, რომ სტუდენტური ცხოვრება იყოს უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე დღეს არის.

— გაქვთ თუ არა კონკრეტული პროგრამა?

— გვაქვს, მაგრამ პროგრამის სამოქმედო პუნქტებს, ჯერჯერობით, საიდუმლოდ შევინახავთ. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ამ პროგრამას ყველა ერთად ვნახავთ.

— დაახლოებით რა პრიორიტეტები გაქვთ პროგრამაში გამოკვეთილი?

— გვინდა, უფრო მრავალფეროვანი გახდეს სტუდენტური ცხოვრება. გვინდა, ვიმუშაოთ საქველმოქმედო პროექტებზე. ასევე, გვსურს, ნებისმიერი პროექტი სტუდენტებთან შევათანხმოთ და ისე განვახორციელოთ. პროექტები ჯერ არ შეგვიდგენია, მაგრამ თუ გავიმარჯვებთ, მაშინ სტუდენტთა უმრავლესობა გადაწყვეტს, თუ რომელი პროექტების განხორციელებაზე ვიზრუნოთ.

— კონკრეტულად, რით არიან უკმაყოფილო სტუდენტები?

— სტუდენტების უკმაყოფილება, პირველ რიგში, გამოიხატება იმით, რომ „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა" არის პოლიტიკური პარტია. ჩვენ პოლიტიზირებული არ ვიქნებით.

— რა ინტერესებს გაატარებთ სტუდენტების უფლებების დაცვის კუთხით?

— ამ საკითხზე ჩვენ თითოეულ სტუდენტს დაველაპარაკებით. ვეცდებით, ყველას მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ, რა თქმა უნდა, რექტორის დახმარებით.

— ამ ეტაპზე სტუდენტის პრობლემებს არ იცნობთ?

— ასეა თუ ისე, ვიცნობთ. მაგალითად, სტუდენტების გარკვეულ ჯგუფს პრობლემები საგამოცდო ცენტრთანაც აქვთ. ნაწილს უნდა, რომ გამოცდები თავიანთ ლექტორებს ჩააბარონ და ა.შ. მოკლედ, ყველას აზრს გავითვალისწინებთ და შემდეგ ისე გადავწყვეტთ, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს.

გვესაუბრება ორგანიზაცია „სტუდენტები სტუდენტებისთვის" წევრი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი სერგი ფანცალაშვილი:

— როდის ჩამოყალიბდა თქვენი ორგანიზაცია? რა ამბიციები და მოლოდინები გაქვთ? რა პროგრამით მოდიხართ არჩევნებზე?

— ჩვენი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა იმისთვის, რომ ახალი ძალა შევმატოთ უნივერსიტეტს. ვაპირებთ, რომ უმრავლესობით მოვიდეთ ამ არჩევნებში, დავიკავოთ იმდენი ადგილი, რამდენიც არის და შევცვალოთ ის სისტემა, რომელიც დღეს უნივერსიტეტშია. ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმები, ჩვენი პროგრამა და გვინდა, რომ საქმიანობა, ძირითადად, საგანმანათლებლო კუთხით განვავითაროთ. ასევე, მივაქცევთ ყურადღებას სხვა ღონისძიებებსაც.

— რა გაქვთ პროგრამაში სხვა ორგანიზაციებისგან განსხვავებული? რის გამო უნდა დაგიჭიროთ მხარი სტუდენტობამ?

— შევეცდებით, რომ უფრო სხვა პროგრამა შემოვიტანოთ და ამაზე ვმუშაობთ.

— მაინც რას ითვალისწინებს თქვენი პროგრამა?

— ძირითადად უფრო სასწავლო პროგრამას გავახალისებთ. რასაც დღეს კულტურის განხრით აკეთებენ, იგივეს გავაკეთებთ, მაგრამ შევეცდებით, რომ ახალი ფორმით მივუდგეთ. ჩვენ ვეცდებით, რომ გავიმარჯვოთ. არჩევანი კი, რა თქმა უნდა, სტუდენტებზეა...

— ფიქრობთ, რომ თვითთმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს თქვენ დააკომპლექტებთ?

— დიახ!

— სურვილი ერთია, საფუძველი?

— ჩვენი ძირითადი მიზანი არის ის, რომ რაც შეიძლება ახლოს ვიყოთ სტუდენტებთან და მათი აზრები გავითვალისწინოთ.

— რა გაქვთ დაგეგმილი, მაგალითად, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით? რა საკითხებია თქვენთვის აქტუალური?

სერგი ფანცალაშვილი:
ვაპირებთ, რომ უმრავლესობით მოვიდეთ ამ არჩევნებში!

— ჩვენ შევეცდებით ახლო კავშირი გვქონდეს სტუდენტებთან. ჩავატარებთ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მოვიწვევთ მწერლებს და ასე შემდეგ. ჩვენ ძირითადად ვცდილობთ, რომ ეს არჩევნები მოვიგოთ.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ 2012

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ — „ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ — ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲓᲕᲐ" ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ, ᲗᲡᲣᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ III ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲭᲐᲜᲐ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲐᲫᲔ:

— ***„სადისკუსიო კლუბის" ეგიდით სტუდენტურ არჩევნებში მონაწილეობის მსურველ დამოუკიდებელ კანდიდატებთან გამართულ შეხვედრაზე თქვენ განაცხადეთ, რომ სტუდენტებისთვის გასართობი ღონისძიებების შეთავაზებას სჯობს მათი უფრო აქტიურად ჩართვა საგანმანათლებლო თუ შემეცნებით პროექტებში, ასევე, სჯობს ინიცირება უფრო მეტი საჯარო ლექციების, საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრების მოწყობის კუთხით. თქვენი მხრიდან ამგვარი პროგრამის შეთავაზება წინასაარჩევნოდ რამდენად ეფექტური იქნება სტუდენტებისთვის იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების უმეტესობას უფრო კულტურულ-სპორტული და გასართობი ღონისძიებები აინტერესებს...***

ᲭᲐᲜᲐ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲐᲫᲔ: „ᲜᲘᲙᲝᲚᲨᲝᲣ" ᲗᲣ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ ᲛᲝᲕᲣᲡᲛᲔᲜ... ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ, ᲐᲠ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲠᲦᲕᲔᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ...

— ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ უნივერსიტეტში გაიზარდოს სწავლის, განათლების ხარისხი. ჩემი აზრით, ეს უნდა მოხდეს პრაქტიკული და თეორიული უნარების შერწყმით. უნივერსიტეტში ჩვენ ვიღებთ თეორიულ განათლებას, პრაქტიკის გავლა კი უფრო სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, თუ ვისაუბრებ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე, ვიტყვი, რომ ნამდვილად ვიღებთ ძალიან კარგ განათლებას და მართლაც კმაყოფილი ვარ, რასაც „მაძლევენ", თუმცა ამის გარდა მე დაინტერესებული ვარ ჩემს სფეროში მოღვაწე პროფესიონალ ექსპერტებთან, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრებს თუ დისკუსიებს ვესწრებოდე...

— ***ასეთი შეხვედრები თსუ-ში ხშირად იმართება. თქვენ არ გაქვთ ინფორმაცია ამის თაობაზე თუ, უბრალოდ, ვერ ახერხებთ მსგავს ღონისძიებებზე დასწრებას?***

— მახსოვს, რომ ჩემთვის ღირებული იყო რასმუსენთან შეხვედრაზე დასწრება, თუმცა მე, როგორც რიგითმა სტუდენტმა, წინასწარ ვიცოდი, რომ ამ ღონისძიებაზე ვერ მოვხვდებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ვაკმაყოფილებდი მოთხოვნებს — მქონდა შესაბამისი აკადემიური მოსწრება, cv და ა.შ. ვთვლი, რომ ნებისმიერი ღირებული ლექცია ყველა სტუდენტისთვის ღია უნდა იყოს და „კვოტირების" დაწესების შემთხვევაშიც სამართლიანი გადაწყვეტილების ხარჯზე უნდა მიეცეს სტუდენტს დასწრების საშუალება.

— ***არიან კი სტუდენტები მზად იმისთვის, რომ მოითხოვონ მართლაც ღირებულ სტუმრებთან შეხვედრები?***

— ჩემი აზრით, უნივერსიტეტში არის იმხელა პოტენციალი, რომ ისინი მზად არიან გაავლონ საზღვარი — თუ რა არის მათთვის ღირებული და რა არა. როდესაც ვესაუბრე სტუდენტ-ფსიქოლოგებს და სოციოლოგებს, მათ მითხრეს, რომ ვისურვებდით — კარგი ფსიქოლოგი მოდიოდეს უნივერსიტეტში და პროფესიონალურ რჩევებს გვაძლევდესო.

„ნიკოლშოუ" თუ მომწონს, ინტერნეტში მოვუსმენ... უნივერსიტეტის ის კედლები, რისთვისაც იგი რეალურად აშენდა, არ იმსახურებს იმას, რომ დაირღვეს რეალური ფასეულობები...

მაგალითად, მე მაინტერესებს, რატომ არის ლიბიაში დღეს კრიზისი, სირიაში რა ხდება? ეგვიპტეში გარდამავალ ხელისუფლებას რა პრობლემები ექმნება და ა.შ. — ამაზე მაინტერესებს რას ფიქრობენ პროფესიონალები და როდესაც ამ კითხვებს ლექციაზე ვსვამ, ლექტორები მპასუხობენ, რომ ახლა რიგითი ლექცია უნდა ჩავატაროო. სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით ვითხოვთ საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებებისა და დებატების გამართვას უნივერსიტეტში.

— ***თვითმმართველობაში ამ საკითხს კონკრეტულად დააყენებთ?***

— მე ვარ ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს დებატებს, რადგან დებატების „რეჟიმში" შენს პოზიციასაც იმტკიცებ და მოწინააღმდეგის პოზიციასაც იგებ. მე ეს ბევრ რამეში დამეხმარა და გამიღრმავა ცოდნა, ამიტომ სხვა სტუდენტებისთვისაც მოვითხოვ მსგავსი სადისკუსიო პირობების შექმნასა და საშუალებების შეთავაზებას!

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ — „ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ — ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲓᲕᲐ" ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ I ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲑᲐᲥᲐᲫᲣᲠᲘ:

— ***რადგან კანდიდატად დარეგისტრირდი, ესე იგი, გაქვს სათანადო ინფორმაცია, რომ თვითმმართველობაში შეხვიდე, როგორც სრულფასოვანი წევრი და წამოაყენო ის საკითხები, რასაც თვლი, რომ სტუდენტობას და, განსაკუთრებით, პირველკურსელებს აწუხებთ. როგორ ფიქრობთ, რა არის ის, რაც პირველკურსელთათვის ყველაზე მძიმე პრობლემაა?***

— პირველყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ჩემი საოცნებო ფაკულტეტი იყო და სანამ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დავაფიქსირებდი ამ ფაკულტეტს, მანამ მქონდა გადაწყვეტილი, რომ აქ უნდა ჩამებარებინა.

რაც შეეხება პრობლემებს, ყველაზე თვალშისაცემი ის იყო, რომ სტუდენტური უფლებები ირღვეოდა და რამდენიმე ძალადობრივი ფაქტი დაფიქსირდა მას შემდეგ, რაც მე სტუდენტი გავხდი. ისმის პრობლემები თვითმმართველობის ბიუჯეტთან, უფრო სწორად, იმ თანხებთან დაკავშირებით, რომელსაც თვითმმართველობა განკარგავს.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲑᲐᲥᲐᲫᲣᲠᲘ: ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲫᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲯᲚᲝᲔᲑᲘ ᲕᲘᲧᲝᲗ...

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში ჩაბმა გადამაწყვეტინა იმან, რომ კარგი და განათლებული ადამიანების გვერდში ვდგავარ. ამ გუნდის ერთობლივი ძალისხმევით წარმატება ნამდვილად მიიღწევა.

— ***რას გააკეთებ თვითმმართველობაში?***

— ვფიქრობ, ჩემი განათლება, როდესაც ერთი კვირის განმავლობაში, მაგალითად, ფსიქოლოგიაში, სასწავლი მაქვს მხოლოდ 10 გვერდი და მეტი არაფერი, არ არის საკმარისი. ისიც პრობლემაა, რომ მთელი წელი თეორიას „ვღეჭავთ" და რეალურად პრაქტიკას ვერ ვახორციელებთ.

კიდევ კარგი, რომ უნივერსიტეტში 100%-იანი დაფინანსებით მოვხვდი, თორემ გავგიჟდებოდი, რადგან ეს განათლება, რომელსაც ვიღებ, ნამდვილად არ შეეფერება ყოველწლიურად 2 250 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ მე მაქვს დაფინანსება, სხვა ბავშვებზე გული შემტკივა და მათი უფლებებისთვის ბრძოლას ჩემს გუნდთან ერთად ვაპირებ.

— ***შენ ჯერ პირველ კურსზე ხარ და პრაქტიკა ადრეა...***

— მართალია, მაგრამ მე ინფორმირებული ვარ და ვიცი, რომ სტუდენტებისთვის მე-2-3-4 კურსებზეც პრაქტიკული ცოდნა — „გასვლა", ტრენინგები არ ხორციელდება. არ მინდა, რომ იგივე პრობლემების წინაშე ჩვენც აღმოვჩნდეთ და როცა უნივერსიტეტს დავამთავრებთ, მხოლოდ დიპლომიანი სასიძოები და სარძლოები ვიყოთ.

ინტერვიუები საარჩევნო თემატიკაზე მოამზადა **ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲛ**

მესამე გვერდიდან

ლექტორს 8 ლარს უხდის, ეს არის მიზერული თანხა ამ რთული დავალების შესასრულებლად. ვფიქრობ, პროფესორების ინტერესების გათვალისწინებისა და მათი წახალისების გარეშე შეიძლება წავაწყდეთ იმ პრობლემას, რომ პროფესიონალი კადრებისგან დაიცალოს უნივერსიტეტი.

(თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, ჯგუფის „ნარინჯისფერი კანდიდატები — ალტერნატიული ხედვა" წევრი).

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ:

„ბუნებრივია, სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავიანთი პოზიციების გამოთქმის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის და კრიტიკის შესაძლებლობა. სადისკუსიო კლუბის სასარგებლო ზეგავლენა იმაშია, რომ ყველანაირ თემაზე საუბარი მშვიდად მიმდინარეობს.

სტუდენტური სადისკუსიო კლუბის ტრადიციები ევროპაში, განსაკუთრებით ინგლისში, ღრმად არის ფესვგამდგარი. ეს არის სკოლა, სადაც სწავლობენ საკუთარი აზრის გამოხატვას, დებატებში მონაწილეობას, ლოგიკითა და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებით პაექრობას. ვფიქრობ, ამას ნელ-ნელა აქაც ვახერხებთ. ამდენად, სტუდენტური „სადისკუსიო კლუბის" არსებობა ძალიან სასარგებლოა და რაკი ჩვენ ასეთ თემებსაც კი არ გავურბივართ, ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტებმა დებატების გარკვეული სკოლა გაიარეს.

თუ მიაქციეთ ყურადღება, სტუდენტები ყველგან უსვამენ ხაზს, რომ ემიჯნებიან ყოველგვარ იდეოლოგიურ, პარტიულ და სხვა უკიდურესობებს და ეს არის მხოლოდ სტუდენტის ცხოვრებაზე, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და იმ მტკივნეული პრობლემების აღმოფხვრაზე საუბარი, რაც ყველა სტუდენტს აწუხებს. ჩვენც ვიცით, რომ ბევრი საფიქრალი აქვს სტუდენტს და უნდა შევუწყოთ ხელი ამ პრობლემების გადალახვაში.

ასევე, ძალიან სასარგებლოა სტუდენტთა შეხვედრები უნივერსიტეტის რექტორთან. ეს შეხვედრები გაგრძელდება და ყოველ თვეში მოეწყობა. უკვე ორჯერ ჩატარდა ამგვარი შეხვედრა, რასაც აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგან რექტორს შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა და სტუდენტებთან ურთიერთობა მისთვის ძალიან მისაღები ფორმაა. ამ შეხვედრებზე სტუდენტები ხედავენ, რომ არ არსებობს კედელი, ბარიერი რექტორსა და სტუდენტს შორის. ვფიქრობ, ყოველი შეხვედრის შემდეგ ეს ურთიერთგაგება სულ უფრო მეტად იზრდება და ეს ძალიან კარგია.

(თსუ-ის რექტორის მრჩეველი, „საბავშვო უნივერსიტეტის" კოორდინატორი).

ქ რ ო ნ ი კ ა

იუსტიციის მინისტრის მოადგილე სტუმრად თსუ-ში

იუსტიციის მინისტრის მოადგილის შეხვედრა თსუ-ის სტუდენტებთან

11 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე თინათინ ბურჯალიანი და ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ოთარ კახიძე სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდნენ.

„თითოეული თანამშრომელი მზად არის რეფორმების შესახებ ანგარიში ჩააბაროს საზოგადოებას. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების ხედვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. იუსტიციის სამინისტროს საქმიანობაში პროფესორ-მასწავლებლებიც აქტიურად არიან ჩართულები", – ამ სიტყვით მიესალმა თინათინ ბურჯალიანი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

შეხვედრის ძირითადი ნაწილი დაეთმო პრეზენტაციას — „ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველო" (სამოქმედო გეგმა 2012-2013), რომელიც აუდიტორიას ოთარ კახიძემ გააცნო. მან გამოკვეთა იუსტიციის სფეროს ძირითადი სამოქმედო გეგმა, რომელიც 4 პუნქტს მოიცავდა: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება; საზოგადოების ჩართულობის გაზრდა; საჯარო რესურსების უკეთესად მართვა; უსაფრთხო გარემო. მანვე წარმოადგინა ის სამომავლო გეგმა, რომლის განხორციელებაზე ზრუნვაც დაწყებულია იუსტიციის სამინისტროში. კერძოდ, ოთარ კახიძემ ისაუბრა მომავლის საჯარო მომსახურებაზე, რომელიც, მისი თქმით, მოიცავს საქართველოს მასშტაბით 12 იუსტიციის სახლის ამოქმედებას, იუსტიციის სახლთა სერვისის გაუმჯობესებას, გამარტივებულ და კომფორტულ მომსახურებას.

სიახლეა მოქალაქეთა პორტალის ichange-ის შექმნა. ოთარ კახიძის თქმით, ეს პლატფორმა საზოგადოებას საშუალებას მისცემს თავისი იდეა, შენიშვნა ნებისმიერ უწყებას მიაწოდოს სახლიდან გაუსვლელად.

მომავალში დაგეგმილ ღონისძიებათა შორის იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა ყურადღება გაამახვილა ერთიანი ელექტრონული ჯანდაცვის სერვისების ამოქმედებაზე.

პრეზენტაციაზე, ასევე, ისაუბრეს ელექტრონულ პეტიციებზე, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს შეეძლებათ მეგობრებს გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე. თუ მოქალაქეები ამ მოსაზრებას გაიზიარებენ და ხელმომწერთა რაოდენობა 30 000-ს მიაღწევს, მათ შეეძლებათ საკანონმდებლო ინიციატივით მიმართონ პარლამენტს.

იუსტიციის სამინისტროს სამომავლო გეგმებში შედის მოქალაქეთა ჩართვა საკანონმდებლო პროცესსა და მართლმსაჯულების განხორციელებაში. პრეზენტაციაზე ისაუბრეს ინოვაციაზე — „უსაფრთხო უბანი" — რომლის სლოგანია: „დაეხმარე იუსტიციის სამინისტროს, რათა შენი უბანი გახდეს უფრო უსაფრთხო."

ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომელზეც დაზუსტდა აღნიშნული ინოვაციების დეტალები.

„თქვენ გარედან უყურებთ ამ პროცესებს და მოხარულნი ვიქნები, თუ გავიგებთ თქვენს პოზიციას. მზად ვართ კრიტიკისთვის, რადგან ყოველთვის მნიშვნელოვანია არსებული სისტემის დახვეწა", — აღინიშნა პრეზენტაციის დასასრულს.

ლელა კვანტალიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი სტუმრად თსუ-ში

3 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე ეწვია. მინისტრმა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს წაუკითხა ლექცია თემაზე — „ვისაუბროთ ეკონომიკაზე". ლექციას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე. შეხვედრაზე ალექსანდრე კვიტაშვილმა აღნიშნა, რომ „უნივერსიტეტში მსგავსი შეხვედრები ხშირად ეწყობა. მნიშვნელოვანია, როცა ახალგაზრდები პირველწყაროდან ეცნობიან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ფინანსთა მინისტრმა სტუდენტების ყურადღება ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე გაამახვილა და უნივერსიტეტელებისთვის საინტერესო კითხვებს უპასუხა".

დიმიტრი გვინდაძის ლექციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა საქართველოს მთავრობის ის ინიციატივები იყო, რომელიც მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების ხელშეწყობას. მინისტრმა სტუდენტებს გააცნო ქვეყანაში მიმდინარე და განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები; ისაუბრა საგზაო, ურბანულ, რეგიონულ, ინფრასტრუქტურულ, ენერგეტიკულ და ტურისტულ პროექტებზე. „ამ კუთხით არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების განათლების დონეს, მათ კვალიფიკაციას, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის კონკურენტუნარიანობასთან და დასაქმების დინამიკასთან. კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების კუთხით თსუ-ს დიდი ტრადიცია აქვს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მთავარი პრიორიტეტია", — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ.

ევროპის კვირეულში თსუ ჩაერთო

7 მაისს ევროპის კვირეულის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს ვიცე პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ესტუმრა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილიც დაესწრო.

„მოხარული ვარ, რომ ევროპის კვირეულში თსუ-ც ჩაერთო. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები პირველწყაროდან მიიღებენ ინფორმაციას ჩვენი ქვეყნის ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ. საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან პრიორიტეტულია ქვეყნის განვითარების გზაზე", — განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

გიორგი ბარამიძემ სტუდენტებთან საქართველოს მნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე საუბრისას აღნიშნა, რომ ევროსტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება საქართველოს ფასეულობებსა და პრინციპებს ეფუძნება. „ახალგაზრდები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ევროკავშირთან ურთიერთობებზე: „რა მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რა მიზნებს ისახავს ჩვენი ქვეყანა ევროკავშირში ინტეგრაციისთვის და საბოლოო ჯამში რას მოუტანს ეს ჩვენს საზოგადოებას", — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია. თსუ-ის სტუდენტები დაინტერესდნენ ევროკავშირში გაწევრიანების ხელისშემშლელი ფაქტორებით, ევროკავშირის ქვეყნებში ქართველ სტუდენტთა სწავლის დაფინანსების საკითხებით, საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებითა და საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობებში შესაძლო ცვლილებებით.

„ევროპის კვირეული" თბილისში ყოველწლიურად ტარდება. წელს კვირეული „ევროპის სახლში" გაიხსნა და 30 მაისამდე გასტანს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

7 მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრს (NCADR), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (HCOJ), იუსტიციის უმაღლესი სკოლას (HSOJ), თბილისის საქალაქო სასამართლოს (TCC), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს (EWMI-JILEP) (სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტი) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

2011 წელს სავალდებულო გახდა საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის შემოღება. ამ პროექტში აქტიურად ჩაერთო თსუ-სთან არსებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, რომელიც, მემორანდუმის თანახმად, სრულად უნდა ჩაერთოს ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში (კონკურსანტების შერჩევა, მათი დატრენინგება, აკადემიური მხარდაჭერა, ღონისძიებების ორგანიზება და სხვა.) თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით: „უნივერსიტეტი ყოველთვის მზადაა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, მივესალმებით ქვეყანაში მედიაციის ცენტრის ჩამოყალიბებას. ეს არის გავრცელებული ფორმა განვითარებულ ქვეყნებში დავების მოგვარებისა".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით: „ხელი მოეწერა მემორანდუმს მედიაციის ცენტრის საპილოტე პროგრამის განხორციელების პროექტს, რომელშიც 6 ორგანიზაციაა ჩართული, მათ შორის, თსუ-სთან არსებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი (NCADR), თსუ ყოველთვის თანადგომას უცხადებს ყველა მსგავს წამოწყებას და აქტიური მხარდამჭერია ასეთი სახის პროექტების. ეს არის დავების გადაწყვეტის ყველაზე ცივილიზებული ფორმა, რომელიც აუცილებელია ყველა ქვეყანაში არსებობდეს".

„თბილისი მერიოტში" მემორანდუმს ხელი თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის ხელმძღვანელმა ჰერბერტ ბოუმენმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ჯგუფის ხელმძღვანელმა ფოლკერ შტამპემ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორმა დავით სააკაშვილმა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ მამია ფხაკაძემ მოაწერეს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის პროექტის განხილვა თსუ-ში

8 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის" პროექტის განხილვა გაიმართა. სტრატეგიის პროექტი დიასპორასა და კავკასიის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა.

თსუ-ში სტრატეგიის პროექტის განხილვას საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაური, თსუ-ის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, „საქართველოს გადაუდებელი ამოცანაა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ისტორიულ-პოლიტიკური ურთიერთობის ტრადიციის გაგრძელება. საქართველომ უნდა აღადგინოს კავკასიური ხალხების შეკრების ისტორიული ფუნქცია, რათა ეს ხალხი არ დავტოვოთ კრემლის მტრული პროპაგანდის იმედად".

თსუ-ის პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ სტრატეგიის პროექტის განხილვას მნიშვნელოვანი ფაქტი უწოდა. „თსუ-ში კავკასიური პრობლემების კვლევის დიდი ტრადიცია არსებობს. ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობა ისტორიულად საქართველოს ძლიერებისა და სისუსტის წყარო იყო. საქართველოს აქვს ვალდებულება ჩრდილოეთ კავკასიასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. ეს ორივე მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია", — აღნიშნა მალხაზ მაცაბერიძემ.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომელზეც სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს თსუ-ის სტუდენტებმა და ლექტორებმა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ᲠᲐᲙᲣᲠᲡᲘᲗ ᲛᲔᲓᲘᲐᲖᲔ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲐᲓ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ

„საქართველოში კარგი ჟურნალისტური განათლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში," — აღნიშნა ჩემთან საუბარში რიერსონის უნივერსიტეტის (ტორონტო, კანადა) ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორმა **ჯინ ალენმა**. *უნივერსიტეტში რიგით მეორე ვიზიტისას, სტუდენტებთან და პროფესორებთან შეხვედრისას მან თქვა, რომ საქართველოში მედიამ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული, განვითარების უნიკალური ე.წ. მეოთხე გზა უნდა დაინახოს სტუდენტების დახმარებით.*

პროფესორი ალენი, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, უკვე ერთი წელია თანამშრომლობს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებასთან. მისი მონაწილეობით ამ სფეროში ბევრი რამ შეიცვალა, თუნდაც ბოლო ერთი წლის მანძილზე, რაშიც მასთან საუბრის დეტალებიც დაგვარწმუნებს:

— ამჟამად რა გამოწვევების წინაშეა ჟურნალისტიკის სფერო?

— ბოლო წლებში ინტერნეტმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა. ციფრულმა ჟურნალისტიკამ მთლიანად მოახდინა სფეროს ტრანსფორმირება მთელს მსოფლიოში და მსოფლიოსთვის გამოწვევად იქცა. ახალ გამოწვევებთან ერთად გამოჩნდა ახალი შესაძლებლობები.

— მედიის და კომუნიკაციის მკვლევარები ახალ მედიას უკვე უწოდებენ — „მეხუთე ხელისუფლებას". უფრო კონკრეტულად, რა შეიცვალა და რა რჩება უცვლელი?

— ახალმა მედიამ წარმოაჩინა უფრო მეტი აქტივობები, აჩვენა საზოგადოების, მოქალაქეების მეტი ჩართულობა. ცვლილებები უკვე შეინიშნება ჟურნალისტის პროფესიის განსაზღვრებაშიც. თუმცა, საზოგადოების მხრიდან არსებული მსგავსი აქტივობები ვერ ჩაანაცვლებს პროფესიონალი ჟურნალისტის საქმიანობას. საზოგადოებას ჯერ კიდევ სჭირდება ხარისხიანი მედია, გადამოწმებული ინფორმაცია, აკურატულობა. ეს ის მოთხოვნებია, რასაც მხოლოდ პროფესიონალი ჟურნალისტები აკმაყოფილებენ. საინფორმაციო სამსახურები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ციფრულ ჟურნალისტიკას და აღნიშნავენ, რომ ძალიან გაიზარდა ციფრული გამოცემების ტირაჟი. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტექნოლოგიები ცვლის სფეროს, ჟურნალისტისადმი წაყენებულ მთავარ მოთხოვნებად მაინც რჩება ის, რომ რეპორტიორი უნდა იყოს აკურატული, პატიოსანი, გააშუქოს მნიშვნელოვანი ამბის ყველა ასპექტი იმგვარად, რომ აუდიტორია დაინტერესდეს მიმდინარე საკითხით. ჩემი აზრით, ბეჭდური მედიის წილი ბაზარზე სულ უფრო და უფრო შემცირდება. ხარისხი კი დარჩება მთავარ მოთხოვნად.

— ჩრდილოეთ ამერიკის მედია-ბაზარზე რა მდგომარეობაა?

— ამ ეტაპზე, ჩრდილოეთ ამერიკაში, საკვირაო გამოცემები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. რაც შეეხება ონლაინ გაზეთებს, მათ აუდიტორია მთელი კვირის მანძილზე ეცნობა, კვირის ბოლოს კი ბეჭდურ მედიას კითხულობს. ეს გასაგებია. მკითხველს იზიდავს ციფრული მედია. ის ოპერატიულია. მისი განახლება ხდება მყისიერად და არა 24 საათში ერთხელ ან ორჯერ. ამას დაემატა თაბლეტ კომპიუტერები, სადაც გაზეთები წარმოჩენილია მიმზიდველი დიზაინით. სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ მომავალ რამდენიმე წელში Tablet-ს სულ უფრო მეტი ადამიანი გამოიყენებს ახალი ამბების მისაღებად. რა თქმა უნდა, ჟურნალისტები იყენებენ Facebook-ს, Tweeter-ს, სადაც საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილია ჩართული. Gardian-მა აღმოაჩინა, რომ Facebook-ის გვერდი არის საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ ახალგაზრდა მკითხველები მიიზიდოს. ათი ათასობით ახალგაზრდა მხოლოდ Facebook-ის წყალობით გახდა ამ გამოცემის მკითხველი. საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური ქსელების დახმარებით.

ეკონომიკური კრიზისის გამო ძალიან ბევრი გაზეთი გაკოტრდა და სწორედ ამ პერიოდში ერთ-ერთმა კანადურმა გაზეთმა გადაწყვიტა, რომ ყოველდღიური თათბირები გაეხადა საჯარო. თათბირებზე, სადაც განიხილებოდა დღის მნიშვნელოვანი ამბები, მონაწილეობდნენ მოქალაქეები და, როგორც თავად აღნიშნეს, ამან კარგად იმუშავა მკითხველების მოსაზიდად. ეს ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც ტრადიციული ჟურნალისტიკა აკეთებდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე. ამის გაგონებაზე ყველა „ღმერთო ჩემო"-ს გაიძახოდა. როცა მე ვიყავი ტორონტოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გაზეთის „The Globe and Mail"-ის რედაქტორი, ჩვენ, ჟურნალისტებს, გვეგონა, რომ ყველაზე უკეთ ვიცოდით, რა იყო ახალი ამბები და ვეუბნებოდით კიდეც მკითხველს, რა უნდა წაეკითხა. ახლა უფრო გახსნილი უნდა იყო მკითხველთან. ახალმა მედიამ მათთან მიდგომა შეიცვალა.

— თუმცა, ახალმა ტექნოლოგიებმა გაამარტივა გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობებიც...

— დიახ, ინტერნეტით ბევრი ინფორმაცია

ჯინ ალენი

ვრცელდება, თან სწრაფად და მკითხველმა არ იცის, რას ენდოს და რას — არა. აქაც, ინფორმაციის სარწმუნოობაზე სწორედ საინფორმაციო სამსახურები აგებენ პასუხს და თავის ფუნქციას ამ შემთხვევაშიც ასრულებენ. ან უნდა ასრულებდნენ. ადამიანებს სურთ სარწმუნო ინფორმაციის მიღება. თავად ვერ გადაამოწმებენ ყველა ინფორმაციას, რომელიც ქსელში ვრცელდება. საზოგადოება ირჩევს მედიას, რადგან იცის, რომ მედიამ უნდა უთხრას სიმართლე.

— გაჩდნენ მოქალაქე ჟურნალისტები, რომლებსაც შეუძლიათ თავისი გადაღებული მასალები ატვირთონ Youtube-ზე, გაავრცელონ სოციალურ ქსელებში. საზოგადოება ახალი ამბების შექმნაში მონაწილეობს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს არაა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების გამოწვევა და თავად საზოგადოებაც შეიცვალა? და კიდევ, რა ადგილს დაიკავებს მოქალაქე-ჟურნალისტი ჩვენს პროფესიაში?

— სამოქალაქო ჟურნალისტიკა მხოლოდ საინფორმაციო უზრუნველყოფასთან კავშირში არ არის. ეს ადამიანები პერსონალურ სივრცეს ქმნიან: მაგალითად, წერენ ბლოგებს. ბევრი მათგანი ძალიან დაბალი ხარისხისაა, ზოგიერთი კი ძალიან საინტერესოა. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში ახალგაზრდების ერთ-ერთმა ჯგუფმა, რომელიც პოპ-მუსიკით იყო გატაცებული, შექმნა საკუთარი გვერდი. მათ შეძლეს აუდიტორიის მოზიდვა და, დღესდღეობით, ესაა ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ინფორმაციის წყარო პოპ-მუსიკის შესახებ. ...და ეს ყველაფერი მედიის მიღმა განვითარდა.

არის ასეთი მაგალითები, როცა პირადი გატაცება შემდეგ შემოსავლის წყაროც ხდება. ამგვარი პირადი ნიშის შექმნა განსაკუთრებით კარგად გამოსდით სტუდენტებს, რადგან საინტერესო მიგნებებს და, ზოგადად, მოდერნიზაციას გვთავაზობენ. სტუდენტებს ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ. საინფორმაციო სამსახურების ტრანსფორმაცია არის რთული და სტუდენტების ამგვარი ჩართულობა ეხმარება მათ მოდერნიზაციასაც. აი, მაგალითად, ავიღოთ თწეეტერ, შეიძლება ითქვას, რომ გიჟური იდეაა: „იცით, მე 140 სიმბოლოს გამოყენებით მთელს მსოფლიოს დავაკავშირებ ერთმანეთთან". ამანაც იმუშავა. ამიტომ, არა მარტო ჟურნალისტიკის ცოდნა, არამედ ექსპერიმენტების მიმართ გახსნილობა, ახალი იდეებია საჭირო.

— „ჟურნალისტები Facebook-ში" — ეს მათი პერსონალური ნიშაცაა და პროფესიულიც. ქართველი ჟურნალისტებისთვის სოციალური ქსელები უფრო პირადი ნიშაა, სადაც ისინი საკუთარ მოსაზრებებს, ემოციებს გამოხატავენ. იმისათვის, რომ ჟურნალისტისადმი მოთხოვნა იყოს ნეიტრალური საჯარო სფეროში, თითქოს იგნორირებულია.

— ამაზე ბევრს მსჯელობენ. ადამიანებს სურთ სოციალურ ქსელებში ჩართულობა პირადი ცხოვრების დონეზე. პროფესიულს და პირადს შორის საზღვრები იცვლება. როგორ უნდა გამოიყენონ Facebook და Tweeter ჟურნალისტებმა? თუ სერიოზული ჟურნალისტი უცბად სოციალურ ქსელში აცხადებს ვინმეზე: „რა იდიოტი ყოფილა", ეს კომპრომეტირებას უწევს ჟურნალისტს, რომელიც ამას პოსტავს. ასე შეიძლება ფიქრობდე, მაგრამ... სჯობს ასე არ გამოხატო საკუთარი დამოკიდებულება.

— რა გამოწვევებია თქვენს უნივერსიტეტში?

— გამოწვევები ბევრია. ყველაზე პრიორიტეტულია კურიკულუმის დახვეწა. ეს რთულია. ყველაფერი ძალიან დინამიურად ვითარდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ჩვენი პროფესორების კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა. მაგალითად, ჩვენ ყველას გვჭირდება „ახალ მედიაში" გადამზადება. ტრადიციულ მედიაში სულ უფრო მცირე სამუშაო ადგილებია. იქ მომუშავე ჟურნალისტები სკეპტიკურად უყურებენ ექსპერიმენტებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელია. მომავალი ჟურნალისტებისთვის მნიშვნელოვანია ახალ გარემოსთან, გამოწვევებთან ადაპტაცია. პროფესორებმაც უნდა მიიღონ ეს გამოწვევები საქართველოშიც და კანადაშიც.

ჯინ ალენი: საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების და დამოუკიდებელი მედიის ჩამოყალიბება სულ სხვაგვარად მოხდება

— მოდით, ქართულ მედიაზე და მედია-განათლებაზე ვისაუბროთ. თქვენს საჯარო ლექციაში აღნიშნეთ, რომ საქართველოში მედიამ განვითარებისთის შედეგად თავისი უნიკალური — ე.წ. მეოთხე გზა უნდა იპოვოს. რას გულისხმობდით?

— საქართველოში ძალიან ბევრი კარგი რამ ხდება. საქართველოს გადაწყვეტილი აქვს შექმნას ღია, დემოკრატიული საზოგადოება. ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩანს და ეს ძალიან კარგია. ამ მიზნის მიღწევა ერთ დღეში არ შეიძლება, ამას დრო სჭირდება. მე ვგულისხმობდი იმას, რომ საქართველოში, ჩემსავით, ბევრი ადამიანი ჩამოდის და ქართველებს უზიარებს გამოცდილებას, მაგრამ ჟურნალისტიკასთან მიმართებით, ვფიქრობ, არასწორია გირჩიოთ, რომ ზუსტად იგივე გზა გაიმეოროთ, რაც, მაგალითად, ჩვენ — ჩრდილოეთ ამერიკაში. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ისტორიები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.

ჩვენთან რამდენიმე საუკუნეა ვითარდება მედია და საზოგადოება, რომელიც, თავის მხრივ, ჩართულია მედიის დემოკრატიზაციის პროცესებში. საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციის გამო, ბევრი რამ დამუხრუჭდა, არ იყო განვითარებული დამოუკიდებელი კომერციული მედია. თქვენ განსხვავებული წერტილიდან დაიწყეთ განვითარება. ამის პარალელურად საქართველოში მიმდინარეობს დემოკრატიული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაც. ეს ინსტიტუტები მედიისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ჟურნალისტიკა, ერთი მხრივ, დგას ამ ინსტიტუტებზე და, მეორე მხრივ, იგი თავადაა ამ ინსტიტუტების მამოძრავებელი ძალა. ჩემი აზრით, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებმა მედიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ. ძალიან მნიშვნელოვანია არასამთავრობო და აკადემიური სექტორის თანამშრომლობა. ისევ ჩვენს მაგალითს მოვიყვან: ჩვენთან სტუდენტები სწავლისას სულ უფრო აქტიურად ერთვებიან პროფესიულ საქმიანობაში და ეს მოთხოვნა შრომის ბაზრიდან მოდის. საინფორმაციო სამსახურებს სურთ, რომ ახალი ამბები სტუდენტებმა მოამზადონ. საქართველოში კი, ჩემი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ მედია-სკოლებს და, ასევე, სტუდენტების პოტენციალით უნდა შეივსოს ის სიცარიელე, რომელიც მედიაში არსებობს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ საქართველოს განვითარების გზა ამ მხრივ იქნება უნიკალური. თქვენთან დემოკრატიული საზოგადოების და დამოუკიდებელი მედიის ჩამოყალიბება სულ სხვაგვარად მოხდება.

— საქართველოში ხშირად გაიგებთ, რომ ჟურნალისტიკა არაა აკადემიური სფერო, ესაა პროფესია, რომელიც ტექნიკური უნარების ფლობას მოითხოვს და კარგი ჟურნალისტისთვის სულაც არაა აუცილებელი ამ პროფილით განათლების მიღება. თქვენი აზრით, რატომ არის აუცილებელი აკადემიური მედია-განათლება?

— მედია-განათლება აუცილებლად უნდა არსებობდეს, განსაკუთრებით ისეთ უნივერსიტეტში, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. ჟურნალისტიკა დემოკრატიის ძალიან მნიშვნელოვანი ატრიბუტია. სწორედ ხარისხიანი მედია არის დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობა. საზოგადოებას აერთიანებს ინფორმაცია და სწორედ ჟურნალისტიკა არის ამ ინფორმაციის მომწოდებელი. ტექნიკური უნარები მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ უნარებით ვერ განსაზღვრავ, რა არის მნიშვნელოვანი და რა — არა, რა ელემენტებით უნდა ააგო მასალა და სხვ. ჟურნალისტს ბევრი უნარი სჭირდება და ყველაზე მთავარი მათში არის ინტელექტი, ცნობისმოყვარეობა და ყოველდღიურად ამა თუ იმ უცნობი თემის შესახებ სწრაფად და პროფესიონალურად ინფორმაციის მოძიება. თუ მხოლოდ ეკონომისტები დაწერენ ეკონომიკის შესახებ, შედეგად მივიღებთ იმას, რომ მხოლოდ ეკონომისტები გაიგებენ, რას წერს ჟურნალისტი, სხვები კი არა.

საქართველოში ყველაფერი, მათ შორის, მედია-სისტემა არის განვითარების სტადიაში. დიახ, ის არაა იმ დონეზე, სადაც უნდა იყოს, მაგრამ არც პოლიტიკური სისტემაა ჩამოყალიბებული და ისიც განვითარების სტადიაშია. მთავარია, რომ განვითარება სწორი მიმართულებით ხდება. პოლიტიკოსებს არსად არ მოსწონთ ახსნა-განმარტებების გაკეთება, მაგრამ მედიამ უნდა დასვას შეკითხვები და შეასრულოს თავისი ფუნქცია, მოითხოვოს განმარტებები, მოითხოვოს სხვადასხვა ინსტიტუტებისგან ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. ასე მუშაობს დემოკრატიული სისტემა.

— უახლოეს წლებში რა შესაძლებლობებს ხედავთ საქართველოში მედიის განვითარებისთვის?

— ყველაფერი შეიძლება განვითარდეს ძალიან კარგად ან ძალიან ცუდად. ბევრი რამ დამოკიდებულია პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც საქართველოში იქნება. ბოლო 20 წლის მანძილზე ბევრი რამ გამოიარეთ. ახლა მთავარია პრიორიტეტად დარჩეს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა. რუსეთს რომ ვუყურებთ, დიდად არ იწვევს ჩვენს აღფრთოვანებას, საქართველოს არ უნდა მის კვალს გაჰყვეს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში ხარისხიან ჟურნალისტიკას და განათლებას შეუძლია დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესის დაჩქარება?

— რა თქმა უნდა. ჩემს ქვეყანაში გვაქვს ფუფუნება, გვქონდეს ისეთი მედია-სისტემა, რომელიც რამდენიმე საუკუნოვანმა მუშაობამ მოიტანა. საქართველოში კარგი ჟურნალისტური განათლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. „მეოთხე გზა", რომელზეც ვსაუბრობდით, ის გზაა, რომელიც თქვენმა სტუდენტებმა უნდა დაინახონ და სწორად განავითარონ დამოუკიდებელი, ქართული მედია.

პროფესორ ჯინ ალენს ესაუბრა ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი **ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐ**

ისტორიული გარდატეხა ქართულ ლექსიკოგრაფიაში

ნატო ოგოლაძე

საქართველოში პრიორიტეტულ დარგად გამოცხადებული ლექსიკოგრაფიის განვითარებაზე ზრუნვა, რაც ახლო წარსულში მხოლოდ რამდენიმე ენთუზიასტ სპეციალისტზე იყო დამოკიდებული, დღეს უკვე სახელმწიფომ ითავა. მიმდინარე წლის 23 აპრილიდან ძალაში შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება „ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ". დოკუმენტის საფუძველზე ჩამოყალიბებული სპეციალური კომისია 12 წევრისგან შედგება, რომელთა შორისაა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ არაბული, თსუ-ის პროფესორი, ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი არიანე ჭანტურია, ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი შუქია აფრიდონიძე, თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის უფროსი რედაქტორი გიორგი მელაძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური, თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი თინათინ მარგალიტაძე, ილიას უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. მინისტრის ბრძანებით მათ ლექსიკოგრაფიის განვითარების პროგრამის შემუშავება დაევალათ. კომისიამ უნდა განსაზღვროს თანამედროვეობის შესაბამისი პრიორიტეტული ლექსიკოგრაფიული მიმართულებები, მაღალი აკადემიური დონის ლექსიკოგრაფიული ნაშრომის შექმნისა და შეფასების კრიტერიუმები, აკადემიური ლექსიკონების პოპულარიზაცია, ასევე, კომისიას ევალება უკვე გამოცემული და გამოსაცემად მომზადებული ლექსიკონების ხარისხის ექსპერტიზა, რეკომენდაციების განევა და შესაბამისი ექსპერტების მოწვევა დარგობრივი ლექსიკონების განხილვისას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 23 აპრილის № 441 ბრძანებას ქართველმა ლექსიკოგრაფებმა ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი უწოდეს. მისი გამოცემისა და ამოქმედებისთვის ნიადაგი თითქმის ორი წლის განმავლობაში იქმნებოდა. 2010 წელს „ლექსიკოგრაფების I საერთაშორისო სიმპოზიუმზე", რომელიც თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა, მონაწილე მხარეებმა სპეციალური მიმართვები მიიღეს. მიმართვები საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და აკადემიური საზოგადოების სახელზე დაიწერა, რომელშიც ლექსიკოგრაფები დარგის გადარჩენისთვის საჭირო ზომების მიღებას ითხოვდნენ.

„ჩვენს მიერ გაგზავნილმა წერილებმა თავი მოიყარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სადაც ბოლო ერთი წლის მანძილზე ერთობლივად ვმუშაობდით ქართულ ლექსიკოგრაფიაში არსებულ პრობლემებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით იმართებოდა განხილვები. ვფიქრობ, მინისტრის 23 აპრილის ბრძანება იმ პერიოდში გაწეული მუშაობის ლოგიკური დაგვირგვინებაა. როგორც ამ პროცესების მონაწილე, თავს ბედნიერად ვთვლი. კომისიის შექმნით სახელმწიფომ ლექსიკოგრაფია პრიორიტეტულ დარგად აქცია, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს იმ ახალგაზრდების მოზიდვასაც, რომლებმაც მომავალში სხვადასხვა ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე უნდა იმუშაონ. დარგი რეალურად გადარჩა და ახლა უკვე შეგვიძლია ცოტა შვებით ამოვისუნთქოთ — კომისიის ფარგლებში დავიწყოთ აქტიური მუშაობა, რადგან ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი", — განაცხადა თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ მარგალიტაძემ.

ამ პროცესების გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ, ასევე, 18 მაისს ბათუმში დაგეგმილი ლექსიკოგრაფების II საერთაშორისო სიმპოზიუმის გახსნაც. თუკი I სიმპოზიუმის ძირითადი მიზანი ამ დარგისთვის სახელმწიფო პრიორიტეტის სტატუსის მინიჭება გახლდათ, ამჯერად შეკრებილი სპეციალისტები ქართულ ლექსიკოგრაფიაში არსებულ პრობლემებზე იმსჯელებენ და მათი მოგვარების სტრატეგიას განსაზღვრავენ. უფრო კონკრეტულად კი II საერთაშორისო სიმპოზიუმზე სპეციალისტები ლექსიკოგრაფიის ეროვნული პროგრამის შექმნისთვის შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებენ, რათა ხელი შეუწყონ ქვეყანაში ახალი ტიპის ლექსიკონების დანერგვის პროცესსა და ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის საკითხების კვლევას. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება დასრულებული და მიმდინარე პროექტები; ელექტრონული და ონლაინ- ლექსიკონები და ა.შ. მათ შორის, თსუ-ის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში მომზადებული პირველი დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონიც.



თინათინ მარგალიტაძე

„II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში" თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის, თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით ტარდება.

„საბჭოთა საქართველოში, ძირითადად, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები მზადდებოდა. ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის მიმართულება კი მაშინ ნაკლებად იყო განვითარებული. წლების განმავლობაში ამ დარგის იგნორირების გამო ლექსიკონების საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვის პრობლემაც კი წარმოიქმნა. სიმპოზიუმზე ამ აქტუალურ თემასაც შევეხებით. პლენარულ სხდომებზე საჯარო ლექციებს ჩვენი ევროპელი კოლეგებიც წაიკითხავენ. სამუშაო პროცესში ჩართულნი იქნებიან ცნობილი ლექსიკოგრაფები იტალიიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, ისრაელიდან, შვედეთიდან, პორტუგალიიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან, რაც უცხოელი კოლეგებისგან გარკვეული გამოცდილების შეძენის საშუალებასაც მოგვცემს. თუმცა მათაც აინტერესებთ ჩვენგან იმ ინფორმაციის მოსმენა, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ქართულ ლექსიკოგრაფიაში", — აღნიშნა თინათინ მარგალიტაძემ. მისი თქმით, ქართული ლექსიკოგრაფიით დაინტერესება ევროპაში მართლაც დიდია. მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტის ჟურნალში თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის შესახებ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ლექსიკოგრაფიული ცენტრი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში", სადაც ცენტრის დაფუძნებისა და მუშაობის ისტორიაა მოთხრობილი. ჟურნალის რედაქციის ყურადღება უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე მსგავსი ცენტრის ფუნქციონირებამ და მის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა მიიპყრო. სტატიაში გამოკვეთილია თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის როლი ლექსიკოგრაფიის სახელმწიფო პრიორიტეტულ დარგად აღიარების პროცესშიც.

ამჟამად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი იტალიურ-ქართული ონლაინ ლექსიკონის შექმნის პროექტზე მუშაობს. დაგეგმილია ყველა ევროპულ ენასთან მიმართებაში ორენოვანი ლექსიკონების გამოცემაც. როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა თინათინ მარგალიტაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ლექსიკოგრაფების ძალისხმევისა და საქართველოს მინისტრის 2012 წლის №441 ისტორიული ბრძანების გამოცემის შედეგად ქართული ლექსიკოგრაფია ახალ ეტაპს გადის. „ლექსიკოგრაფიის განვითარების სახელმწიფო კომისიის" მუშაობისთვის კონკრეტულ ამოცანებს კი ლექსიკოგრაფების II საერთაშორისო სიმპოზიუმზე დასახავენ. სიმპოზიუმი ბათუმში 18 მაისს გაიხსნება და 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება.

კომერციალიზაცია

უცნობი ძეგლების ილუსტრაციებით ამეტყველებული საქართველოს ისტორია

იმ სამეცნიერო პროექტებს შორის, რომლებიც მიმდინარე წელს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა, საყურადღებოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ წარდგენილი პროექტი — „საქართველოს ილუსტრირებული ისტორია ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ძეგლთა მიხედვით".

პროექტის ბიუჯეტი 99 880 ლარით განისაზღვრა. 2 წლის განმავლობაში ამ თანხით უნდა შეიქმნას ელექტრონული ბაზა, რომელშიც განთავსდება ხუროთმოძღვრული ძეგლების ილუსტრაციები და ისტორია, რომელიც ამ ძეგლებთანაა დაკავშირებული. ამასთან, დაგეგმილია წიგნის გამოცემა და საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად 15-15 წუთიანი დოკუმენტური ფილმების გადაღება 50 შერჩეულ ხუროთმოძღვრულ ძეგლზე.

პროექტში ჩართულნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა კიკნაძე (ხელმძღვანელი), ამავე ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი ქავთარაძე და საქართველოს ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი დავით მერკვილაძე, ასევე, ხელოვნებათმცოდნე თამაზ დვალი და კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტი მაია დუმბაძე.

პროექტისადმი ინტერესი დიდია. ჩასატარებელი ღონისძიებები კი – შრომატევადი. რა სიახლეებს შემოგვთავაზებენ მეცნიერები და კონკრეტულად რა გეგმები აქვთ პროექტის განხორციელებისთვის, ამ საკითხებზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ვაჟა კიკნაძე*:*

მაია ტორაძე

— ბატონო ვაჟა, თქვენი პროექტის სათაურია „საქართველოს ილუსტრირებული ისტორია ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ძეგლთა მიხედვით". რა მიზანი აქვს ამ პროექტს?

— თავად სათაური გვეუბნება, რომ ეს არის საქართველოს ისტორია გადმოცემული ეკლესია-მონასტრების ისტორიაზე დაყრდნობით. ჩვენი მიზანია, ესა თუ ის ძეგლი განვიხილოთ არა მხოლოდ არქიტექტურულად (ეს თავისთავად იგულისხმება), არამედ იმ ისტორიის მიხედვით, რომელიც მასთანაა დაკავშირებული. თითოეული ძეგლი თავის ეპოქას, ზოგჯერ რამდენიმე ეპოქასაც კი განასახიერებს. ავიღოთ, მაგალითად, სვეტიცხოველი. ეს არის ტაძარი, რომლის ისტორიაც იწყება წმინდა ნინოს ეპოქიდან — IV საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან და გრძელდება დღემდე. იგი მოიცავს ვახტანგ გორგასლის პერიოდს, რომელმაც ახალი ტაძარი ააშენა; XI საუკუნის ისტორიას, როცა ტაძარმა დღევანდელი სახე მიიღო და XIV და XV საუკუნეებს, როცა მისი რესტავრაცია განხორციელდა. ანუ, ამ ძეგლზე თითქმის საქართველოს ისტორიაა მიბმული. ჩვენ გვინდა სწორედ ასეთი სახით წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყნის გარდასული დრო და დავაფიქსიროთ — ვინ ააშენა ეს ტაძარი, რა ეპოქა იყო, ვინ რა შესწირა მშენებლობას, ვინაა იქ დაკრძალული და ა.შ. ამგვარად, ეს იქნება ფართოდ მოთხრობილი და ილუსტრაციებით გამდიდრებული საქართველოს ისტორია.

— საქართველოში 3000-ზე მეტი ისტორიული ძეგლია აღრიცხული, მათ შორის რომელი შევა თქვენს ნაშრომში?

— წინასწარ ჩამოთვლილი გვაქვს 200 ძეგლი. მათგან ზოგი ცნობილია, ზოგიც – ნაკლებად ცნობილი, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე. მაგალითად, პანკისის ხეობის

ვაჟა კიკნაძე

დასაწყისში დგას არაჩვეულებრივი სამონასტრო კომპლექსი — ხევისჭალა, რომლის შესახებაც ბევრმა არ იცის. იგი ისეთ ადგილზე დგას, რომ არ ჩანს და მის მისაკვლევად 2 დღე დაგვჭირდა. ეს გახლავთ XII საუკუნის ბაზილიკა საინტერესო წარწერით: „წმინდაო მარიამ, მეოხ ეყავ კახეთსა". უცნაურია, რომ მონასტრის მშენებლები ამ წარწერით უფალს კახეთის შემწეობას შესთხოვენ. ეტყობა, კახეთი მაშინ ჯერ კიდევ გამოყოფილი იყო ერთიანი საქართველოდან. იგი უთუოდ საინტერესო ძეგლია და მასზე თითქმის არავინ საუბრობს. ჩვენ შევეცდებით, საზოგადოებისთვის ცნობილი გავხადოთ ისტორია, რომელიც ხევისჭალას უკავშირდება.

განსაზღვრული გვაქვს, ასევე, ნაკლებად ცნობილი ძეგლის – დაბის ეკლესიის ისტორიის შეტანა პროექტში. ის ბორჯომის მახლობლად, წაღვერის გზაზე მდებარეობს და აშენებულია გიორგი ბრწყინვალეს მიერ, რაც იშვიათია დღემდე შემორჩენილ ძეგლებს შორის. ეს ეკლესია ისეა კლდეზე მიკრული, რომ თითქმის არ ჩანს. მისი ჩუქურთმები XIV საუკუნისთვისაა დამახასიათებელი და კარგად არის შემონახული. დღეს იქ მღვდელმსახურებაც მიმდინარეობს, მაგრამ ფართო საზოგადოებამ ნაკლებად იცის მისი ისტორია...

ასეთი ბევრი ძეგლია საქართველოში და გვინდა წარმოვაჩინოთ, რადგან ამ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შეუძლია საქართველოს ისტორიის შესახებ უტყუარი ინფორმაცია მიაწოდოს მკვლევრებსა და დაინტერესებულ პირებს.

— იქნება თუ არა თქვენ მიერ აღწერილ ძეგლებს შორის ის ძეგლებიც, რომლებიც რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე დგას?

— გასაგები მიზეზის გამო ბევრ ასეთ ძეგლთან ვერ მივალთ, მაგრამ იმ ფოტოებსა და მონაცემებს, რაც გვაქვს და აფხაზეთსა თუ შიდა ქართლში მდებარე ქართული ძეგლების ისტორიას ასახავს, გამოვიყენებთ.

ამავე დროს, ჩვენ პროექტში ჩართული გვაქვს რამდენიმე არაქართული ძეგლიც, რადგან, როგორც მულტიეთნიკურ ქვეყანას, ამ ძეგლების ისტორიის აღწერაც გვეკისრება.

ჩვენი პროექტი მოიცავს IV—XIX საუკუნეებს და, ამდენად, არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოში XIX საუკუნეში აგებული მეჩეთი, რომელიც უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ამ მეჩეთში შიიტებიც და სუნიტებიც ერთად ლოცულობენ; ასევე — სინაგოგა, რომელიც მნიშვნელოვანი ძეგლია. პროექტში ჩაერთვება თბილისში მდებარე ერთი სომხური – სურბ გევორქის ეკლესიაც, რომელშიც საიათნოვა და რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრი ლორის-მელიქოვია დაკრძალული.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის თანადამფინანსებელი თითქმის ყველა გამოყენებითი სამეცნიერო პროექტისა, რომელიც უნივერსიტეტის სახელით წარადგინეს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. თქვენი თანადამფი-

მე-14 გვერდზე

პროფილი

სტუმარ-მასპინძელი

უფალთან თანხმობაში ცხოვრების სურვილს ადამიანები იოლად ვერ ამჟღავნებენ... ქალბატონ ირმა რატიანს კი ამ პასუხისმგებლობის და ტვირთის ტარების, როგორც ჩანს, არ ეშინია... ფიქრი მტკვრის პირას ჯერ კიდევ მე-9 კლასიდან დაიწყო და ტატოს ლექსების შთაბეჭდილების ქვეშ დარჩენილ მომავალ ფილოლოგს არ გასჭირვებია მოზღვავებული ემოციების ფურცლებზე გადატანა... წარმატებაც მაშინვე მოვიდა... მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე არ დაიბნა და პირველად მაშინ გაიმარჯვა... ლირიკის მორევში „გაჭენებულმა" ბარათაშვილმა მას თავი უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე სწავლის დროსაც შეახსენა და ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიანტადაც გამოარჩიეს სხვათაგან... თუმცა მამის კვალს გაყოლის სურვილის კარნახით შინაგანი ხმა ჯერ კიდევ ბავშვობაში ახსენებდა თავის მისიას — ქართული ლიტერატურა აერჩია სწავლის, განსჯის, თეორიული ჩაღრმავების და ბოლოს — კვლევის საგნადაც... მის ცხოვრებაში გამოჩნდა პერიოდიც, როცა ქართული ენისა და ლიტერატურის სადავეების დაცვის სადარაჯოზეც დადგა... კომუნისტური რეჟიმის მარწუხებისგან პირადი ინიციატივით გამოთავისუფლებულმა აზროვნებამ ბიძგი მისცა და... ქართულ სიმბოლოთა პატივისცემით ნასაზრდოებმა სულმა საწადელს მიაღწია - ქალბატონი ირმა რატიანი დღეს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორია და, თუ შეიძლება ითქვას, ამ პატარა მწვერვალიდან „საკუთარი განვლილი გზის მკვლევრის" ამპლუაში ეჭიდება ცხოვრებას, ყოფას, რეალობას, თანამედროვეობას... საკუთარ თავში „მაძიებლობა" მან უკვე დიდი ხანია დაამთავრა და გამოტანილი დასკვნების გულწრფელად აღიარების ჟამიც დაუდგა... „პროფილში" ქალბატონი ირმა რატიანი გვესაუბრება, რომელიც, ამჯერად, ჩვენი გაზეთის სტუმარია და არა მასპინძელი, როგორც ეს უნივერსიტეტის ყოფილ „პრეს-კლუბელს" შეიძლება უწოდო...

მე-3 კურსის ბოლოდან აღმოვჩნდი სტუდენტურ მოძრაობაში ჩართული და ეს, რასაკვირველია, იყო იმ წრის დამსახურება, რომელშიც ვტრიალებდი. მოძრაობა სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებს აერთიანებდა, მაგრამ მიზანი საერთო გვქონდა — გვინდოდა გვეთქვა თავისუფალი სიტყვა, ხშირად რადიკალურიც იმ რთულსა და, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ჩაკეტილ ეპოქაში. როცა ოცი წლისა ხარ, რადიკალიზმიცა და სიჯიუტეც ნორმალურია, მეტიც — ეს საჭიროა საზოგადოების განვითარებისა და წინსვლისათვის. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ სტუდენტების აქტიურობაში ტრაგიკული და ცუდი არაფერია, პირიქით...

მაია ტორაძე

— ქალბატონო ირმა, გაგვაცანით თქვენი ოჯახი, ფესვები, საიდან მოვიდა ქართული ფილოლოგიის სიყვარული?

— მამა, შალვა რატიანი, პროფესიით ფილოლოგი იყო და წლების განმავლობაში მუშაობდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. სამწუხაროდ, ის ძალიან ადრე — 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. მე მაშინ 14 წლის ვიყავი, ჩემი და კი, დღეს უკვე ცნობილი სოპრანო, ირინე რატიანი — 12 წლის იყო. მიუხედავად პატარა ასაკისა, კარგად მახსოვს მამას უახლოესი სამეგობრო წრე: ნოდარ ალანია, აგი აბაშიძე, მირიან აბულაძე, გურამ ასათიანი, ქიცა ხერხეულიძე, შოთა ვაშაყმაძე — ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ ამინდს მაშინდელ ქართულ ლიტერატურულ წრეებში. ისინი ხშირად გვსტუმრობდნენ, მით უფრო, რომ ბევრი მათგანისათვის გზაც არ იყო შორი: ჩვენ ვცხოვრობდით ლიტერატორების სახლში, მცხეთის ქუჩაზე და ეს გარემო ხელს უწყობდა ჩემს მუდმივ თანაზიარობას ლიტერატურულ გარემოსთან.

ვერ გეტყვით, რომ მაინცდამაინც ამით იყო განპირობებული ჩემი პროფესიული არჩევანი, მაგრამ ნამდვილად დიდი როლი ითამაშა მამის ნაადრევმა გარდაცვალებამ და ჩემმა სურვილმა, არ დამეკარგა მამის კვალი. გარდა ამისა, ალბათ, არსებობდა გარკვეული ბუნებრივი მონაცემები და შინაგანი განწყობა ამ პროფესიისადმი.

— სკოლამ რამდენად ითამაშა როლი, თქვენი არჩევანის გაკეთებაში? ვინ გასწავლიდათ ქართულ ენასა და ლიტერატურას?

— მართალი გითხრათ, ძალიან თბილი მოგონებები მაქვს გამოყოლილი სკოლიდან. ოქროს მედალზე დავამთავრე 57-ე საშუალო სკოლა და ყოველთვის ვგრძნობდი ყურადღებასა და მხარდაჭერას მასწავლებლების მხრიდან. ქართულ ენასა და ლიტერატურას ორი მშვენიერი ქალბატონი მასწავლიდა: ცოტა ადრეულ, მაგრამ არჩევანის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვან პერიოდში — ლია ანთელავა, ბრწყინვალე პედაგოგი, რომელმაც სითამამე და ორიგინალურობა შესძინა ჩვენს აზროვნებას. მოგვიანებით კი კლასი გადაიბარა ქალბატონმა ასია ავეტისოვამ, თავისი საქმის ასევე შესანიშნავმა სპეციალისტმა.

— კლასიდან გამოყოლილი მეგობრები თუ შემოგრჩათ?

— საერთოდ, ძალიან კარგი კლასი მყავდა, მეგობრული, შეკრული. ამ კლასიდანვე მომყვება ჩემი უახლოესი მეგობარი — ნინო ვასაძე, რომელიც ლიტერატორი არ არის, მაგრამ ბავშობასთან და ძირებთან სწორედ ის მაკავშირებს.

სხვათა შორის, ამავე სკოლაში, ჩემზე ერთი წლით წინ სწავლობდნენ დათო ტურაშვილი და გიო ახვლედიანი — მწერალი აკა მორჩილაძე. ასე მგონია, უხსოვარი დროიდან ვმეგობრობ მათთან: სკოლის გარდა, უნივერსიტეტშიც ერთ პერიოდში მოგვიწია სწავლამ და ახლაც, პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად გვინევს ხოლმე შეხვედრა.

— როდესაც ადამიანები ლიტერატურას ეხებიან, ხშირად იხსენებენ კონკრეტულ დროს და მწერალს, რომლის გაცნობის შემდეგაც შეიგრძნეს, რომ მათ იზიდავთ და აინტერესებთ ლიტერატურის სამყარო. თქვენ თუ გახსოვთ, რა იყო ასეთი დიდი შთაბეჭდილება?

— მე-9 კლასში ვიყავი, როდესაც გამიჩნდა დამოუკიდებელი სურვილი, რაღაც დამეწერა ბარათაშვილზე. საამისოდ სერიოზული ბიძგი აღმოჩნდა ბარათაშვილის პირადი მიმოწერის — მეგობრებისადმი, ოჯახისადმი, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წერილების გაცნობა. მოგეხსენებათ, 15-16 წელი მოჭარბებულად რომანტიკული ასაკია და ამ დროს ეპისტოლურ ჟანრთან, მით უფრო ესოდენ დახვეწილთან, ზიარება განსაკუთრებით იპყრობს ახალგაზრდის ემოციას. ჩემი სურვილიც ეს იყო — წამეკითხა ბარათაშვილის პოეზია რომანტიკული ემოციების ფონზე. სწორედ ამ პერიოდში დავდიოდი ლიტერატურულ წრეზე მაშინდელ „პიონერთა სასახლეში" ჩემთვის დაუვიწყარ დოდო დეიდასთან — ქალბატონ დოდო ჯორბენაძესთან. მან პირველმა მომიწონა ნაშრომი და, „წრის" სახელით წარმადგინა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ძალიან ვღელავდი, პირველად ვიდექი დიდი აუდიტორიის წინაშე, მაგრამ, როგორც ჩანს, არ დავიბენი — გავიმარჯვე, მივიღე პირველი ხარისხის დიპლომი და, რაც მთავარია, — სრულიად გარკვეული გადაწყვეტილება მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით.

— რა ასოციაციას იწვევს თქვენში სტუდენტობის პერიოდის გახსენება?

— უნივერსიტეტში 1984 წელს ჩავბარე და სწავლა 1989 წელს დავასრულე. ჩვენ ვიყავით საბჭოთა პერიოდის უნივერსიტეტის ბოლო გამოშვება.

მიუხედავად ამ გარდამავალი პერიოდისა, ის უნივერსიტეტი, რომელშიც მე ვსწავლობდი, ძალიან საინტერესო იყო: უამრავი მოგონება მაკავშირებს სტუდენტობასთან — კარგიც, ნაკლებად კარგიც, მაგრამ ყოველთვის საინტერესო. გარდა იმისა, რომ ვიყავი რიგითი სტუდენტი, რომელიც ცდილობდა, კარგად ესწავლა და წარმატებისთვის მიეღწია, ასევე ვიყავი სტუდენტური „პრეს-კლუბის" წევრი. შესაბამისად, ჩემი სტუდენტური ცხოვრება საკმაოდ სისხლსავსე და მოუსვენარი იყო.

— როგორ ისწავლებოდა თქვენს დროს ქართული ლიტერატურა და ვინ იყვნენ თქვენი თანაკურსელები?

— ქართულ ლიტერატურას ფუნდამენტურად ვსწავლობდით. ლიტერატურის ისტორიის ყოველი პერიოდის სწავლება რამდენიმე სემესტრს მოიცავდა და შედეგიც არ აყოვნებდა: სტუდენტების აკადემიური მოსწრება ძალიან მაღალი იყო. საერთოდაც, ჩემი კურსი გამოირჩეოდა ნიჭიერი, ერუდირებული, მიზანსწრაფული ბავშვებით. იმდენად, რომ თანაკურსელებს შორის ძალიან რთული იყო, ყოფილიყავი გამორჩეული. ჩემს კურსზე სწავლობდნენ: ვანიკო რამიშვილი, ბელა წიფურია, ლელა წიქარიშვილი, თედო ისაკაძე, თამუნა კვაჭანტირაძე, თემურ ფირცხალაიშვილი, მარიკა ჩიქოვანი, ხათუნა ნიშნიანიძე... ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტი იყო ჩემი მეგობარი — ვანიკო რამიშვილი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა, ტრაგიკულად დაიღუპა. ვანიკო განსაკუთრებული იყო, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გვევლო საკუთარი თავის ჩამოყალიბების გზაზე.

— თქვენ იმ თაობის პედაგოგთა სტუდენტი ბრძანდებით, რომლებიც დღეს უკვე ქართული ფილოლოგიის პატრიარქებად მოიხსენიებიან. ვინ გიკითხავდათ უნივერსიტეტში ლექციებს და გყავდათ თუ არა „თქვენი ლექტორი", რომელმაც თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობაზე მოახდინა გავლენა?

— ჩემს პროფესიულ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ბატონმა თენგიზ კიკაჩეიშვილმა. მან არამარტო განსაზღვრა ჩემი პროფესიული არჩევანი, არამედ — ადამიანობის ფასდაუდებელი გაკვეთილებიც მომცა: ბატონი თენგიზი, გარდა იმისა, რომ თავის საქმის პროფესიონალია, უაღრესად ღირსეული პიროვნებაა. მე მეორე კურსიდან უკვე მასთან ვმუშაობდი — ხან საკურსო, ხანაც საკონფერენციო თემებზე, მოგვიანებით ასპირანტურაში ჩავბარე ლიტერატურის თეორიის მიმართულებით და პირველი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელიც ბატონი თენგიზი იყო.

აქვე, არ შემიძლია არ გავიხსენო ადამიანები, რომლებმაც დიდი ამაგი დამდეს: ბატონი კორნელი დანელია — შესანიშნავი ენათმეცნიერი, ჩვენი დეკანი, თბილი და გულისხმიერი ადამიანი, ქალბატონი ნელი ბაბუნაშვილი, მართლაც არაჩვეულებრივი ქალბატონი, რომელსაც ძალიან დავწყვიტე გული, როცა ენის მიმართულება არ ავირჩიე, ბატონი ალიკა ალექსიძე — სრულიად დაუვიწყარი პროფესორი, ბრწყინვალე ლექტორი და პიროვნება, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მეტრები — ბატონები რეზო სირაძე, ზურაბ კიკნაძე, გრიგერ ფარულავა...

— ჩვენი თაობა ქართულს სწავლობდა დადგენილი დოგმებით — ლიტერატურულ ნაწარმოებებში მაინცდამაინც ის უნდა დაგვენახა, რაც ე.წ. „გარჩევის წიგნებში" ეწერა... როგორ გასწავლიდნენ მაშინ უნივერსიტეტში — იყო იმის მცდელობა, რომ ახლებურად შეგეხედათ ლიტერატურული გმირებისა და ნაწარმოებებისთვის? ისინი გასწავლიდნენ თუ თავად ეძებდით იმ გასაღებს, რომელიც სხვაგვარად დაგანახებდათ, მაგალითად, იგივე ვაჟას „არწივს"?

— დავიწყებ იქიდან, რომ ჩვენ ინტელექტუალურად ძალიან მომზადებული თაობა ვიყავით. როცა უნივერსიტეტში ჩავბარეთ, ბევრი რამ უკვე წაკითხული გვქონდა — ჩვენთვის არ იყო უცხო არც ერთი ის ავტორი, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა და თუკი სწავლის პერიოდში ამ ავტორებს ვუბრუნდებოდით, უკვე სპეციალური ინტერესის გამო და არა იმ მიზეზით, რომ წაკითხული არ გვქონდა, ვთქვათ, „დონ კიხოტი" ან „ჰამლეტი". რაკიღა ფილოლოგობას ვაპირებდით, უნივერსიტეტში საკმაოდ ნაკითხი და მომზადებულნი შევდიოდით და როცა ბაზისი მყარია, იქ გარკვეული კორექტივების შეტანა ადვილიცაა და საინტერესოც. ლექტორებს ეს კორექტივები ჩვენს აზროვნებაში სიამოვნებით შემოჰქონდათ — შეუძლებელი იყო, ბატონი რეზო სირაძის ლექციაზე არ გაგჩენოდა ტექსტის სხვაგვარად წაკითხვის სურვილი. ეს ლექციები არ იყო მონოლოგები, რომლებიც გაიძულებდა, რომ მხოლოდ ერთი კუთხით გეაზროვნა, ეს იყო პროცესი, რომელიც ფიქრისაკენ გიბიძგებდა. დამერწმუნეთ, როდესაც აუდიტორიაში უნდა ახსნა რენესანსული რომანი და 130 სტუდენტიდან მხოლოდ ხუთს აქვს წაკითხული სერვანტესის ტექსტი, ეს ურთულესი ამოცანაა...

— ჩვენი თაობა აქტიურად იყო ჩართული სტუდენტური სალონებისა და წრეების მუშაობაში, იმართებოდა სტუდენტური შემოქმედების განხილვები, მოსმენები... თქვენ რამდენად იყავით მათი ხშირი სტუმარი?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალიან აქტიური სტუდენტი ვიყავი და ჩემი სტუდენტური ინტერესები სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავდა. პრევალირებდა აკადემიური სფერო — დიდ დროს ვუთმობდი სწავლას, ვცდილობდი, მეტად მომეხდინა ჩემი შესაძლებლობების რეალიზება. ვიმედოვნებდი, რომ ოდესმე მეცნიერებაში ვიმუშავებდი და საჭიროდ მიმაჩნდა, ამ მიმართულებით დამეხვეწა ცოდნა. ჩემი მცდელობის შედეგი იყო ის, რომ მესამე კურსიდან გავხდი ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიატი (ისევ ბარათაშვილი!) და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. მაგრამ, ეს ნამდვილად არ იყო ერთადერთი სფერო, სადაც ჩემს თავს ვპოულობდი: უდიდესი სიამოვნებით ვიყავი ჩართული სტუდენტთა ლიტერატურული წრის მუშაობაში. ეს წრე იყო ემოციურად დამუხტული ჰაერი, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს.

კარგად მახსოვს პირველი დასწრება ამ წრეზე. განიხილავდნენ ჩემი თანაკურსელისა და მეგობრის — თემურ ფირცხალაიშვილის ლექსებს. ის იყო უაღრესად ნიჭიერი, ინდივიდუალური ხელწერის მქონე პოეტი, კოლორიტული ახალგაზრდა კაცი, რომლის გარეშეც ძნელია იმ პერიოდის სტუდენტობის წარმოდგენა. მახსოვს, როგორი ვნებათაღელვა მოჰყვა ჩვენი მეგობრის შემოქმედების განხილვას — რამდენიმე გულსუსტი და ემოციური გოგონა ატირებულიც კი გავარდა აუდიტორიიდან. სამწუხაროდ, დღეს აღარც თემურია ცოცხალი...

არ შემიძლია, არ გავიხსენო ჩვენი სტუდენტობის კიდევ ერთი ნათელი წერტილი, უფრო სწორად, საერთო თავშეყრის ადგილი — სტუდენტური კაფე VI კორპუსთან. იქ მუშაობდა ლიზიკო დეიდა — ჩვენი დამაკავშირებელი რგოლი. მობილურები, ცხადია, მაშინ არ არსებობდა და ვისაც ვინმესთვის რამის შეტყობინება გვინდოდა, ბარათებს ლიზიკო დეიდასთან ვტოვებდით. მას ამ წერილების მთელი ფოსტა ჰქონდა დახლზე! საოცარი ის იყო, რომ ყველას გვცნობდა. კაფეში შესულს, უმალვე დამიძახებდა — „რატიანი, შენთვის წერილია!". ისე თბილად მახსოვს ეს პაწაწინა, სულ მუდამ გაჭედილი კაფე — ან სად ეტეოდა ამდენი სტუდენტი...

— ის პერიოდი, რომელზეც ახლა თქვენ საუბრობთ, ძალიან საინტერესო იყო იმითაც, რომ იწყებოდა ეროვნული მოძრაობის გამოღვიძება. მახსოვს, რომ ღრმად მოაზროვნე სტუდენტები ძალიან მჭიდროდ ჰყავდათ მიმაგრებული კომკავშირულ ორგანიზაციაზე, რათა ისინი რაიმე მოძრაობაში არ ჩაბმულიყვნენ. თქვენ ისეთი სამეგობრო გყავდათ, რომლებიც დაუმორჩილებელთა და პროტესტანტთა ჯგუფს განეკუთვნებოდა. როგორ ახერხებდით, რომ პიროვნული თავისუფლება არ შეგეზღუდათ, ყოფილიყავით ერთდროულად სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეც და სტუდენტური პრეს-კლუბის წევრიც?

— რაც თავი მახსოვს, სულ დაკავებული ვიყავი ასაკისათვის შესაფერისი სხვადასხვა საქმიანობით და მგონია, რომ თუ ადამიანს ეძლევა თავისი ენერგიისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, ეს კარგია.

რაც შეეხება კომკავშირს, ამ ორგანიზაციასთან, ფაქტობრივად, ურთიერთობა არ მქონია: ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მე ის არაფერში მჭირდებოდა. მხოლოდ მე-10 კლასში მიმიღეს კომკავშირში, ისიც იმიტომ, რომ ოქროს მედლის კანდიდატი ვიყავი და სხვაგვარად მაშინ მედლის გაცემა არ შეიძლებოდა. მახსოვს, კლასის დამრიგებელი მოვიდა დედაჩემთან სპეციალური ვიზიტით და თხოვნით: „ეს თუ არ შევიდა კომკავშირში, მედალს, რასაკვირველია, არ მისცემენ, მაგრამ სკოლასაც დიდი საყვედური შეხვდება".ასე აღმოვჩნდი ორგანიზაციაში, სადაც ჩემი ყოფნის „სტაჟი" სულ რაღაც სამი წლით განისაზღვრა – პირველივე შესაძლებლობისას ჩავაბარე მანდატი იმ სტუდენტებთან და ლექტორებთან ერთად, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს პარტიასა და კომკავშირს.

რაც შეეხება სტუდენტურ მოძრაობას, მე-3 კურსის ბოლოდან აღმოვჩნდი მასში ჩართული და ეს, რასაკვირველია, იყო იმ წრის დამსახურება, რომელშიც ვტრიალებდი. მოძრაობა სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებს აერთიანებდა, მაგრამ მიზანი საერთო გვქონდა — გვინდოდა გვეთქვა თავისუფალი სიტყვა, ხშირად რადიკალურიც, იმ რთულსა და, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ჩაკეტილ ეპოქაში. როცა ოცი წლისა ხარ, რადიკალიზმიცა და სიჯიუტეც ნორმალურია, მეტიც — ეს საჭიროა საზოგადოების განვითარებისა და წინსვლისათვის. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ სტუდენტების აქტიურობაში ტრაგიკული და ცუდი არაფერია, პირიქით.

სტუდენტური მოძრაობის ლიდერი იყო სტუდენტური პრეს-კლუბი, სადაც ჩემს გვერდით იყვნენ დათო ტურაშვილი, თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე, ნიკო ნიკოლოზიშვილი, ქეთი გვაზავა, მოგვიანებით — კახა ლორია, გიორგი მაისურაძე, ნანა ბოკუჩავა და სხვანი.

როცა ამ პერიოდზე ვსაუბრობ, არ შემიძლია არ გავიხსენო ბატონი ნოდარ ამაღლობელი, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი — ღირსეული პიროვნება, შესანიშნავი მეცნიერი და, უბრალოდ, კაცი, რომელსაც უყვარდა სტუდენტები. რომ არა მისი კეთილგანწყობა სტუდენტების მიმართ, დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ „სტუდენტური ფურცელი" საერთოდაც არ ჩაერთოთ უნივერსიტეტის გაზეთში. „სტუდენტური ფურცელი"-ს ბეჭდვის იდეას იცავდა და კურირებდა პრორექტორი, ბატონი ვახტანგ გოგუაძე. ეს თანადგომა და თანაგრძნობა უნდა გვახსოვდეს!

— თავისი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტი მუდამ იდგა ყველა იმ პროცესის სათავეში, რაც კი საქართველოში მომხდარა: ენის დაცვის საკითხი, ეროვნული მოძრაობა და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ეს ნიშა — საზოგადოების ფლაგმანისა, დღესაც უნდა ეკავოს უნივერსიტეტს?

მე-14 გვერდზე

სტუმარ-მასპინძელი

მეცამეტე გვერდიდან

— დიახ, ეს იყო მისია, რომელიც იმთავითვე ეკისრებოდა ქვეყნის პირველ უნივერსიტეტს, განსაკუთრებით, საბჭოთა დიქტატურის პირობებში, და რომელიც ღირსეულად შეასრულა უნივერსიტეტმა. მაგრამ, მოგეხსენებათ, დრო იცვლება და ეს ცვლილება საქართველოსთვის, პირველ რიგში, დამოუკიდებლობის აღდგენით აღინიშნა, თავისუფლებით, რომელიც ხანგრძლივი და ტკივილიანი მოლოდინის შემდეგ მოიპოვა ქვეყანამ.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელმაც ახალ ისტორიულ და პოლიტიკურ ხანაში შეაბიჯა, ეპოქაში, როდესაც ქვეყნის სტრატეგიას — პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს თუ საგანმანათლებლოს, განსაზღვრავს სახელმწიფო, რომელსაც აქვს გარკვეული ხედვა და გეზი.

ფიქრი იმაზე, რომ ამ ახალ დროში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ან ნებისმიერმა სხვა უნივერსიტეტმა, შეიძლება განსაზღვროს ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური მიმართულებანი და, ამ თვალსაზრისით, ჰქონდეს ლიდერობის პრეტენზია, გულუბრყვილობაა. დაბეჯითებით მიმაჩნია, რომ დღეს უნივერსიტეტი უნდა იყოს სწავლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობასა და განვითარებაზე, ახალგაზრდა თაობის საფუძვლიან განათლებაზე ორიენტირებული ძლიერი ცენტრი, რომელიც, თავისი მიზნების მისაღწევად ითანამშრომლებს სახელმწიფოსთან და, საჭიროების შემთხვევაში, იტყვის გადამწყვეტ სიტყვას. საამისოდ, უნივერსიტეტი უნდა იყოს ძლიერი, თავისუფალი საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის ძირითადი მიზანიც იქნება ქვეყნისათვის ღირსეული პროფესიონალების აღზრდა, სტუდენტისა და ქვეყნის ინტერესებზე მორგებული საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება.

ვთვლი თუ არა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც პირველ ქართულ უნივერსიტეტს, უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხარადაჭერის იმედი? დიახ, ვთვლი, ვინაიდან ყოველი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია სიმბოლოთა პატივისცემისა და დაცვის ისტორიაა.

— ***არ მინდა უყურადღებოდ დაგვრჩეს თქვენი მთავარი საქმე – მეცნიერება. რატომ აირჩიეთ ლიტერატურის თეორია?***

— იმ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელსაც სტუდენტობის პერიოდში ვეცნობოდი, ჩემზე განსაკუთრებულ ეფექტს სწორედ თეორიული ლიტერატურის სფერო ახდენდა, მომწონდა ის, რომ ლიტერატურის თეორიის კანონის თანახმად, მკვლევარის ყოველი მოსაზრება კონკრეტულ მეთოდოლოგიას უნდა ეფუძნებოდეს და გამყარებული იყოს თეორიული არგუმენტებით.

ჩემზე ადრიდანვე დიდი შთაბეჭდილება დატოვა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნისა და ლიტერატურათმცოდნის, მიხაილ ბახტინის მოძღვრებამ, კერძოდ, ქრონოტოპის თეორიამ, რითაც დაიწყო კიდევაც ჩემი გზა მეცნიერებაში. ამ პრობლემას ძალიან დიდხანს ვუტრიალე სხვადასხვა ჭრილში. საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო — „დროისა და სივრცის პრობლემები ილია ჭავჭავაძის პროზაში“, რომელიც 1994 წელს დავიცავი და გამოვეცი წიგნად, ხოლო სადოქტორო დისერტაციის თემა გახლდათ უფრო ფართო კულტუროლოგიური ხასიათის ნაშრომი — „ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში“, რომელიც დავიცავი 2003 წელს და ასევე გამოვეცი წიგნად. 2010 წელს, უნივერსიტეტის გამომცემლობის მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა ჩემი „ოცნების პროექტის“ განხორციელება – დაიბეჭდა წიგნი „ტექსტი და ქრონოტოპი“, რომელშიც თავმოყრილია ჩემი მრავალწლიანი შრომის შედეგები ქრონოტოპის პრობლემებზე.

რასაკვირველია, ჩემი სამეცნიერო ინტერესების სფერო მუდმივად იცვლება. ამჟამად დიდ დროს ვუთმობ შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებს, აგრეთვე, სახელმძღვანელოებს, რომელთაც ელიან ჩვენი სტუდენტები და ჩვენ მათ ვერ გავაწბილებთ.

— ***თქვენ აღნიშნეთ, რომ თქვენი თაობა, გარკვეულწილად, მომზადებული მოდიოდა უნივერსიტეტში. ყოველ შემთხვევაში, წაკითხული ჰქონდა კლასიკური ლიტერატურის ის ნაწილი, რაც ახალგაზრდამ სწორედ სკოლის ასაკში უნდა წაიკითხოს... დღეს დგას წიგნთან ურთიერთობის და, ზოგადად, კითხვის პრობლემა. ზოგჯერ ახალგაზრდას ისეთი ავტორი არ აქვს წაკითხული, რომ გვიკვირს (ცხადია ყველას ეს არ ეხება). თქვენ კავშირი გაქვთ ახალგაზრდების სწორედ იმ ნაწილთან, რომელმაც მომავალში ლიტერატურასთან ურთიერთობის საკითხები უნდა განსაზღვროს. რას იტყვით მათზე? აქვთ მათ ის ბაზისი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ? როგორ მუშაობთ მათთან ლიტერატურის თეორიის საკითხებზე იმ დროს, როცა ბევრი ის ავტორი, ვის შემოქმედებაზეც უნდა ისაუბროთ, არც კი გაუგონიათ?***

— დავიწყებ იმით, რომ მე ძალიან მიყვარს სტუდენტი. სიყვარული და კეთილგანწყობა კი, რომელსაც მიმართავ სტუდენტისაკენ, რთულად დასაძლევ სამუშაოსაც კი გააადვილებს.

ის პრეტენზია, რომ ახლანდელი თაობის ერუდიციის დონე ჩამორჩება ჩვენი თაობისას, რასაკვირველია, პრეტენზიად რჩება, თუმცაღა, დასაბუთებულ პრეტენზიად: ქვეყანამ არაერთი რთული ეტაპი გამოიარა ბოლო ოცი წლის მანძილზე, იყო გაჭირვებაც, უშუქობაც, უიმედობაც... მშობლებს გაუჭირდათ იმ გარემოს შექმნა, რომელიც საჭიროა ინტელექტისა და განათლების განვითარებისათვის. სკოლამაც დათმო პოზიციები, დაკარგა ფუნქცია. ეს ყველაფერი გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი პრობლემებია, რომელსაც ახლა უკვე სერიოზულად უფიქრდება ქვეყანა. გულწრფელად მიხარია, რომ დღეს სკოლა ფუნქციას იბრუნებს და როგორც კი ეს მოხდება, ჩვენ უსათუოდ მივიღებთ უფრო მომზადებულ თაობას. მანამდე კი, მთელი ჩვენი ძალითა და ენერგიით, საგანგებო ღონისძიებებითა და ჩარევით უნდა დავეხმაროთ სტუდენტებს, რათა მათ ხელი არ შეეშალოთ დასაქმების ბაზარზე.

გაგიზიარებთ პირად გამოცდილებას: ბაკალავრიატში სტუდენტებთან ურთიერთობას ვიწყებ საგნით — „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“, რომელიც საბაზისო კურსია ფილოლოგებისათვის. ამ კურსის სწავლებისას სტუდენტებს ვთავაზობ თხუთმეტი-ოცი აუცილებელი წიგნის ჩამონათვალს, რომელიც მათ უნდა წაიკითხონ, ვიდრე მობრძანდებიან ჩემთანვე „ლიტერატურის თეორიის“ ლექციების მოსასმენად. ძალიან ცდილობენ ამ დავალების შესრულებას. სწორედ გუშინწინ შემხვდა ერთი სტუდენტი და მითხრა, ქალბატონო ირმა, წელს არ ავირჩიე „ლიტერატურის თეორია“, გაისად მოვისმენ, რადგან ყველა წიგნის წაკითხვა ვერ მოვასწარიო... დამეთანხმებით, გაცილებით შედეგიანია საუბარი შექსპირზე, როცა სტუდენტებს თუნდაც ერთი პიესა აქვთ წაკითხული, ან — რომანტიზმზე, როცა ბარათაშვილის გარდა სტუდენტი ბაირონისა და ლერმონტოვის პოეზიასაც იცნობს.

რაც შეეხება მაგისტრატურას და დოქტორანტურას, ეს საფეხურები ჩემთვის უფრო კომფორტულია, ვინაიდან პროგრამაზე აბარებენ სტუდენტები, რომელთაც კონკრეტული პროფესიული ინტერესები და სათანადო ბაზა აქვთ.

— ***თქვენი მოღვაწეობის კიდევ ერთი სფერო — შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის დირექტორობა არ არის მარტო ის, რომ კარგი მკვლევარი იყო — აქ ბევრი კარგი მკვლევარი მუშაობს. ამ საქმეს სჭირდება ის თვისებები, რომელიც ადამიანს დაბადებიდან უნდა ჰქონდეს — ინიციატივიანობა, ორგანიზატორული ნიჭი, პრინციპულობა, სიახლეების ხედვა და მომავლის განჭვრეტის უნარი. რადგან ამ ინსტიტუტის საქმიანობა უკვე ხელის გულზე დევს — გამოიცემა უამრავი საჭირო ლიტერატურა, წიგნი და ჟურნალი, იმართება პრეზენტაციები და ჩანს, რომ აქ სიცოცხლე დუღს, გვაფიქრებინებს, რომ თქვენ, პედაგოგიური და სამეცნიერო უნარების გარდა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნარებიც გაქვთ. რა არის თქვენთვის ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობა?***

— ჩემთვის ეს, პირველ ყოვლისა, დიდი პატივია. ამ ინსტიტუტის დირექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ძალიან ღრმა კვალი დაამჩნიეს ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ჩამოყალიბებას — კორნელი კეკელიძე, შალვა რადიანი, გიორგი ლეონიძე, ალექსანდე ბარამიძე, გიორგი ციციშვილი, სარგის ცაიშვილი და სხვანი. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩემი ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს: ისინი არიან პროფესიონალები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებიან თავის ქვეყანას და ასრულებენ თავის პროფესიულ ვალდებულებებს არცთუ ისე სახარბიელო ანაზღაურების პირობებში. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი არის ეროვნული კვლევების უმნიშვნელოვანესი ცენტრი ჩვენს ქვეყანაში, მე ვიტყოდი, შეუცვლელი თავისი მიზნების, ამოცანებისა და შედეგების თვალსაზრისით.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს ქართული ლიტერატურის, ლიტერატურის თეორიის და კომპარატივისტიკის, ფოლკლორის განყოფილებები; ტექსტოლოგიის, რუსთველოლოგიისა და გალაკტიონოლოგიის კვლევითი ცენტრები; სამეცნიერო თარგმანის ჯგუფი. ინსტიტუტის ბოლოდროინდელი სამეცნიერო წარმატებები ნამდვილად მახარებს: დიდძალი სამეცნიერო ბეჭდური პროდუქცია — მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებულები, აკადემიური გამოცემები, თემატური გამოცემები, სამეცნიერო ჟურნალები; მიზნობრივი ბეჭდური პროდუქცია — სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები საქართველოს უნივერსიტეტებისათვის; ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ინტერნაციონალიზაცია — საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და ვორქშოპების ორგანიზება, სამეცნიერო კრებულების პუბლიკაცია პრესტიჟულ უცხოურ გამომცემლობებში, მთარგმნელობითი პროექტების განხორციელება, მონაწილეობა საგრანტო პროექტებში; ქმედითი თანამშრომლობა უმაღლეს სასწავლებლებთან და სკოლებთან — ეს ყველაფერი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია.

— ***რა მოუტანა ამ ინსტიტუტს უნივერსიტეტთან ინტეგრაციამ?***

— ცხადია, მქონდა მოლოდინი, რომ ისეთ კარდინალურ ცვლილებას, როგორიცაა სამეცნიერო ინსტიტუტის სასწავლო დაწესებულებასთან ინტეგრაცია, გარკვეული სირთულეები მოყვებოდა, მაგრამ ძალიან შევეცადე, რომ ეს სირთულეები ინსტიტუტის თანამშრომლებს არ ეგრძნოთ: მეცნიერს სჭირდება სიმშვიდე, ელემენტარული კომფორტი და სტაბილურობის განცდა იმისათვის, რომ იმუშაოს. რაკიღა დღეს მე ვარ ამ ინსტიტუტის დირექტორი, ვთვლი, რომ სირთულეებიც მე უნდა გადავლახო ინსტიტუტის ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად.

ზოგადად, კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან ინტეგრაცია ჩემთვის სრულიადაც არ არის მიუღებელი — ეს მსოფლიოში აპრობირებული და მიღებული მოდელია. მაგრამ, ინტეგრაციისას აუცილებელია გარკვეული პირობების დაცვა: პირველ ყოვლისა, ინტეგრაცია არ უნდა ნიშნავდეს განლევას, განსაკუთრებით, იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროდუქციას ქმნიან, და მეორე — ადმინისტრირება და მართვა უნდა იყოს მობილური და მოქნილი. ასეთ შემთხვევაში ინტეგრაცია ორმხრივად სასარგებლო იქნება.

დასაწყისი ყოველთვის რთულია, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ თანდათან მივუახლოვდებით იმ ოპტიმალურ კონდიციას, როცა ინტეგრაცია ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება. იმედი მაქვს, რომ ასეთია არა მარტო ჩვენი, არამედ — უნივერსიტეტის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განწყობაც.

— ***საუნივერსიტეტო საზოგადოება, ალბათ, კარგად იცნობს თქვენს ოჯახს, იქნებ ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც გავაცნოთ ქალბატონი ირმა რატიანის ნავსაყუდელი?***

— ჩემი მეუღლე გახლავთ კახაბერ კორძაია, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო 2005-2006 წლებში. ამჟამად ის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორია. კახა პროფესიით მათემატიკოსია. მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა იაპონიაში, სადაც ჩვენ ექვსი წელი ვცხოვრობდით, არის კიოტოს უნივერსიტეტის დოქტორი.

უფროსი ვაჟი — ჯანო, ჩემი მამამთილის, ფილოსოფოს ჯანსუღ კორძაიას მოსახელე, კავკასიის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებულია და ამჟამად დასაქმებულია ამერიკულ აუდიტორულ კომპანიაში. უმცროსი — ლუკა, 17 წლისაა, წელს ამთავრებს სკოლას და წინ დიდი „განსაცდელი“ გველოდება — სასკოლო გამოცდები, მისაღები გამოცდები, ამიტომაც ოჯახში „საგანგებო მდგომარეობაა“ გამოცხადებული... ლუკამ აირჩია იურისპრუდენცია. თავიდან ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ სამი თვის მანძილზე ლუკა დაფინებით მისაბუთებდა, რომ იურისტობა არის ყველაზე კარგი რამ, რაც შეიძლება ადამიანს „დაემართოს“! ჰოდა, დავყარე ფარ-ხმალი...

— ***ჩამონათვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნება?***

— რასაკვირველია, მაგრამ ვნახოთ, რა შედეგები გვექნება...

— ***გაქვთ თუ არა ჰობი?***

— მაქვს. ვარ თავგადაკლული კინომოყვარული. განსაკუთრებით მიყვარს შავ-თეთრი და დოკუმენტური კინო. ამიტომაც ჩემი დასვენებისა და რელაქსაციის საუკეთესო საშუალება კარგი ფილმის ნახვაა. ის კი არადა, ჩუმ-ჩუმად იმაზეც ვოცნებობ, იქნებ ოდესმე რომელიმე საინტერესო დოკუმენტური ფილმისთვის სცენარი დავწერო. თუმცა, ჯერ საკუთარი ოცნებისთვის ვერ მოვიცალე.

— ***და ბოლოს, ტრაფარეტული კითხვა — თუ არის ისეთი რამ, რასაც შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?***

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. როცა ვიცი, რომ არაფერი შეიცვლება, არც მეფიქრება. ალბათ, არც არაფერს შევცვლიდი .... მხოლოდ ვისურვებდი. ვისურვებდი, რომ როგორმე უფალთან თანხმობაში მეცხოვროს...

კომერციალიზაცია

უცნობი ძეგლების ილუსტრაციებით ამეტყველებული საქართველოს ისტორია

მეთორმეტე გვერდიდან

ნანსებელი კი საზოგადოებრივი მაუწყებელია. რას ითვალისწინებს თქვენი ჯგუფის და ტელევიზიის თანამშრომლობა?

— საქმე ისაა, რომ მე გახლავართ იმ ფილმების ოფიციალური კონსულტანტი, რომლის გადაღება და ჩვენებაც ამჯერად I არხზე ხდება. ესაა გადაცემათა ციკლი „გააგრძელე საქართველოს ისტორია“. ჩვენი პროექტი და იდეა ამ ციკლთან დავაკავშირეთ და პროექტის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებრივ მაუწყებელს მივაწოდეთ. მათ შემოგვთავაზეს ძალიან საინტერესო წინადადება — ავარჩიოთ ჩვენ მიერ შესწავლილი ძეგლებიდან 50 ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიის მქონე ძეგლი და თითოეულის ისტორიაზე 15 წუთიანი დოკუმენტური ფილმი გადავიღოთ. ჩვენი მიზანია ისტორია გადმოვცეთ მეცნიერულად დადასტურებული წყაროებით, მაგრამ არა ტრაფარეტულად, არამედ საინტერესოდ. გვინდა ძეგლთან დაკავშირებული ისტორიები ახალი კუთხით წარმოვადგინოთ.

პროექტის ფარგლებში ჩვენ განსაზღვრული გვქონდა წიგნის გამოცემა (მასში ძეგლთა რაღაც ნაწილი შევა) და საიტის გაკეთება, სადაც მთლიანად განთავსდებოდა ჩვენ მიერ დამუშავებული მონაცემები. ახლა ამას დაემატება დოკუმენტური ფილმების სერიალიც, რაც, საბოლოო ჯამში, ძალიან სერიოზულ ისტორიულ მასალას შექმნის. ეს იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ინიციატივა...

— ***პროექტით განსაზღვრული სამუშაოები კოლოსალურ ძალისხმევას და სხვადასხვა სპეციალისტის ჩართვას მოითხოვს. საკმარისია თუ არა ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა სამუშაოს შესასრულებლად?***

— ჩვენ გვინდოდა პროექტში თურქეთის საქართველოც ჩაგვერთო. ამჟამინდელი ბიუჯეტის თანხა, ალბათ, არ გვეყოფა, მაგრამ შევეცდებით პროექტს არაფერი დავაკლოთ. ის 2 წელი გაგრძელდება და ვეცდებით მაქსიმალურად ყველა მნიშვნელოვან ძეგლთან მივიდეთ და გადავიღოთ.

ჯგუფი, რომელიც ამ პროექტზე მუშაობს, კომპლექსურია — მასში ჩართულები არიან როგორც ისტორიკოსები, ასევე ვებ-გვერდის ადმინისტრატორი და ხელოვნებათმცოდნე, რათა აღწერილი ძეგლების სრულყოფილი სურათი დავდოთ.

— ***არის თუ არა დაგეგმილი მთლიანი მასალის წიგნად გამოცემა?***

— ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ პროექტის სამეცნიერო-პოპულარულ დანიშნულებასა და მასალის საიტზე განთავსებაზე, მაგრამ თუ ეს პროექტი დაინტერესებას გამოიწვევს და შესაძლებელი იქნება ამ მასალების მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა, ეს უკვე სხვა პროექტის თემა იქნება და ამაზეც შეიძლება ვიმუშაოთ.

P.S. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულ პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ვაჟა კიკნაძეს რამდენიმე დღის წინ გადაეცა პოლონეთის მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ჯვრის ორდენი პოლონეთის რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისა და პოლონეთის კულტურის შესწავლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. პროფესორმა ვაჟა კიკნაძემ 900 პოლონური ისტორიული დოკუმენტი აღმოაჩინა კათოლიკოს-პატრიაქ კირიონ მეორის არქივში, მანვე პოლონელი სპეციალისტები მოიწვია და ჩართო ამ დოკუმენტების შესწავლის პროცესში. ამჟამად მათი შესწავლა და კატალოგიზირება მიმდინარეობს.

ექსკლუზივი

აფხაზი ხალხი უკვე დაუფიქრდა საკუთარ არჩევანს?!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ქართულ საზოგადოებაში ის იშვიათი გამონაკლისია, რომლის თანამშრომლებსაც, დაძაბული ვითარების მიუხედავად, აფხაზ საზოგადოებასთან კავშირი არ შეუწყვეტია. ისინი კარგად იცნობენ ენგურს მიღმა არსებულ მდგომარეობას, აქვთ ინფორმაცია რა სახის ცვლილებები შეინიშნება აფხაზ საზოგადოებაში და რა პერსპექტივები არსებობს ქართულ-აფხაზური დიალოგის დასაწყებად. აფხაზ საზოგადოებაში არსებული ვითარების შესახებ თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ზურაბ შენგელია *გვესაუბრება:*

ნატო ოგოლაძე

ზურაბ შენგელია

— ბოლო ორი წელია, ჩვენს ცენტრს აფხაზურ საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა. გასულ წელს თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან აფხაზეთში 3 მივლინება განხორციელდა — ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში. მე იქ, აგვისტოში, არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ვიმყოფებოდი და ერთადერთი უშუალო მომსწრე ვარ საარჩევნო კამპანიის მთელი პროცესებისა, რასაც თბილისიდან ჩასული ვაკვირდებოდი. შემიძლია გითხრათ, აფხაზურ საზოგადოებაში პოლიტიკური გამოცოცხლება შეიმჩნევა. უკვე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაეძაბათ. 2010 წელთან შედარებით საზოგადოებაში საინტერესო ტრანსფორმაცია მოხდა.

არჩევნების გამართვამდე აფხაზები 3 დიდი პრობლემის წინაშე დადგნენ. 1) რუსებს აფხაზეთში მიწების შესყიდვა სურთ, რასაც აფხაზი საზოგადოება ეწინააღმდეგება; 2) რუსეთი ედავება მათ სოფელ აიბღას 16 კვადრატულ კილომეტრიან ტერიტორიას (აღსანიშნავია, რომ ჩვენ მათი თხოვნით მივაწოდეთ დოკუმენტაცია და რუკები, რომელიც ადასტურებს, რომ ეს მიწა ნამდვილად აფხაზეთისაა და საქართველოს ტერიტორიაა); 3) რუსებს სურდათ გაგრის მახლობლად 50 000 კაცის ჩასახლება სოჭის ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად და შემდეგი მომსახურეობისთვის, რასაც აფხაზები, ასევე, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ამ ყველაფრის საპასუხოდ რუსეთმა აფხაზ მოსახლეობას რუსული პასპორტების მიცემა შეუწყვიტა. ვისაც პასპორტი უკვე აღებული აქვს, მაგრამ მოქმედების ვადა ეწურება, მათაც აღარ უგრძელებენ ვადებს. ასევე, 2011 წლის ნოემბრამდე რუსეთმა ჩაკეტა ფსოუს საზღვარი, რის გამოც აფხაზებს რუსეთში საქონელი სავაჭროდ ვეღარ გადაჰქონდათ. იქ უბრალო ხალხისთვის კი მანდარინით ვაჭრობა თავის რჩენის ერთადერთი საშუალებაა. ეს მოვლენები შეიძლება განვიხილოთ, როგორც აფხაზეთის დასჯის მექანიზმი. საინტერესოა ისიც, რომ აფხაზ საზოგადოებას არ სჯერა, რომ სერგეი ბაღაფში ბუნებრივი სიკვდილით დაიღუპა.

— როგორ ჩაიარა არალეგიტიმურად აღიარებულმა 2011 წლის წინასაარჩევნო და კენჭისყრის პროცესმა? არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მხრიდან ხომ არ ყოფილა გაჟღერებული თბილისთან ურთიერთობის საკითხი?

— პრეზიდენტობის კანდიდატები ალექსანდრე ანქვაბი, სერგეი შამბა და რაულ ხაჯიმბა იყვნენ. წინასაარჩევნო პროგრამა

არც ერთს არ ჰქონდა მომზადებული. სერგეი შამბა, თავისი დიპლომატიური გამოცდილების დახმარებით, საზოგადოებას აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სხვა ქვეყნების მიერ აღიარებას დაჰპირდა. რაულ ხაჯიმბა თითქმის იგივე დაპირებებით შემოიფარგლა, თუმცა წინასაარჩევნო პროგრამაში შეტანილი ჰქონდა ნაციონალური ელემენტებიც. ალექსანდრე ანქვაბმა კი აქცენტები სახელმწიფოს მშენებლობაზე დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაზე, ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებასა და კორუფციის აღმოფხვრაზე გააკეთა გააკეთა. ჩემი აზრით, რუსეთისთვის სულ ერთი იყო, რომელი გახდებოდა პრეზიდენტი, მისი მთავარი მიზანი ოლიმპიადის ჩატარებაა. სერგეი შამბას პუტინის მსგავსი პიარ კამპანია ჰქონდა. თუ პუტინი ძიუდოისტია და კიმონოთი გამოდიოდა, შამბა კარატისტია და კარატისტის ფორმით ჩნდებოდა საზოგადოების წინაშე. ეს ცოტა სასაცილოც კი იყო. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ აფხაზების პოლიტიკური კულტურა გაიზარდა. სამივე კანდიდატებს შორის მოხდა შეთანხმება, რომ 3 ყველაზე წამგებიანი თემა — თბილისთან ურთიერთობა, ლტოლვილების დაბრუნება და რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხი — წინასაარჩევნო პერიოდში არ ეხსენებინათ. მიუხედავად ამისა, ერთი საინტერესო განცხადება ალექსანდრე ანქვაბმა მაინც გააკეთა, როცა მან აღნიშნა, რომ თუ სახელმწიფოს აშენება სურთ, ყველა მეზობელთან უნდა იყვნენ მუდმივ დიალოგში. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თბილისიც იგულისხმებოდა. საინტერესოა, საზოგადოებაში გავრცელებულია ინფორმაცია, რომ არძინბამ მათ ანდერძად დაუტოვა ქართველებთან საერთო ენა გამოენახათ. საკმაოდ მოულოდნელი იყო, როდესაც არჩევნებში ხმების 54% ალექსანდრე ანქვაბმა მიიღო, რადგან თუ პრორუსული ორიენტაცია უფრო შამბას წინასაარჩევნო კამპანიაში შეინიშნებოდა, ველოდით, რომ ის გაიმარჯვებდა. ეს კარგად ახასიათებს აფხაზი საზოგადოების მდგომარეობას, რომელიც ასეთი ვითარებით დაიღალა.

— თქვენ ახსენეთ, რომ აფხაზ საზოგადოებაში 2010 წლის შემდეგ მოხდა ტრანსფორმაცია. კონკრეტულად რა ცვლილებები შეინიშნება?

— მანამდე ქართულად არავინ გველაპარაკებოდა, ეშინოდათ. არალეგიტიმური არჩევნების პერიოდში კი ქართულად მელაპარაკებოდნენ. თუ ვინმემ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცოდა, ცდილობდნენ, საუბრისას ქართული აუცილებლად გამოეყენებინათ. შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ჩვენ მათი ნომერ პირველი „მტერი" აღარ ვართ.

— ასევე ისაუბრეთ აფხაზეთში პოლიტიკური კულტურის გაზრდის შესახებ. ეს ფაქტი მოახდენს თუ არა გავლენას ქართულ მხარესთან ურთიერთობაზე?

— ამან უკვე მოგვცა შედეგი. გაჩვენებთ დოკუმენტს, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ახლოს მყოფმა ძალებმა გაავრცელეს. რუსეთის წინააღმდეგ ხმას ვერ იღებენ, მაგრამ აქ კარგად ჩანს ქვეტექსტი, რომ არსებული მძიმე ვითარებიდან გამოსავალს ეძებენ. დოკუმენტში მოყვანილია წლიური სტატისტიკური მონაცემები: სიკვდილიანობა — 3300 ადამიანი, შობადობა — 800 ადამიანი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კაცებში — არაუმეტეს 50 წლისა, ქალებში — არაუმეტეს 70 წლისა, ნარკომანია – 5 000 ადამიანი (6%), შიდსით დაავადებულია — 2500 ადამიანი, ჰეპატიტით დაავადებულია, ასევე, 5 000 ადამიანი (6%). ასევე აღნიშნულია, რომ ჩვენ აფხაზ ავადმყოფებს მკურნალობაში ვეხმარებით, ჩამოგვყავს ისინი და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში ვრთავთ. ახალგაზრდები თბილისში სასწავლებლადაც ჩამოდიან, ზოგიერთებს კი ერთობლივი ბიზნესი აქვთ ქართველებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის ავტორებს ჩვენი კეთილი ნება ქართული მხარის სტრატეგიული მიზ-

სოხუმში ისმის ასეთი სიტყვებიც: „оказывается мы ни в ту сторону стреляли". — ეს, თუნდაც ნახევრად ხუმრობით ნათქვამი ფრაზა, აფხაზ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების ნიშანია.

ნების მისაღწევად გამოყენებულ მექანიზმად მიაჩნიათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მათ ქართველები ეხმარებიან, თავადვე ავრცელებენ.

მართალია, ეს ყოველივე, ძალიან მცირეა ჩვენი მიზნების მისაღწევად, მაგრამ, დამეთანხმებით, კონფლიქტების მოგვარება უცებ არ ხდება.

— ანუ აფხაზი საზოგადოების განწყობა ქართველების მიმართ დადებითისკენ შეიცვალა?

— ერთერთ აფხაზურ პოლიტიკურ კლუბში დავესწარი საქმის გარჩევას. შარშან აგვისტოში ზღვის სანაპიროზე 12-13 წლის ბიჭები მთვრალ რუსებს გაუთამამდნენ და რაღაც გაეხუმრნენ, მათ კი ბავშვები ისე სცემეს, რომ ნეკნები ჩაუმტვრიეს. იმ რუსებიდან ერთი მათგანი ერთერთმა აფხაზმა დანით მოკლა. ამავე პერიოდში ოჩამჩირეში რუსმა სამხედრომ აფხაზი ქალი გააუპატიურა, ეს სამხედროც მოკლეს. ამ საკითხების განხილვაში რაულ ხაჯიმბაც მონაწილეობდა. პოლიტიკურ კლუბში შეკრებილი საზოგადოება რუსეთთან ურთიერთობას ქვეცნობიერად ადარებდა ქართველებთან ურთიერთობას. მიაჩნდათ, რომ ქართველი პატარა ბავშვებს ასე სასტიკად არასდროს სცემდა და არც ქალს გააუპატიურებდა. ახლახან ერთერთი ავადმყოფი (ბატალიონის ყოფილი მეთაური) გვყავდა ჩამოყვანილი და მისგან ერთი კარგი ფრაზა მოვისმინე: „შენ რომ მიხსნიდი, მოვა დრო და მიხვდებით, თბილისის წინააღმდეგ გამოსვლა არასწორი იყოო, არ მეგონა ამას თუ მოვესწრებოდი. სოხუმში ისმის ასეთი სიტყვებიც: „оказывается мы ни в ту сторону стреляли". — ეს, თუნდაც ნახევრად ხუმრობით ნათქვამი ფრაზა, აფხაზ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების ნიშანია.

— რა დატვირთვა აქვს პოლიტიკურ კლუბებს?

— აფხაზეთში პოლიტიკური ცხოვრება აფხაზებზე რუსეთის ზეწოლამ გამოაცოცხლა. საზოგადოების წარმომადგენლები იკრიბებიან და საუბრობენ არსებულ ვითარებაზე. სიტყვები — „როგორც ჩანს იმ მიმართულებით არ ვისროდით" ნიშნავს, რომ აფხაზი ხალხი დაფიქრდა. ასევე მინდა გითხრათ, რომ წელს პირველად აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩემთან შეხვედრა მოინდომეს. ჩემს დაცვას შეუთანხმდნენ, თუ სად უნდა მივსულიყავით ყავის ან ლუდის დასალევად და იქ „შემთხვევით" უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ასეც მოხდა... თან წაღებული მქონდა ჩვენს მიერ გამოცემული ალბომი „აფხაზეთ XIX საუკუნე", რომელსაც ვარიგებდი და რომელმაც ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია.

— რა საკითხებზე ისაუბრეთ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე?

— 4 საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი შემხვდა. აინტერესებდათ, რა ხდება ჩვენთან. მაგალითად, მეკითხებოდნენ, მართალია თუ არა, რომ თქვენთან კორუფცია არ არის (ავუხსენი, რომ არ არის); რომ მკურნალობის ხარჯებს ბანკის საშუალებით ვფარავთ; მართლა აშენდა თუ არა ანაკლიაში 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო და სხვა.

— ბატონო ზურაბ, ჩვენ რამდენიმე თვის წინაც ვისაუბრეთ და ახლა უფრო ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, ვიდრე მაშინ...

— აფხაზეთში ბოლო ორი წლის მანძილზე განვითარებული მოვლენების დაკვირვების შედეგად ბევრად უფრო ოპტიმისტურად განვეწყვე. ადრე იმედი მქონდა, რომ აფხაზეთი დაგვიბრუნდებოდა, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ. შემიძლია, პროგნოზიც გავაკეთო, 2014 წლის მერე დაიწყება სასიკეთო ძვრები. არ ვამბობ, რომ მალე დავიბრუნებთ აფხაზეთს, მაგრამ დაიწყება სერიოზული მოლაპარაკებები. ამჟამად არსებული ერთგვარი პაუზაც ძალიან დიდი იარაღია. ამით მათ რუსეთთან ურთიერთობის გარკვევას ვაცლით და ეს მომგებიან ვითარებაში გვაყენებს. ამასთანავე, აფხაზ ხალხს ვაძლევთ საშუალებას ჩვენთან იმკურნალოს, ჩვენმა ხელისუფლებამ დაიწყო ნეიტრალური პასპორტების გაცემა, რითაც მათ საშუალება აქვთ სხვადასხვა ქვეყანაში გავიდნენ. ეს ყველაფერი კი ხდება იმის ფონზე, როდესაც აფხაზები რუსეთის მხრიდან ზეწოლას განიცდიან და რუსული პასპორტების აღებაც აღარ შეუძლიათ.

4 საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი შემხვდა. აინტერესებდათ, რა ხდება ჩვენთან. მაგალითად, მეკითხებოდნენ, მართალია თუ არა, რომ თქვენთან კორუფცია არ არის (ავუხსენი, რომ არ არის); რომ მკურნალობის ხარჯებს ბანკის საშუალებით ვფარავთ; მართლა აშენდა თუ არა ანაკლიაში 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო და სხვა.



ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲜᲢᲘ ᲗᲡᲣ-ᲓᲐᲜ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ 30-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲣᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან აფხაზური ენის სწავლებას დიდი ყურადღება ექცევა. ცნობილია, რომ თავად ივანე ჯავახიშვილი ქართული ენის მონათესავე ენების, განსაკუთრებით აფხაზური ენის სწავლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. თსუ-ში აფხაზური ენისა და კულტურის კვლევას საფუძველი 1924 წელს ჩაეყარა. აფხაზური ენის ფუძემდებლად ცნობილი მეცნიერი დიმიტრი გულუა ითვლება, რომლის დაწყებული საქმე აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ, შემდეგ აფხაზური ენის სპეციალისტმა ქეთევან ლომთათიძემ გააგრძელეს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების მანძილზე წარმატებით სწავლობდნენ აფხაზი ეროვნების სტუდენტები.

თუმცა, ბოლო 30 წლის მანძილზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზი ეროვნების წარმომადგენელს თბილისში დისერტაცია არ დაუცავს. წელს კი „დუმილი“ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელმა ლეილა ავიძბამ დაარღვია, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა დოქტორანტურაში გააგრძელა, სადაც სადისერტაციო ნაშრომზე დაიწყო მუშაობა. მისი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი პროფესორი თეიმურაზ გამცემლიძე გახდა.

ლეილა ავიძბას ნაშრომი ეძღვნება ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებულ აფხაზურ ლექსიკას. აღსანიშნავია, რომ კვლევის დროს დისერტანტი მასალის მოსაპოვებლად რამდენჯერმე აფხაზეთშიც იყო ჩასული, რადგან ახალგაზრდა მეცნიერის მიზანი აფხაზური ენის სიტყვათა გამოკვლევა და ამ დარგში გამოყენებული სიტყვების დახასიათება–ანალიზი გახლდათ. თეიმურაზ გამცემლიძის თქმით, ლეილა ავიძბასთან მუშაობა ძალიან საინტერესო იყო.



ლეილა ავიძბა

„მას კარგი განათლება აქვს მიღებული კავკასიოლოგიის ინსტიტუტში ენათმეცნიერების მიმართულებით. ლეილას ადრე დისერტაციისთვის სხვა თემა ჰქონდა არჩეული, მაგრამ მასალის მოპოვება გაუჭირდა და ჩემი რჩევის გათვალისწინებით გადაწყვიტა, ამ თემაზე ემუშავა“, — აღნიშნა თეიმურაზ გამცემლიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლეილა ავიძბას მასწავლებლები იყვნენ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის პროფესორები: რეზო ჯანაშია, ცირა ბარამიძე, ვაჟა შენგელია, რუსუდან ჯანაშია და სხვები.

თინა სვანიძე

„ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲛᲮᲘᲑᲚᲐᲕᲡ“...

„სანაპიროზე, პალმების მჭიდრო ხეივანში თეთრი ქანდაკებები დგას... პატარა ხელები ერთმანეთისთვის ჩაუკიდიათ, ისე არიან დაჭიმულები, როგორც აკრობატი დიდი ნახტომის წინ... მათ მზერას თვალს თუ გააყოლებ, აშლილი ტალღების სილამაზე შემოგეფეთება... ზღვა ისევ ისეთია... უძირო, თბილი, ცოტა ამაყიც და ისეთი, ლურჯი ცის ხავერდიც რომ ურევია და მინის ზურმუხტიც და სისხლის მეწამული სურნელებაც... შორს, იქ, სადაც ცა ხმელეთს ემიჯნება, უზარმაზარი გემი მოჩანს ამ სილამაზით აღტაცებული ადამიანებით, მკაცრი და ლმობიერი მეზღვაურებით და, სულ მაღლა, ღრუბლებთან მოფრიალე დროშით... მე მიყვარს სოხუმი... და მე ვიცი — მე ჩავალ სოხუმში, მივალ ფსოუს ნაპირთან და მინას ვეამბორები... მე აუცილებლად ჩავალ აფხაზეთში... დროშა ისევ იფრიალებს!“

ეს ჩანახატი შოთა თუთბერიძემ XI კლასში დაწერა. თუმცა იგი აფხაზეთიდან არ არის, მისი სოფელი — ბია ხობის რაიონშია. მან სწორედ იქ გაატარა ბავშვობა, იქ დაიწყო ჩანახატების წერა და ფიქრი მომავალზე... თუმცა, მომავალმა იურისტმა „კარიერა“, გაგიკვირდებათ და, მსახიობობით დაიწყო. ხობის თეატრის სცენაზე ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით სპექტაკლში „სისხლი“ ნოდარ ლომჯარიას როლი შეასრულა და რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე თეატრალურ დასთან ერთად საპრიზო ადგილიც დაიმსახურა.

შოთას გადაწყვეტილებაც მოულოდნელი იყო, როდესაც სწავლის გაგრძელება იურიდიულ ფაკულტეტზე გადაწყვიტა, თუმცა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველივე წელს 100%-იანი დაფინანსებით ჩაირიცხა, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, სრულიად „ახალი ცხოვრება“ დაიწყო. უნივერსიტეტში სწავლისას მისი ინტერესების სფერო სულ უფრო გაფართოვდა და პირველ კურსზე „პარლამენტშიც“ კი აღმოჩნდა.

„ამ გადასახედიდან ვთვლი, რომ ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც იურისტობა ავირჩიე. სხვათა შორის, ამ პროფესიასაც რომანტიკულად ვუყურებ. ჩემი ძირითადი მახასიათებელი ანალიტიკისა და მსჯელობის უნარია, იურისტობა კი ამ უნარის რეალიზებისთვის ყველაზე კარგი საშუალებაა. პირველივე კურსიდან ჩემთვის საინტერესო გარემოში მოვხვდი. იურიდიული ფაკულტეტის რამდენიმე ენთუზიასტმა სტუდენტმა „სტუდენტური პარლამენტი“ დააარსა, სადაც თავიდან, როგორც რიგითი წევრი, ისე მიმიღეს, შემდეგ კი „არჩევნებზე“ პარლამენტის თავმჯდომარედაც ამირჩიეს. ეს მართლაც, საინტერესო სამუშაო პროცესი იყო — ხშირად ვიკრიბებოდით და დებატებს ვმართავდით, კანონპროექტებზე ვმუშაობდით, რასაც სხდომებზე განვიხილავდით. ოპოზიციაც გვყავდა, თანაც საკმაოდ რადიკალური. ჩვენი პარლამენტის წევრები რეალური პარტიების ახალგაზრდული

ფრთის წარმომადგენლებიც იყვნენ, მათ შორის, „ლეიბორისტული პარტიისა“.

მაშინ იმაზეც იყო კამათი, უნდა ყოფილიყო თუ არა სტუდენტური პარლამენტი პოლიტიზირებული? ბოლოს მივედით იმ დასკვნამდე, რომ კარგი იქნებოდა, თუ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ მივემხრობოდით. „სტუდენტურმა პარლამენტმა“ საკმაოდ ბევრი კანონპროექტი შეიმუშავა, მათ შორის გამოყოფდი ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ პროექტს და კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ კანონპროექტს (მაშინ ჩვენ ფიცის დადების ნორმაში ცვლილებების შეტანას ვითხოვდით, რადგან მიგვაჩნდა, რომ ეს არღვევდა რელიგიური უმცირესობების თანასწორობის უფლებებს), საკმაოდ ამბიციური გეგმები გვქონდა და გვინდოდა — საქართველოს პარლამენტშიც შეგვეტანა საკანონმდებლო წინადადებები. „სტუდენტური პარლამენტის“ პრობლემა იყო ის, რომ პრაქტიკული გამოცდილება გვაკლდა, უფრო თეორეტიკოსები ვიყავით, ვერც საკმარისი ინიციატივა გამოვიჩინეთ, თუმცა ვთვლი, რომ ეს კარგი პროექტი იყო გამოცდილების მიღების თვალსაზრისით“, — ამბობს შოთა თუთბერიძე.

შოთა ჯერაც იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტია და თვლის, რომ ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე, თუნდაც, ასაკით შეეფერება. ის და მისი მეგობარი „ყოფილი პარლამენტარები“ დღესაც აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტურ ცხოვრებაში. მიაჩნია, რომ პოლიტიკისთვის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, თუმცა მომავალში არც იმას გამორიცხავს, რომ ამ კუთხით კვლავ დაინტერესდეს. ამჯერად „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციაშია“ გაერთიანებული და მეგობრებთან ერთად დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებასაც გეგმავს.

რომანტიკოსი იურისტი ჩანახატებისა და ლექსების წერას კვლავ აგრძელებს... ხანდახან ლიტერატურულ კონკურსებშიც მონაწილეობს, გაწევრიანებულია თსუ-ის „პოეზიის კლუბშიც“, თუმცა ამბობს, რომ ამბიციები ამ მხრივ არ აქვს და თავს „ნამდვილ“ მწერლად სულაც არ მიიჩნევს.

„პოეტი და იურისტი ერთად? — რატომაც არა! ვფიქრობ, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია წეროს, მით უმეტეს, თუ ქართველია. დღემდე რატომღაც ითვლება, რომ იურისტი პრაგმატიკოსი უნდა იყოს, რასაც არ ვეთანხმები. სინამდვილეში ჩვენს ფაკულტეტზე რომანტიკოსი ხალხი სწავლობს, უბრალოდ, იურისტებს იმის უნარიც შესწევთ, რომ როდესაც საქმე მოითხოვს, კარგად შეინიღბონ“, — ამბობს შოთა თუთბერიძე.

მომავალი იურისტი ხშირად „რთული“ არჩევანის წინაშეა — კოდექსები ისწავლოს თუ მხატვრული ლიტერატურა იკითხოს. არ მალავს, რომ ხშირად უპირატესობას სიტყვაკაზმულ მწერლობას ანიჭებს. საყვარელი მწერლებიც ჰყავს: კონსტანტინე გამსახურდია და უილიამ ფოლკნერი.

მწერლის შეფასებისას საკუთარი კრიტერიუმი აქვს: როდესაც კითხულობს, უნდა გრძნობდეს, რომ ავტორი მის სათქმელს ამბობს.

მისი ჩანახატებისა და ლექსების ერთერთი მთავარი თემა კი აფხაზეთია. „მართალია, აფხაზეთიდან არ ვარ, მაგრამ იქაურობის მიმართ საკრალური დამოკიდებულება მაქვს. ჩემი ოცნებაა, სოხუმში სახლი მქონდეს და დარწმუნებული ვარ, რომ მექნება... ზოგადად, ყველაფერზე ვწერ, რაც მაწუხებს, რაც მწყინს... წერა ჩემთვის თავისუფალი დროის გატარების საუკეთესო საშუალებაა. ჩანაწერებს სულ რამოდენიმე ადამიანს ვაკითხებ, რომლებიც ლმობიერად ეკიდებიან ჩემს ამ გატაცებას. ვწერ მარტივად, როგორც ვფიქრობ და რასაც განვიცდი..... სულ ეს არის!” — გულწრფელობს შოთა და ჩვენი რედაქციაც არ მალავს მისი დიდი სურვილის ფონზე სტაჟიორად ვერ აყვანის სინანულს მხოლოდ იმის გამო, რომ კონკურსის გავლის უფლება მეორე კურსელს, ამ ეტაპზე, არ ჰქონდა. თუმცა, მომავალი წინ არის...

მოამზადა:
შურთხია ბეროშვილმა

ᲨᲝᲗᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲢᲕᲘᲤᲠᲣᲚᲘ „ᲛᲔ“

— რომ შეგიყვარდე?

— რომ შემიყვარდე, გავაკეთებ ძალიან ბევრ ქაღალდის თვითმფრინავს... ისეთს და ისეთი გულმოდგინებით, როგორსაც და როგორი გულმოდგინებითაც მხოლოდ პატარა ბავშვები აკეთებენ ხოლმე, გაფრენის სურვილით თითოეულ უჯრედამდე გაჟღენთილნი...

რომ შემიყვარდე, დავინახავ სილამაზეს უხეირო სახლების უნიათო გამოხედვაში... დავინახავ, ცას უფრო ლურჯს. დავინახავ ოცნებას ჩარჩოთა ყალბი გამოხედვის გროვაში... დავინახავ სიმართლეს იქ, სადაც ვიცი, რომ მას არაფერი ესაქმება... დავინახავ, როგორ ამოდის მზე და როგორ ქრება ღამის წყვდიადივით ჩამოწოლილი სევდა ჩემი გულიდან... იმასაც დავინახავ, როგორ ლამაზდება მახინჯი სამყარო ნელ-ნელა და როგორ ეპარება დილაობით წყლის წვეთი ჩემი სახლის წინ თავჩაქინდრულ ტიტას ყელზე საკოცნელად...

გავიგებ, რამ დაწერა ის ლექსები, რომელთაც „დიდი გრძნობით“ კითხულობენ ხოლმე „პოეზიისტები“...

გავიხსენებ, როგორ მღლიდნენ სიკვდილამდე მომაბეზრებელი და ყვირილამდე ყალბი ადამიანები...

გავიფიქრებ, რომ არ დამიმსახურებია ამდენი...

გავიხსენებ აზრს, რომ მარტო არსებობა მხიბლავს...

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია,	ილია ჭავჭავაძის
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი,	გამზ. 11ᵃ
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი	ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი,	(თსუ-ის მე-3
კომპიუტ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი	ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი,	კორპუსი)
		ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური,	
		თეა ჯუღელი	2 22 36 62